# პიონერი

12
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კომკავშირული ჩაის ბრიგადება, მისი დევიზია — «კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს»!



## ზარი მაისი

# მთის ფერდობზე

გ. აბდალაძე

მწვანით მოსილი გორაკი თეთრად გადაპენტილიყო. ცხვრის ფარა ძოვდა, წინ მიიწევდა, ცვრიან ბალახს დახარბებული. ერთმანეთს წინ უსწრებდნენ ცხვრები, მადიანად იწიწკნებოდნენ. მზიანი დღე იდგა, ცაზე ნაფლეთი ღრუბელი არ ჩანდა, საამო საცქერი იყო მიდამო. კაცი თვალს ვერ მოსწყვეტდა ირგვლივ ამაყად აღმართულ მთის მწვერვალებს, ფერდობებზე შეფენილ აქოჩრილ კორომებს და კლდიდან მოჩხრიალე აქაფებულ ნაკადულებს. ფერთა იშვიათ შეხამებას ქმნიდა შხეფებში მორიალე მზის სხივები, ყნოსვას ატკბობდა და აბრუებდა ველზე გაშლილი ათასფერი ყვავილების სურნელი.

ფარის თავში ქვეშეთის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე მიხეილ ბუჩუკური იდგა. ბიჭი თითქოს ვერ ხედავდა ბუნების ამ საკვირველებას. იგი ფიქრით მშობლიურ სკოლაში იყო და თვალწინ ის დღე ედგა, უკანასკნელი გამოცდა რომ ჩააბარა...

...სიცილ-კისკისით გამოვიდნენ ნათელი, ორსართულიანი ქვითკირის შენობიდან სკოლის ეზოში მიხეილი და მისი კლასელები. ეზოში ბავშვები ჯგროდ იდგნენ, მიხეილმა მათ შორის კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი თამარ ბუჩუკური დაინახა და იქითკენ გაემართა, ბავშვებიც მიჰყვნენ.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა მას თამარ მასწავლებელმა.

— კარგად, პატივცემულო, დღეიდან უკვე მეშვიდეკლასელები ვართ, ყველას მაგივრად უპასუხა მიხეილმა.

— გილოცავთ, საშემოდგომო ხომ არავის გამოჰყოლია?

— არა.

— რას აპირებთ ზაფხულისათვის?

— ამ კლასს მე უკვე ვესაუბრე, — თქვა თამარის გვერდით მდგომმა პიონერხელმძღვანელმა მელიკო ხევსურიშვილმა. — ყოჩაღი ბავშვები არიან, თავს არ შეირცხვენენ შრომით სემესტრში.

— ჩვენი ბავშვები შრომაში გაწაფულები არიან და უსაქმოდ რას გაჩერებ, მაგრამ ერთ რამეზე გული მაინც სწყდებათ, — მორიდებით თქვა სასკოლო კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დალი ბუჩუკურმა.

— რაზე?

— ასე ამბობენ, რადიოთი წარამარა გაისმის, ამა და ამ სკოლის მოსწავლეებმა ამდენი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს და ამდენი ჰექტარი ვენახი გაფურჩქნესო. რა ვქნათ, ბატონო, ყველგან ჩაი და ვენახი ხომ არ იქნება! განა პირუტყვის მოვლა-პატრონობას ნაკლები შრომა სჭირდება?

— რადიოში გამოცხადება მოგინდათ? — ღიმილით გადახედა თამარმა ბავშვებს.

— რატომაც არა, პატივცემულო! — წამოიძახა რამდენიმემ.

— განა მეცხოველეებს არ აცხადებენ? მაგრამ ისინი ორგანიზებული წესით ერთად გადიან სამუშაოდ და ნამუშევარის აღრიცხვაც ყოველდღიურად ხდება. ჩვენ კი მშობლებთან ერთად ვმუშაობთ, — თქვა მეათეკლასელმა დოდო გომურმა.

— ჰოდა, კეთილი და პატიოსანი. თუ გნებავთ, ჩვენც შევქმნათ ბრიგადები, ზოგნი მწველავებად წახვალთ ფერმაში, ზოგნი ბალახს მოთიბავთ, ზოგნი კი მოფოცხავთ და ზვინებად დადგამთ. მერე კი ვნახოთ, იქნებ თქვენზეც ალაპარაკდეს პრესა...

სწორედ იმ დღეს ჩამოყალიბდა ქვეშეთის საშუალო სკოლაში საკვებმომპოვებელთა და მწველავთა ბრიგადები.

საკვებმომპოვებლებს სათავეში დალი და მიხეილ ბუჩუკურები ჩაუდგნენ, მწველავების ხელმძღვანელობა მეშვიდეკლასელმა მოწინავე პიონერმა ნათელა უშარიძემ იკისრა.

— თქვენც კარგად იცით, ბავშვებო, თიბვა ცოტა გვიან რომ იწყება, — თქვა მაშინ თამარ მასწავლებელმა, — მანამდე კი მშობლებს უნდა მოეხმაროთ.

და აი თვეზე მეტია, რაც მიხეილი საკოლმეურნეო ცხვრის ფარას მწყემსავს უფროსებთან ერთად. უყვარს მთიულ ბალღს ცხვარში ყოფნა. მზრუნველ თვალს ავლებს ფარას და განაპირა მდგომ ორ ყოჩზე აჩერებს მზერას.

ყოჩები ერთმანეთს შებმოდნენ. ჯერ უკან დაიხევდნენ, საკმაო მანძილით დაშორდებოდნენ, კამარას შეკრავდნენ და შუბლით დაეჯახებოდნენ, შემდეგ, გაბრუებულნი, ერთმანეთს ფრუტუნით შორდებოდნენ, ძალას იკრებდნენ და კვლავ ერთმანეთისაკენ მიიწევდნენ.

„ტყუილად კი არ ამბობენ, მძიმე და ხიფათებით სავსეა მწყემსის ცხოვრებაო, — აეკვიატებოდა ფიქრი მიხეილს, — მაგრამ მიმზიდველიც ყოფილა და საამაყოც. აბა, რა სჯობს თუნდაც ამათ ცქერას. ხალხიც აფასებს მწყემსის შრომას. აი ჩვენი სოფლელი ყარამან გაგაძე მწყემსია და საქვეყნოდ ცნობილი, სოციალისტური შრომის გმირია"... ასე ფიქრობდა პატარა მწყემსი — მაგრამ ხანდახან მაინც სოფლისკენ მიუწევდა გული, ენატრებოდა ტოლ-ამხანაგები.

მინდორში წაველ, ტოლებო,
მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს,
თქვენი ხმა არ მომდიოდა.

ცელი
კივის
და
ველებზე
სურნელება
დადგა
თივის...



19733

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიღიღინებდა ხოლმე ნაცნობ სიმღერას და თვალწინ ისევ თავისი კლასელები დაუდგებოდა.

— მალე ყველანი ერთად ვიქნებით, მაშინ კი გიყვარდეს... მოსაწყენად ვილას ეცლება, კიდეც ვიშრომებთ და კიდეც ვითამაშებთ.

ამ ფიქრებში იყო მიხეილი, როცა სოფლიდან დაბრუნებული მწყემსი თავს წამოადგა.

— რა ამბავია სოფელში? — ჩვენი ბიჭები არ გინახავს?

— ვნახე!

— რაო, რა გითხრეს?

— ხვალ შარმიაანთ მთაზე მივდივართ ბალახის გასათიბადო, შენთან დამაბარეს, პირობაზე როგორა ხარო.

გახარებული მიხეილი მწყემსებს მაშინვე გამოეთხოვა და სოფლისაკენ დაეშვა...

სისხამ დილით აახმაურა შარმიაანთ მთის ძირი სატვირთო მანქანის გუგუნმა. ჟივილ-ხივილით შეუყვნებ ცელებით შეიარაღებული ქვეშეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები ძთის პირიქითა ფერდობს და სათიბის დასაწყისში განლაგდნენ. გაჩაღდა თიბვა. ბიჭები თანდათან შედიოდნენ ეშხში, ყოველდღიურად უმატებდნენ ტემპს. შრომაში სამი დღე გაიპარა.

მეოთხე დღეს კიდევ უფრო ახმაურდა მთა. ახლა ბიჭებს გოგონები შეუერთდნენ. დალი ბუჩუკურისა და პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარის მეშვიდეკლასელ თინა ბედოიძის მეთაურობით გათიბულ ფერდობებს მოეფინენ. გოგონებს ფოცხითა და ფიწლით თივა უნდა მოეხვეტათ და ზვინებად დაედგათ.



გკვერავ და გლესავ... ქასურის სალესავითა...

ბიჭების რაზმმა კი ახალი სათიბისაკენ გაუხვია. რაზმის თავში მიხეილი და გოგი მიდიოდნენ. ისინი დინჯად საუბრობდნენ.

— რაც უფრო წინ მივიწევთ, სათიბი თანდათან მეჩხერდება, — ჩვენთვის ეს დაუტოვებიათ. მაგრამ გუშინ ბრიგადირმა მითხრა, ის ფერდობი მწვერვალამდე სულ თქვენი გასათიბიაო. თუ ასეა, არაფერი გვიჭირს, 160 ცენტნერზე მეტ თივას მაინც გავთიბავთ.

— ვითომ რა შეგვიშლის ხელს?

— რა და... ზოგიერთს ცელი რაღაც ხშირად უფუჭდება. მერე დგანან საათობით და, კვ[illegible]ავენ.

— იცით, რა? მოდი, ვინც წაიზარმაცებს დაბლა ხევში ჩავგზავნოთ წყლის ამოსატანად და ნახოს...

რაზმი რომ სათიბავად განლაგდა, გოგიმ ხმამაღლა დაიძახა:

— ცელები კარგად გამართეთ, იცოდეთ, ვისაც ცელი პირველად გაგიფუჭდებათ, წყალს ის მოიტანს.

დიდხანს ჩაჰკირკიტებდნენ ცელებს, საგულდაგულოდ გამართეს იარაღი და აშრიალდა მოთიბული ბალახი.

შუადღემ მოაღწია. ბიჭები თიბვას განაგრძობდნენ.

ბოლოს, მეშვიდეკლასელ თამაზ როსტიაშვილს უმტყუნა ბედმა, უხმოდ დაავლო ხელი კოკას და თავქვე დაეშვა მაშინვე. ღიმმორეულმა ბიჭებმა მზერა გააყოლეს.

ამასობაში გოგონებს თავიანთი გასაჭირი გასჩენოდათ. პირველივე ზვინი დადგეს თუ არა, მაშინვე მოაგონდათ, დასამაგრებელი მავთული ან თოკი რომ არ ჰქონდათ, თორემ ზვინს ქარი დაშლიდა, წვიმაც შიგ ჩაატანდა და ჩაალპობდა.

— მოდი, ბავშვებო, ზვინებს სულაც ნუ დავდგამთ, — წამოიძახა უცებ ვენერა ბურდულმა.

გოგონებმა მისკენ მიმართეს გაკვირვებული მზერა.

ვენერამ გულში გაიფიქრა, ალბათ, რაღაც უცნაური ვთქვიო, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და განაგრძო.

— რა გაკვირვებით მიცქერით? ზვინი მაინც ხომ უნდა დავშალოთ და სამარხილო გზამდე ისე ჩავიტანოთ. ჰოდა, არ სჯობია პატარ-პატარა კონებად შევკრათ და ახლავე წავიღოთ?

— ყოჩაღ, ვენერა, ნამდვილი რაციონალიზატორია! — ჩაიფრუტუნა ვილაცამ.

ბავშვებმა ხარხარი ატეხეს.

ვენერა გაიბუტა და განზე გადგა.

დალი ბუჩუკური ბავშვებს გაუწყრა. არცოდნა, არ ცოდვააო, — თქვა. მერე ვენერას გვერდით ამოუდგა.

— შენ ამ საქმისა, როგორც გეტ-

პიონერი

12

დეკემბერი

1975

საქართველოს ალკა ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ყობა, არაფერი გაგეგება. აბა ყური მიგდე, მე აგიხსნი:

— თივის ჩატანა ქვემოთ მანამ არ შეიძლება, სანამ იგი არ გამკვრივდება, ანუ, როგორც გლეხები იტყვიან, არ „დაჯდება“. მხოლოდ ამის შემდეგ წავიღებთ, მაგრამ ამისთვის ზვინის დაშლა სულაც არ არის საჭირო. ზვინის ძირს სპეციალურ ჯოხზე, ანუ ხალაზე დავამაგრებთ, ხალას მოვეჭიდებით და ზვინს დაუშლელად ჩავაცურებთ სამარხილო გზამდე. სამარხილო გზა ახლოსაა, არც დიდი ოღროჩოღროა, ჩატანა არ გაგვიჭირდება. ამიტომაც დიდ ზვინებს დავდგამთ. შემდეგ მარხილზე დაუშლელად დავდებთ, საბელს გადავაკრავთ და ბოლოზე მობმული კაკვით დავამაგრებთ.

— კეთილი, მაგრამ ახლა მავთული ან თოკი სადღა ვიშოვოთ? სოფლამდე ალბათ თხუთმეტი კილომეტრი იქნება და...

— ეჰ, ვალდახის დაგრეხვა რომ ვიცოდე?! — მოწყენით თქვა თინა ბედოიძემ.

— რატომ აქამდე არ მომაგონდა? მე ვიცი ეგ საქმე, — წამოიძახა გახარებულმა დოდო გომურმა.

— ცოტა რამ მეც გამეგება, — თქვა დალიმ და სავალდახე ბალახის ძებნას შეუდგა.

მალე დოდომ და დალიმ კარგა ბლომა გრძელი, განსაკუთრებული ჯიშის ბალახი შეარჩიეს და საგულდაგულოდ აჩეჩეს. სავალდახე მასალა მზად იყო. დოდომ გრეხა დაიწყო, დალი თანდათან აწვდიდა აჩეჩილ ბალახს. ასე გამზადდა თოკი ვალდახი. დოდომ იგი მხრებზე მოიხვია და ზვინისკენ გასწია. მალე ზვინი ისე კოხტად შეკრეს, რომ თვით დიდად გამოცდილი მთიბავებიც კი წუნს ვერ დასდებდნენ...

მთელი ზაფხული ხმიანობდა შარმიაანთ მთა. თითქოს მთასაც უხაროდა, სიცოცხლე რომ დუღდა მის ფერდობზე, მკერდს შლიდა, ფართოვდებოდა, ცდილობდა დიდხანს ყოფილიყო მასთან შრომის ჰარმონია, მხიარულება, ჟრიამული...

ნათქვამია, ყველაფერს აქვს თავისი დასასრულიო და აქაც დადგა ეს დღე.

დოდო გომურმა ზვინებს გადახედა, ნაბადმოსხმული გოლიათებივით რომ დაყუდებულიყვნენ დამრეცებზე. პირობა უკვე გადაჭარბებით გვაქვს განაღდებული, — ჩაილაპარაკა გაბადრულმა.

— დოდოს ისეთი თვალი აქვს, მისხალში არ შეცდება! — წამოიძახა დალიმ.

— თუ ჩვენმა მწველავებმაც ასე კარგად იმუშავეს, ქვეშეთის საშუალო სკოლა ერთ-ერთი მოწინავე იქნება დუშეთის რაიონში.

— ამბავი მოიტანეს, წუხელ გამგეობის სხდომაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უთქვამს: წველადობის თვიურ გეგმას წარმატებით ვასრულებთ და ამაში თავისი წვლილი ჩვენმა პიონერებმაც შეიტანესო. — თქვა თინამ.

— ჰო, მართლა, ნათელას ობოლი ხბო აუყვანია მოსავლელად. თანა ჰყვებაო, ისეთი კარგი ბოჩოლა ყოფილა!..

— ამ საქმეს უკვე ვრჩებით, მოდი, გოგონებო, ახლა ნათელას ვესტუმროთ, ვნახოთ, ერთი, როგორია მისი ბაჩა, — თქვა ვენერამ...

მზე შუბის ტარზე დასულიყო, როცა ბიჭებმა მწვერვალს ფეხი დაადგეს და ყიჟინა დასცეს. გოგონებიც ავარდნენ ჟივილ-ხივილით, ხარბად ისუნთქავდნენ თოვლიანი მწვერვალებიდან მონაბერ გრილ ნიავს და ახალმოთიბული თივის სურნელს. მერე წრე შეკრეს. ფერხული გამართეს და საზეიმო სიმღერა მოედო არემარეს.

ა, იმ მთაზედა...

თინა ბედოიძე განცალკევდა, ბექობზე შედგა, შორს სივრცეს გახედა და გზნებით წარმოთქვა:

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა...

თინა თამაზ როსტიაშვილმა შეცვალა:

მთას ვუცქერ, ყელმოღერებულს,
მთელის ხმელეთის მფლობელსა,
თვის დღეში ცრემლ-დარდ
უნახველს
არვისთვის არც რის მთხოვნელსა.

მოსაღამოვდა, ბავშვები თავქვე დაეშვნენ. ამაყად მიაბიჯებდნენ. ჰქონდათ კიდეც საამაყო. მათაც ხომ თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო შრომაში.

— შენთან
ყოფნას
რა
სჯობს,
მაგრამ
სკოლაში
რომ
მიმეჩქარება?



ვ. ბორისენკოს ფოტო.

დ ი ლ ა რ   ი ვ ა რ დ ა ვ ა

## ნია ვრცელდება

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲜᲘᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ.



— გრუზინ? — რუსი მეკითხება
ირკუტსკში და ვამბობ:
— დიახ!
და აგრძელებს:
(უმალ ხვდება),
— თუ ეწვიეთ, ალბათ, ნიას!
ირკუტსკიდან უსტ-კუტს გავლით
ერთ დღეს ჩახვალთ დაბა ნიას.
ეს ციმბირი ქართვლის თვალით
ვრცელია თუ მაღალია?
... თოვლი, ყინვა
და... ვგრძნობ, ყინვამ
ორმოც გრადუსს ააღწია, —
ფიქრობ, ქართველებმა ბინა,

რად დაიდეს ამ დროს ნიას?
საჭიროა!..
აქ იგება
ქალაქი და მაგისტრალი
და იღვრება შრომის ხმებად
მოლაპლაპე რვალის ტანი.
დღეს აქ უნდა ასახელონ
ჩვენი მთა და ჩვენი ბარი —
მშობლიური საქართველო,
თავის ჩანგით, თავის ქნარით.
მოფშხრიალე თოვლის ქვიშა
მოაქვს პურგას, განა ნიავს, —
ქართველების საქმეს ნიშნავს,
რაც შენდება ახლა ნიას.

## შორეული ზამთრის სიმღერა



გათეთრებულა აქ ყველა ნაძვი,
გაქვავებულა აქ ყველა ფიჭვი
და ვზომავ თვალით
გატყორცნილ მანძილს,
რომლის შეჩვევაც, ცხადია, მიჭირს.
აქ სითეთრეა ქვეყნის გამგები,
(უნდა ირწმუნო, თუკი მოხვედი),
მაგრამ კვლავ ყურში მღერი
ჰანგებით
ხმიანობს ჩემი მწვანე კოლხეთი.
მახლავს სიზმარშიც, დღე და
მოსწრება,
კავკასიონი მხნედ აღმართული —

ჩემი სიმღერა, ჩემი ოცნება,
ჩემი სიმწვანე — მარად ქართული;
თუმცა ამ მხარეს რაც აფერადებს,
მასაც კი ჰქვია ახლა ზღაპრული
და ლეგენდების სუნთქვა —
ყელამდე
ამ სიცხადეში არის ჩაფლული.
ვიცით, დროს მუდამ თავისი ახლავს,
ფიქრის ახდომა,
წადილი,
წყრომა,
გმირობას ნიშნავს ნამდვილად ახლა,
ზამთრის ციმბირში ასეთი შრომა.

## ჩრდილოეთის ციალი

ᲢᲘᲥᲡᲨᲘ ᲔᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ— ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲐᲚᲘ ᲕᲘᲮᲘᲚᲔ.



პოლარულ ღამეს —
მეწამულ ცაზე,
უცებ აენთო გვირგვინი იგი,
და ტუნდრა, ირმის ჯოგებით სავსე,
გაიყინა და, ვით თეთრი წიგნი,
მოოქროვილი კრთოდა სირმებით —
თავს დაგვნათოდა ასი ტიარა,
მლოცველებივით იდგნენ ირმები
და ნათელხილვა მუდამ ბრიალა,
იწვოდა ჩუმად ზღაპრული ალით

და თეთრ მიხაკთა ფიფქების მიღმა
მარგალიტების ძვირფასი თვალი
ნელა აჭკნობდა ათასფერ ნიღაბს.
და იდგა წამი — ელვარე
ფრთოლვით...
(აქ ფერებს ნაღდი მხატვარი უნდა!)
გარდა თოვლისა,
სხვა არის თოვლი,
გარდა ტუნდრისა,
სხვა არის ტუნდრა.

ვ ა ხ ტ ა ნ გ   ძ ნ ე ლ ა ძ ე

## მომავლის ქალაქი

ქარიშხალსა თუ ნიავში
მომავლის ქალაქ ნიაში
შეუპოვრობა ქართული
ბრწყინვალე დღეებს ბადებს.
შეჯიბრებია გმირს გმირი,
რომ ააყვავოს ციმბირი,
რომ ვგრძნობდეთ უფრო ძალუმად
დედასამშობლოს ნათელს.

ფრთებს შლის, მაღლდება ნია და
ბავშვებიც იქ ვართ ნიადაგ, —
იქ ვართ ფიქრით და ოცნებით,
ძმებსა და მამებს ვშველით.

შრომის გუგუნს რომ შერწყმია,
ჩვენი ჰანგების ცეცხლია,
სამშობლოს სიყვარულისთვის
გზა არ არსებობს ძნელი.

ანათებს ჩვენს ამანათებს
და ჩვენს ბარათებს ანათებს
მზე ჩვენი ნორჩი გულების,
მადლი ქართული მიწის.

ჩვენ ვხედავთ ძლეულ ტაიგას,
ხვალის ამურს და ბაიკალს
და პირქუშ უსაზღვროეთში
ლაღი სიცოცხლის სიცილს.

ნია თბილისის ძმა არის,
ქართველის გულისთქმა არის,
ნია საყვარელ ქალაქებს
ამოუდგება მხარში.
ვუმღერით დიად შენებას,
რომელსაც მუდამ მზე ნებავს,
ბედნიერება გვეძლევა
მხოლოდ ბეჯითი გარჯით.

გ. შაელიაშვილი

# პაპა თეოფილე

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი.

პაპა თეოფილე ოთხმოცდათხუთმეტი წლისაა. აღარც თვალი უჭრის, აღარც ეყურება. მეხსიერებამაც უღალატა. გუშინდელ და გუშინწინდელ ამბავზე, ეგ არ მომხდარა, მაგეთი არაფერი ყოფილაო, დაობს.

გუშინწინდელ ამბავზე დაობს, ოთხმოცი წლის წინათ მომხდარს კი გუშინწინდელივით ჰყვება.

პაპა თეოფილეს ზურიკოც იცნობს, ვახტანგიც, ნინოც, ვერიკოც და დიდი ხათუნაც. მხოლოდ პატარა ხათუნა არ იცნობს პაპა თეოფილეს.

პატარა ხათუნა ექვსი წლისაა. მისთვის ხათუნა ჯერ არავის დაუძახნია. მოუსვენრობის გამო, მგონი სამუდამოდ შეერქვა ციბრუტელა.

ექვსივენი ენგურჰესის მშენებლების შვილები არიან და საბერიოს დასახლებაში ცხოვრობენ.

პაპა თეოფილე კი სოფელ საბერიოში, ცისფერაივნიან სახლში ცხოვრობს.

სოფლის სახლები პაწაწინა გორაკზეა წამოსკუპული და თავმომწონედ გადაჰყურებენ დაბლობს, სადაც დასახლებაა გაშენებული. ეს პატარა გორაკი უფრო დიდ გორაკებს შორის არის მოქცეული. ამ დიდების უკან მაღალი მთები აყუდებულან, ხოლო მთებს ყინულისთავიანი მწვერვალები ამოსდგომია დარაჯებად.

იშვიათად, მზიან ამინდში, როცა დილის ნისლი აიკრეფს ხოლმე თავის გუდა-ნაბადს, ციბრუტელას აივნიდან სახეგაბრწყინებული მყინვარწვერის დანახვა შეიძლება.

იშვიათადო, იმიტომ ვამბობ, რომ საბერიოში წელიწადის უმეტესი ნაწილი წვიმიანია.

ისედაც ტენიანი ნიადაგი ამდენ ნალექს ვერ ისრუტავს, დროზე ვერ ატარებს და მკერდზე პაწაწინა ტბებად და გუბეებად აგროვებს. ასეთ შემთხვევაში აქაურები ამბობენ: ფერდობს წყალი შეუდგაო.

ჰოდა, წყალშემდგარი ფერდობი ნებით თუ უნებლიეთ ქვევით მოსრიალებს. მოსრიალებს თავის ნარგავებიანად, ბუჩქებიანად, ხეებიანად, ელექტრონის ბოძებიანად, ბარდებიანად თუ ვეება ლოდებიანად. მოსრიალებს ისეთი ზარით, ხათქუნით, ლაწალუწით, გრუხუნითა და გრიალით, გეგონება, ათას ვეფხვს ერთად გაუღვიძია და აღრიალებულაო.

ასეთი მეწყერები ბევრ სადავიდარაბოს უქმნიან ენგურჰესელ მშენებლებს, მაგრამ ინჟინრებმა და გეოლოგებმა კარგად იციან მიწისა და წყლის ჭირვეულობასთან ბრძოლის ხერხები. ხან ბეტონის კედლებს აშენებენ და ფერდობს ძირს უმაგრებენ, ხან ყორეყრილს აწყობენ, ხან — რას და ხან—რას. ამიტომ სოფელიცა და დასახლებაც გულარხეინად ბინადრობს თავის გორაკებსა და დაბლობზე.



იმ დროს კი (როდინდელ ამბავსაც პაპა თეოფილე ჰყვება ხოლმე) მეწყერსა და ჭაობიან უთანასწორო ბრძოლას აქაური მოსახლე გარიდებასა და გაცლას ამჯობინებდა. ამიტომ სოფელმა საცხოვრებლად ძალიან მაღალი და მიუვალი მთის კალთები აირჩია, სადაც არც მეწყერი იყო მოსალოდნელი და არც ნიადაგის დაჭაობება.

ციბრუტელას აივნიდან თუ გაიხედავთ, კოშკს დაინახავთ. კოშკის ზევით მთის სერი ახლა ტყით არის დაფარული. მაშინ კი სიმინდის ლურჯი ყანები შრიალებდა.

თოხს შებერებული გლეხი თუ ულვაშშეღერებული ჭაბუკი თითოეულ ღერს სასოებით შესცქეროდა და მზის ამოსვლისას თუ ჩასვლისას ერთსა და იმავე სალოცავსა ლოცულობდა: რძეჩამდგარ ტაროს შემოსვლა დასცლოდა, არც გვალვასა და წვიმას გაენადგურებინა, არც ნადირს გაეოხრებინა.

ნადირი ახლაც ბევრია მთებსა და ჭალებში. სიმინდის ყანებიც ბლომად არის სოფელსა და დასახლებაში, მაგრამ ნადირი ქვევით ჩამოსვლას ველარა ბედავს. ტყეში გახშირებული ეკალ-ბარდები და ხვიარები არ აძლევენ ჩამოსვლის საშუალებას. აქაურები ამბობენ, მაღლა მთებში ხვიარები არ იცისო. აქ კი ისეა მოდებული, ტყეში გზის გაკვალვა კაცსაც გაუჭირდება და მხეცსაც.

ზამთარში, როცა ხეები დაშიშვლდებიან, იმ ხვიარების წითელი ტანფეხი მთებს მოყავისფრო-მოშვინდისფროდ შეფერავს ხოლმე.

პაპა თეოფილეს ბავშვობისას ამ ხვიარებს, ეკალბარდებს, გამხმარ ბალახებს, ფიჩხსა და კაჭიჭს შემოდგომობით ცეცხლს უკიდებდნენ თურმე.

წარმოგიდგენიათ, რა ზღაპრული სანახავი იქნებოდა ღამით ეს ცეცხლწაკიდებული მთები.

კი არ წამომცდა, ნამდვილად ღამით ბრიალებდნენ მთები.

სალოცავად აწვდილი ხელებივით ცისკენ მიემართებოდნენ ცეცხლის წითელი ენები. ზეცასაც ცეცხლს უკიდებდნენ, მეწამულისფრად ღებავდნენ, იკლაკნებოდნენ, ცეკვავდნენ.

შუაღამემდე ბობოქრობდა ცეცხლი. ტკაცუნობდა, ხმაურობდა, ვარსკვლავებივით ნაკვერჩხლებს აქეთ-

იქით ისროდა, იმ ეკალბარდებსა და ბალახ-ბულახს მუსრს ავლებდა, ღონეს იკრეფდა, ძლიერდებოდა, თითოეულ ხეს გარშემო უტრიალებდა, ალში ხვევდა, მაგრამ ვერაფერს აკლებდა.

შუაღამის შემდეგ კი ძალაგამოლეული სულსა ღაფავდა, ქრებოდა, იღველფებოდა, ინაცრებოდა...

დილით მზის ამობრწყინებას გასუფთავებული, აბეზარი ხვიარებისაგან განთავისუფლებული, დაწკრიალებული ტყე ეგებებოდა.

ზღაპარსა ჰგავს, განა?

ტყეში ცეცხლი მძვინვარებდა და ტყე საღ-სალამათი რჩებოდა.

პაპა თეოფილეს ბავშვობისას ეს ჰთები ბზის ტყითა ყოფილა დაფარული.



ზურიკომაც იცის, ვახტანგიმაც, გოგოებს კი არასოდეს გაუგიათ ბზის ხის სიმტკიცე და სიმაგრე. ხვიარებისაგან დანთებული ცეცხლი ფოთოლს თუ შეუტრუსავს მას, თორემ ტანსა და ტოტებს ნირსაც ვერ შეუცვლის. ნირს ვერ შეუცვლის თუ, რა თქმა უნდა, ცეცხლმა მეკავშირედ მზე არ გაიხადა.

მართალია, ეს ყოველივე შემოდგომობით ხდებოდა, მაგრამ ახლანდელისა არ იყოს, აქაური შემოდგომის მზე არც მაშინ იყო სანდო და საიმედო. შემოდგომით კი არა, ხანდახან ზამთრის პირზეც ისე დააჭერს ხოლმე, ლამის დედამიწას ალმური აადინოს, ღამღამობით კი ზაფხულშიც ისე გრილა, ზურიკო და ვახტანგი აივანზე ბამბის საბნებში იფუთნებიან, გოგოები კი გარეთ ძილს ვერა ბედავენ.

ტყეებში აქა-იქ ახლაც ბზინავს ბზის ხე, მაგრამ არც ზურა და არც ვახტანგი სათამაშო ნავებს იმისაგან არასოდეს თლიან. ჯერ ერთი, რა დანა გათლის, ისეთი მაგარია, საჭრეთელიც ვერაფერს აკლებს და მერე ისეთი მძიმეა, მდინარეში არ ჩაიშვება. არა, ჩაშვებით კი, როგორ არ ჩაიშვება, მაგრამ რად გინდა — ზევით არასოდეს ამოტივტივდება.

პაპა თეოფილეს ბავშვობაში ბზის ხეს გემებით ეზიდებოდნენ აქედან უცხოეთში. პაპას თავისი თვალით არ უნახავს, მაგრამ ვიღაცას უთქვამს, საფრანგეთის მეფის ტახტი აქედან წაღებული ბზის ხისაგან არის გამოჩუქურთმებულიო.

პაპა თეოფილე ამას იშვიათად იმეორებს. რაც თავისი თვალით არ უნახავს, იმაზე ძნელად ათქმევინებს კაცი.

ზამთარში ტყეში მოთარეშე ნადირზე კი რამდენიც გინდა ალაპარაკეთ.

კოშკს აცილებულ სერზე მაშინ (როცა ეს ამბავი მომხდარა) პაპა თეოფილეს სიმინდის ყანაც შრიალებდა ლურჯად. თითოეულ ღერზე ვაჟკაცის მკლავის სიმსხო ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი ტარო შესკუპულიყო და წითელქოჩრიან თავს იწონებდა.

სახლის მომიჯნავეებს ყანებიც გვერდ-გვერდ ჰქონდათ.

პაპა თეოფილე თავზეხელაღებული მონადირე იყო. ნადირის კვალს ცხრა მთას იქით გასდევდა, ხანდახან კვირაობით მუხლამდე თოვლში დაეხეტებოდა. მისი გზის მაცქერალ დედას თვალები გამოღამებული ჰქონდა.

იმ შემოდგომაზე კი ერთხელაც არ გასულა გაღმა მთაზე, რადგან ყანას ყარაულობდა ერთგულად. ტაროებით დახუნძლული ძვალმსხვილი ღეროები ცისკენ იწევდნენ. გალესილ დანასავით მჭრელ, მწვანე ფოთლებს ერთმანეთს უტყლაშუნებდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს კი, სახლიდან სერზე ამოსულ პაპა თეოფილეს (რა თქმა უნდა, მაშინ პაპა კი არა, ერთი ახალგაზრდა ბიჭი იყო) თავისი სანაქებო ყანა გაქელილი და გაოხრებული დახვდა. მეზობლისას გადახედა, არც იმას დაჰყროდა ხეირი.

წარმოიდგინეთ, როგორ გაგულისდებოდა თეოფილე!

ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ეს ბოროტმოქმედება დუდღუნა და ბაჯბაჯა დათვის ჩადენილი იქნებოდა.

ყანას დაუარა, რისი წამოყენებაც შეიძლებოდა, წამოაყენა. მერე სახლში ჩამობრუნდა, თავის მეზობელს, იმენოსაც შეატყობინა ეს ამბავი.

იმ დღეს სერზე, ბარე ათჯერ ავიდნენ ჯერ-ჯერით მეზობლები, მაგრამ, ეტყობოდა, იმ ღორმუცელა დათვს, გამძღარსა და ნასიამოვნებს ტკბილად ეძინა.

მთელი ღამე სდარაჯობდნენ იარაღასხმულები. ერთი თუ წასთვლემდა, მეორე ფხიზლობდა.

ორივენი ერთად იწვნენ თივის ზვინში. სხვადასხვა ადგილას დადარაჯებას აბა რა აზრი ჰქონდა. ის დათვი ფეხაკრეფითაც რომ მიჰპაროდა, იმათ დაგეშილ სმენას მაინც არ გამოეპარებოდა.

ყურდაცქვეტილი ძაღლები ზვინის ძირში ისე განაბულიყვნენ, შორიდან მაცქერალს ჩაძინებული ეგონებოდა. ოდნავ თუ მიუახლოვდებოდით, (თუ რა თქმა უნდა, მიგიახლოვებდნენ უცხოს) იმ ყიამეთ სიბნელეშიც კი იგრძნობდით, როგორ უთრთოდათ სხეული.

ჯერ გათენება სად იყო, ჯერ მთვარეს შუქი არ გამქრქალებოდა, ნახანძრალი ჭალიდან ყრუ ბრაგუნი რომ მოისმა. ჩასაფრებულებმა მიწას გაკრეს ყური. საიდან მოდიოდა ნადირი, მისივე ფეხის ხმით დააზუსტეს. კისერდაგრძელებული ძაღლებიც იქით იყურებოდნენ.

განთიადის წინ, როგორც აქაურები ამბობენ, როცა მზე ჯერ ისევ იზმორება, მთებში საოცარი სიბნელე ჩამოწვება ხოლმე. მერე მოულოდნელად, ერთი თვალის დახამხამებაში





ნათდება აღმოსავლეთი.

აი სწორედ ასეთ სიბნელეში ორმა თოფმა თითქმის ერთდროულად გაადინა ჭახანი. ჭახანს საზარელი ღრიალი მოჰყვა და ორივემ აშკარად დაინახა, უშველებელი ლანდი უკანა თათებზე როგორ წამოიმართა, ისე ჩეაღმართული როგორ შებრუნდა ზურგისაკენ და ღრიალითა და ტოტების ბრაგუნით, ტოტების ლაწალუწით ტყის სიღრმისაკენ როგორ გაიქცა.

ძაღლები მაშინვე გაედევნენ, პატრონებიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

მოულოდნელად პაპა თეოფილეს ყურშა შედგა. ჯერ თავი ასწია, თითქოს ჰაერი დაყნოსაო, მერე მიწას დაადო ცხვირი. მარცხნივ შემობრუნდა და კი არ გაიქცა, გაფრინდა. მონადირეები დაიბნენ. დაჭრილი დათვი მარჯვნივ გარბოდა, მას იმენოს ძაღლი მისდევდა, ყურშამ კი მხეციც მიატოვა, მეგობარსაც უღალატა, პატრონსაც გაუურჩდა და გეზი იცვალა.

კაცების ყოყმანი ერთ წამს გაგრძელდა მხოლოდ. მერე ორივე თავთავის ძაღლს გამოედევნა.

ყურშა დაუჯერებელი სისწრაფით გარბოდა ტყეში. უკან არ იხედებოდა, მაგრამ იცოდა, პატრონი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ძნელი სათქმელი იყო, რამდენ ხანს გარბოდნენ ძაღლი და კაცი. თეოფილე აშკარად გრძნობდა, უკვე მუხლი ეკვეთებოდა. მუხლი ეკვეთებოდა მგლისმუხლა კაცს, მუხლამდე თოვლში მთის მწვერვალებზე თვეობით რომ ებლოტებოდა და დაღლილობა არ ეკარებოდა.

იმ ძაღლის გარდა კაცი ვერავისა ხედავდა, მაგრამ რა დიდი გამოცანა სჭირდებოდა, რომ ძაღლი ვიღაცას მისდევდა, ის ვიღაცა თუ რაღაცა არჩვივით და ირემივით სწრაფი იყო, მაგრამ იმათი ჩლიქების ხმას არა ჰგავდა მისი ფეხის ხმა. დათვივით დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც დათვის ბაჯბაჯსა ჰგავდა ეს სირბილი. უფრო კატის თათების სირბილე უნდა ჰქონოდა მის კიდურებს, რადგან თუმცა საოცარი სისწრაფით გარბოდა, იმ კიდურებს მიწას რბილად, თითქოს მოკრძალებით აკარებდა.

მოულოდნელად იქაურობა აქამდე არგაგონილმა ღრიალმა გააყრუა. თეოფილეს მოეჩვენა, რომ ამ ღრიალმა მთები შეაზანზარა, ისიც მოეჩვენა, რომ ყინულისთავიან მწვერვალებამდე მიაღწია და ათასწლიანი თოვლი უზარმაზარ ზვავებად ააგორა. გვიან მიხვდა, ეს ზვავების ხმა კი არა, მთებში დარხეული ღრიალის ექო იყო.

ეს ღრიალი დათვს გამოდევნებულთა ყურსაც მისწვდა, გული გაუხეთქა. დათვის დევნაზე ხელი აიღებინა და მეზობლის მისახმარებლად ააჩქარა.

ყურშა მხოლოდ ერთი წუთით შეჩერდა. მერე კვლავ დაედევნა. უცებ კაცმა ძაღლი ხედვის არედან დაკარგა და მაშინვე მისი წკავწკავი შემოესმა. არა, წკავწკავი ვინ მოასწრო. ერთი წაიკნავლა მხოლოდ და მაშინვე გაჩუმდა. მისი გაჩუმება და კაცის თვალწინ იმ საზარელი სურათის დატრიალება ერთი იყო.

ორად გაგლეჯილი ძაღლი ჰაერში დაბზრიალდა. ერთი ნახევარი პირდაპირ ხრამში გადაეშვა, მეორემ კი პირველზე დიდი რკალი შემოხაზა ჰაერში და იქვე ლოდებს დაენარცხა.

კაცს პირი გაუშრო შიშმა, რომლის მსგავსი თავის სიცოცხლეში არ განეცადა.

მეზობლის აქლოშინებულმა ძაღლმა პატრონზე უმალ მოირბინა. ძაღლის პატრონმა კარის მეზობელი ცოცხალი რომ დაინახა, დამბაჩა იძრო და ჰაერში დაცალა. დამბაჩის ხმამ თეოფილეც გამოაფხიზლა, თვითონაც იარაღზე იტაცა ხელი და უკვე გასროლილს თავისი ტყვიაც დაადევნა.

როგორმე კვალი არ უნდა დაეკარგოდათ, ამიტომ იმ არნახულ მხეცს მეორე ძაღლი მიუქსიეს (რაც მალე სანანებელი გაუხდათ).

ძაღლი მხეცს ციბრუტელას სახლს უკან აყუდებულ მთის წვერზე წამოეწია. ეტყობოდა, მხეცი თვითონ გაჩერდა, თორემ ძაღლი რას დაეწეოდა, ეს კია, რომ მიახლოება და აწკავწკავება ერთი იყო. იმავე წამში ორად გაგლეჯილი ყურშას სხეულივით ჰაერში დაბზრიალდა და სხვადასხვა მხარეს გადავარდა.

კაცებმა, სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხეს, სიბრაზისა და სიმწრისაგან მჯიღებზე იკბინეს.

სოფლის მეძებარი ძაღლების გამოჩენა და დევნის განახლება ერთი იყო. იმ ღრიალით თავზარდაცემულ სოფლელებს, რაც ხელთ მოხვედროდათ, ის წამოეღოთ. ზოგი ნაჯახით იყო შეიარაღებული, ზოგი ორკაპით, აქა-იქ თოფებიც მოჩანდა. დევნით გაბეზრებულმა უცხო მხეცმა ორჯერ კიდევ დაიღრიალა, ხევი გადაირბინა და იმ მთის აღმართს შეუდგა, რომლის ძირშიც, პატარა გორაკზე ვამეხის ორსართულიანი სახლი დგას



ახლა. იქ გეზი იცვალა და ისევ სოფლისაკენ გამოემართა.

ყანებთან სერამდე კარგა დიდი მანძილი იყო დარჩენილი, როცა მესამე ძაღლი ეზიარა ამ ორის ბედს. პაპა თეოფილემა და კიდევ ორმა გლეხმა იმ პირდაღებულ და თვალანთებულ მხეცს პირველად მაშინ მოჰკრეს თვალი.

სულ მალე მეოთხე ძაღლი აწკავწკავდა. იმ დროს მისი პატრონიც იქვე ახლოს მორბოდა. ხელში მაღლა შემართული ნაჯახი ეჭირა. სხვა მონადირეები ცოტა მოშორებით მისდევდნენ.

პაპა თეოფილემ ნაჯახიანს შეუყვირა, უგანეო, მაგრამ კაცს ნადირმა ძაღლი თვალწინ გაუფატრა, აბა იმას თეოფილეს შეძახილი როგორ შეაჩერებდა.

გააფთრებულმა კაცმა ნადირს პი-

რდაპირ თავში დაუმიზნა ნაჯახი, თავგამეტებით მოიქნია და სწრაფად ესროლა. მხეცი სწორედ იმ დროს როგორღაც გვერდულად გადახტა, რკინა შემთხვევით აიცდინა, იქვე ჩაჯდა და უცნაურად დაგორგლდა, დაპატარავდა, მერე მოულოდნელად ისკუპა ჰაერში, კამარა შეკრა, ნაჯახის პატრონს ეძგერა, ორივე მკლავში კლანჭები ჩაასო და შორს მოისროლა. თვითონ ისევ დაიკუნთა და როცა მეორედ აფრინდა ჰაერში, პაპა თეოფილეს მიერ გასროლილ ტყვიას შეეფეთა. მხეცი უკან გადავარდა, მაგრამ ჰაერშივე შეტრიალდა და მარჯვენა გვერდით შეეხო მიწას. იმის დაცემა და თეოფილეს თოფის მეორედ გავარდნა ერთი იყო.

დაჭრილმა თავი წამოსწია, იქაურობა განრისხებული თვალებით მოათვალიერა. ალბათ ისევე მოულოდნელად წამოფრინდებოდა, თეოფილეს რომ არ მოესწრო და შიგ ყელში არ ეტაკებინა ალმასივით მჭრელი წვერი ორკაპისა, რომელიც გვერდით მდგომ გლეხს ხელიდან გამოსტაცა.

სისხლმა შადრევანივით ამოასხა ყელიდან. მხეცის თავი ერთი წამით შეეხო მიწას, მაგრამ ის ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა, რათა ყველა იქ მყოფთ ერთბაშად ეხუვლათ და ზედ შესჯდომოდნენ.

თეოფილე ორკაპის ტარს კიდევ დიდხანს აწვებოდა მთელი ძალით.

უცხოდ მოხატულ მხეცს სიკვდილი არ დააცალეს. არც ტყეში გატყავება აკადრეს. ათმა კაცმა მხრებზე გაიდო, სერ-სერ ატარა და სულთმობრძავი და გაკოჭილი სოფელში ერთი ყიჟინითა და სიხარულის შეძახილებით ჩამოიტანა.

თეოფილე წინ ჩაიყენეს.

ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, იმოდენა დათვისა და ამ საზარელი, უცხო მხეცის ერთ დღეს მონადირება.

მკლავებდაშავებული სახელდახელოდ შეკრულ საკაცეზე დააწვინეს და ნება-ნება ტარებით ჩამოიყვანეს.

მთელი სოფელი შეეგება მონადირეებს.

მთელ სოფელში კაცი არ აღმოჩნდა იმ მხეცის მნახველი და მცნობელი.

მთელ სოფელში არავის არასოდეს გაეგონა ზოოპარკის სახელი.

მთელ სოფელში არვინ იცოდა წერა-კითხვა.

მკლავებდაშავებულს ვერანაირმა მკურნალობამ ვერ უშველა, არა წამალი არ დაედო მალამოდ, სიბერეშიც, როცა აბედს კვესს უკიდებდა, იმ ცალ ხელს მუხლზე ჩამოიდებდა ხოლმე.

მხეცის ტყავი სოფლის განაჩენმა პაპა თეოფილეს არგუნა.

თეოფილემ თავის სახლის კედელზე ჩამოჰკიდა.

მოყავისფრო, დაბალბეწვიანი ტყავი იყო. აბაზისოდენა თეთრი და შავი წერტილებით მოხატული. მუცელთან თეთრი წინწკლები სჭარბობდა. ზურგი სადა ყავისფერი ჰქონდა, ზედ ხერხემალთან ერთი შავი ხაზი ჩაუდიოდა. ის ხაზი კუდზეც გრძელდებოდა. რბილი, ძალიან რბილი ბეწვი ხავერდივითა ბზინავდა.

ტყავის სილამაზის ამბავი სოფლიდან სოფელში გადადიოდა, იმის სანახავად მილეთის ხალხი მოდიოდა.

ბოლოსო, თქვა პაპა თეოფილემ, საფრანგეთიდან ჩამოსულ პრინცესას კაცებმა ას ორმოცდაათ ოქროდ და ვერცხლით მოჭედილი ერთი თოფის საფასურად წაიღესო. იმათვე თქვეს: მაგ მხეცს ვეფხვი ჰქვია და ცხელი ქვეყნების ბინადარია. აქ შემთხვევით გადმოვარდნილა. ას წელიწადზე მეტია საქართველოში ვეფხვი აღარავის უნახავსო.

ოქრო სოფელმა გაინაწილა. უმეტესი ნაწილი ცალმკლავდაშავებულს ერგო. თოფი კი პაპა თეოფილეს უბოძეს.

პაპა თეოფილემ თოფი ვეფხვის ტყავის ადგილზე ჩამოჰკიდა, ვინც მოდიოდა, ყველას აჩვენებდა, საქართველოში მოკლული უკანასკნელი ვეფხვის მაგიერიაო.

ამ ამბავში გამოგონილი არაფერია, მაგრამ შიგ ორი ტყუილი მაინც გაიპარა.

ჯერ ერთი, პაპა თეოფილე ოთხმოცდათხუთმეტი წლისააო, რომ ვთქვით.

პაპა თეოფილე აღარ არის. სანამ ეს მოთხრობა დაიბეჭდებოდა, პაპა თეოფილე გარდაიცვალა.

მეორეც, პაპა თეოფილეს ვეფხვი საქართველოში მოკლული უკანასკნელი ვეფხვი იყოო.

ამ ამბიდან ოციოდე წლის შემდეგ მცხეთასთან ახლოს კიდევ მოუკლავთ ერთი ვეფხვი. მაგრამ მაშინ პაპა თეოფილე ჯერ ისევ მთაში ცხოვრობდა. არც ეს ცისფერაივნიანი სახლი ჰქონდა, არც რადიო, არც ტელევიზორი, არც გაზეთი. გაზეთი კიდევაც რომ ჰქონოდა, რის მაქნისი იყო, წერა-კითხვა მაინც არ იცოდა. არც ეს ლამაზი გზები იყო, რომლებიც ენგურჰესის მშენებლებმა, ზურიკოს, ვახტანგის, ნინოს, ვერიკოს, ხათუნას, ციბრუტელასა და კიდევ სხვა მრავალი ბავშვის დედებმა და მამებმა გაიყვანეს.

ასე რომ, მცხეთაში მომხდარი ამბავი პაპა თეოფილემდე მაშინ ვერასგზით ვერ მიაღწევდა.

ეგება გუშინწინებში ვინმემ კიდეც გაიხსენა მცხეთაში მოკლული ვეფხვი, მაგრამ გუშინ და გუშინწინდელ ნათქვამზე პაპა თეოფილე უთუოდ იტყოდა: ეგ არ მომხდარა, მაგნაირი არაფერი ყოფილაო.



### ვისაუბროთ ეთიკაზე

# ათასი მოწმე

**ნარგიზა მგელაძე**

მეოთხეკლასელი გოგონა ნინო მხეიძე თავის წერილში სკოლის ამხანაგების ამბავს მიყვებოდა.

,,დედას არაფერს ვუმალავ, — მწერდა იგი, — ისიც ვუამბე, რაც შორენამ გააკეთა. შორენამ კი აი რა მოიფიქრა. ქართულის მასწავლებელმა დამატებითი ვარჯიშისათვის ყველას ერთნაირი მწვანეყდიანი რვეული დაგვირიგა. შორენამ თქვა: დედაჩემმა სულ არ იცის ამ მწვანე რვეულის არსებობა. თუ ორიანს მივიღებ, დედას არ ეცოდინება და არც გამიჯავრდებაო.

— თუ კარგ ნიშანს მიიღებ? — ჰკითხა მამუკამ, — დედას არ გაახარებ?

— არა, მოვითმენ, ის მირჩევნია, გაჯავრება ამცდეს, თორემ მერე დედაჩემი წამალსა სვამს და არის ერთი ამბავი.

— უსინდისო ყოფილა ის შენი შორენა, — მითხრა დედამ. — მე არ მესიამოვნება, ჩემი შვილი ასეთ უწესო გოგოსთან მეგობრობდეს. გოგო, რომელიც ატყუებს დედას, კარგი ადამიანი არ გაიზრდება.

ვკითხე დედას, რა არის უსინდისობა-მეთქი.

— ადამიანს რომ სინდისი არა აქვს, — მიპასუხა მან.

სინდისი რაღა არის-მეთქი.

დედა დიდხანს მიხსნიდა, რა არის სინდისი და როგორ უნდა იქცეოდეს წესიერი ადამიანი. სანამ მელაპარაკებოდა, თითქოს ყველაფერს ვიჯერებდი, მაგრამ, მერე, როცა დასაძინებლად დავწექი, ისევ ამერია ერთმანეთში. აი, მაგალითად, მასწავლებელს ის მწვანე რვეულები საერთოდ რომ არ დაერიგებინა, შორენა მაინც უსინდისო იქნებოდა თუ არა? შეიძლება თუ არა, რომ ადამიანი ხან წესიერად იქცეოდეს, ხან უწესოდ?

ერთი ჩემი ამხანაგი — თამაზი ძალზე წესიერი ბიჭია, მასწავლებელს ხელს არასოდეს უშლის, არავის უკარნახებს, დავალება ყოველთვის მოაქვს სუფთად და ლამაზად შესრულებული, მუდამ დაუთოებული ფორმა აცვია, სხვა ბიჭებს თეთრი პერანგები მელნით ან პლასტელინით აქვთ მოსვრილი, თამაზისა თოვლივით თეთრია.

თამაზი წესიერი ბავშვია, — ყოველთვის აცხადებს ჩვენი დამრიგებელი. მშობელთა კრებაზე ერთხელ ისე უქიათ, რომ მამაჩემმა თქვა, ერთი ის წესიერი ბავშვი უნდა გავიცნოო.

როცა შორენას რვეულის ამბავი გაიგო, თამაზმა განაცხადა, ძალიან ცუდად მოქცეულა, დედის მოტყუება როგორ შეიძლება. დედა მტერი ხომ არ არისო. და მართალიც იყო თამაზი. ერთხელ ჩვენი რაზმი ექსკურსიაზე წავედით ბეთანიაში. ხომ იცით, რა ლამაზია იქაურობა. ტყეში იმდენი გვირილაა, ზოგი წელამდე გვწვდებოდა, ზოგი — ყელამდე. მასწავლებელი იძახდა: ბავშვები გვირილებში არ დამეკარგონო.

ჰოდა, როცა თამაშით გული ვიჯერეთ, სადილად დავსხედით. მასწავლებელმა გვირჩია: ყველამ ერთად სუფრის ცენტრში დააწყეთ, რაც კი წამოღებული გაქვთო, უფრო სახალისო იქნებაო. ასეც მოვიქეცით და გემრიელადაც ვისადილეთ. შემდეგ კიდევ ვირბინეთ და საღამოს შინისკენ წამოვედით. ავტობუსში კვლავ მოგვშივდა, მაგრამ რაღას ვიზამდით, ყველაფერი საერთო სუფრაზე გვქონდა დატოვებული.

უცებ შევხედე, თამაზი ავტობუსის ბოლო სავარძელზე მიყუდებულიყო და ქურდულად ილუკმებოდა. ნამცხვრის ნამცეცები ქათქათა პერანგზე სცვიოდა; მარცხენა ხელით მალულად იბერტყავდა გულისპირს და მარჯვენით პირში ლუკმებს იტენიდა. ირგვლივ შოკოლადისა და მიხაკის სუნი იდგა. შემრცხვა, რომ თამაზი მარტო ჭამდა. შემნიშნა, რომ ვუცქეროდი. ნამცხვარი მუხლებზე დაიდო, ფრთხილად მოაჭრა პატარა ნაჭერი და გამომიწოდა, ჩუმად, სახელოზე მომქაჩა, ვითომდა, სხვებმა არ გაიგონო. მინდოდა მეყვირა: როგორ არა გრცხვენია-მეთქი, მაგრამ ამასობაში ავტობუსი გაჩერდა. ჩვენი პიონერხელმძღვანელი პურის მაღაზიაში შევიდა და ორი უშველებელი აცმა ბლითი ამოიტანა.

ბავშვები ყიჟინით შეხვდნენ ამ ამბავს. განაწილების ახალი ხერხი მოვიგონეთ. ვინც პირველი ამოხსნიდა ამოცანას, პირველად ის აიღებდა ნამცხვარს. თამაზი კი იჯდა გაფუყული, რაღას შეჭამდა. ხელმძღვანელს შეეშინდა, ავად ხომ არ გახდაო. ის კი ხმას არ იღებდა. მე არაფერი ვთქვი თამაზის უსაქციელობაზე იმიტომ, რომ შეკრებაზე დავადგინეთ: უფრო მეტი ვაჟკაცობაა, თვითონვე აღიაროს საკუთარი დანაშაული.

ჩვენმა წესიერმა და სამაგალითო ამხანაგმა კი ეს პირობაც დაარღვია.

გთხოვთ მიპასუხოთ, წესიერად მოიქცა თუ არა ჩვენი თამაზი, და თუ არა, რატომ ამბობენ მასზე, წესიერი ბავშვიაო. აი, მაგალითად, ვაჟიკოს სულაც არ აქებს მასწავლებელი, რვეულიც მოთხუპნული მოაქვს, მაგრამ როცა ბლითები პირველმა მიიღო, მაშინვე გოგონებს დაგვირიგა და ხათუნას ჩანთაც სულ მან ატარა, რადგან ხათუნას ფეხი სტკიოდა.

ვინ უფრო წესიერი გამოდის, ვაჟიკო თუ თამაზი, და, საერთოდ, როგორ უნდა გაიგო უსინდისოა ადამიანი თუ არა?"

აი რა რთულ კითხვას მაძლევს ნინო და მთხოვს, რაც შეიძლება მალე ვუპასუხო.

სინდისი ეთიკური კატეგორიაა და ეთიკოსები მას ზუსტად განმარტავენ, მაგრამ ეს განმარტება ნინოს თანატოლებისათვის ჯერჯერობით ძნელი გასაგები იქნება. მინდა მარტივად დახსომებისთვის ადვილად ვუპასუხო ჩემს პატარა კორესპონდენტს.

სინდისი, ,,შინაგანი ხმა" უკარნახებს ადამიანს, ამა თუ იმ სიტუაციაში მოხვედრილმა განახორციელოს მორალური თვითკონტროლი, თვითონვე შეაფასოს თავისი საქციელი, მოთხოვოს თავის თავს მორალურ ვალდებულებათა შესრულება. ეს ვალდებულებანი, საზოგადოების ზნეობრივი მოთხოვნები მისთვის კანონად იქცევა.

ჯერ კიდევ პირველი საუკუნის რომაელმა ორატორმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანემ სინდისს დაარქვა ,,ათასი მოწმე", რომლებიც თითქოს სხედან

**ხელავლე შებღალული სინდისის ადამიანებს უფრო საშინელია, ვიდრე ხელავლე ნაცემ-ნაგვემებს.**

*იულიუს ფუჩიკი.*

ჩვენში, ხოლო უფრო მოგვიანებით მას უწოდეს „კანონი, რომელიც ცოცხლობს ჩვენში“ და „შეუბრალებელი ინკვიზიტორი“.

თუ მე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო არ ჩავდივარ ცუდ საქციელს, რომ სასჯელისა მეშინია, არ შეიძლება ითქვას, რომ მე ზნეობრივი ადამიანი ვარ.

თუ მე მოსაწონ საქციელს ჩავდივარ იმის გამო, რომ იმედი მაქვს ტაშს დამიკრავენ, მომიწონებენ, შემაქებენ, ასევე არ ითქმის ჩემს ზნეობრიობაზე.

მხოლოდ მაშინ, თუ ვიცი, რომ ჩემს კარგ საქციელს არც ახლა, ამ საქციელის ჩადენის მომენტში და არც მერე შემფასებელი არ ეყოლება და მაინც ჩავდივარ მას იმიტომ, რომ არ შემიძლია სხვანაირად მოვიქცე, მაშინ ჩემი საქციელი ზნეობრივია.

ეს ძნელი მისახვედრი არ არის. აი რას მწერს ერთი მეექვსეკლასელი ბიჭი გორიდან:

„ჩვენ თემურელები ვართ. ვალდებულება გვაქვს აღებული დავეხმაროთ სამამულო ომის ინვალიდებს და ვეხმარებით კიდეც, ხან პურზე გავეგზავნებით, ხან ფოსტაში, ხან სახლმმართველობაში.

ამას წინათ, ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების XXX წლისთავი რომ ახლოვდებოდა, ასი წერილი მაინც გავაგზავნე ანდრო ძიას დავალებით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მის ყოფილ თანამებრძოლებთან. ყოველ წერილთან დაკავშირებით ანდრო ძია ისეთ საინტერესო ამბებს მიყვებოდა, რომ ბევრი მათგანი ჩავიწერე ჩემს დღიურში. აი, მაგალითად: ანდრო ძია გააფთრებულ ბრძოლაში დაიჭრა და სისხლისაგან იცლებოდა, მის დასახმარებლად წამოვიდა უშიშარი მოწყალების და ტანია. მაგრამ გერმანელებს ახალი ძალები შეემატათ და შეტევაზე გადმოვიდნენ. ჩვენებმა სანგრებისაკენ დაიხიეს, ტანია კი სულ ახლოს არის. მის გარშემო წივილით ცვივა ტყვიამფრქვევის ტყვიები. გერმანელები მწყობრად მოაბიჯებენ მისკენ. აი ტანია სულ ახლოა ანდრო ძიასთან, ჭრილობაზე ხელს უსვამს, უცებ ყვირილით წამოვარდა, საფეთქელზე ხელი მიიჭირა და გულაღმა დაეცა.

ანდრო ძია გონებას კარგავს.

როცა თვალი გაახილა, კუნაპეტი ღამე ჩამოწოლილიყო.

სკოლის შენობის ჩალეწილ ფანჯრებში აქა-იქ ხრჩოლავდა ცეცხლი.

ვიღაც ჩუმად ეწეოდა სახელოზე.

„ნუ გეშინია, უნდა გაგიყვანო, მოწყალების და ვარ, ტანია, ჩვენების სანგრები სულ ახლოა, ცოტა მომეხმარე, ძმობილო. ასეთ ჭრილობებს ორ-სამ კვირაში ვარჩენთ. სადაური ხარ? ქართველი? მაშინ შენი ვაჟკაცობის იმედი მაქვს, აბა, არწივო, გავხოხდეთ უკან, სანგრებისაკენ“.

ანდრო უკანასკნელ ძალას იკრებს. უცებ ახსენდება, მოწყალების და ყვირილით რომ წამოვარდა და ტყვიით განგმირული დაეცა. „მაშ რა მოხდა, სიზმარში ვარ, თუ...“.

სანიტარულ ნაწილში გაიგო, რაც მომხდარიყო. გაბედულ ტანიას მოეტყუებინა მტერი. ანდროს სისხლში მოსვრილი ხელით საფეთქელი და სახე მოუთხუპნია და თავი მოემკვდარუნებინა. გერმანელს ერთი კი ეკრა ჩექმის წვერი ფერდში და თავი დაენებებინა.

ღამით, როცა ყველაფერი მიწყნარდა, ტანიამ სამშვიდობოს გაიყვანა ანდრო ძია.

აბა ისე როგორ იქნება, 9 მაისს ანდრო ძიამ თავის მსხნელს მისალოცი ბარათი არ გაუგზავნოს. ჰოდა, ჩვენი რაზმის პიონერებს სამამულო ომის ვეტერანებზე შეფობა გვაქვს აღებული. მე და ჯაბა მეზობლები ვართ და ისინიც, ვისი შეფებიც ჩვენა ვართ, ერთ უბანში ცხოვრობენ.

ერთხელ მივდივართ მე და ჯაბა მათთან და ვხედავ, ერთ კაცს რაღაც უცნაური ჯოხი უჭირავს ხელში, რომელიც ტკაცანით იხსნება. ჯერ ამ ჯოხს მივაქციე ყურადღება, მერე კაცს შევხედე და მივხვდი, რომ უსინათლო იყო და ქუჩის მეორე მხარეს უნდოდა გადასვლა. მე ჯაბას ვანიშნე: გადავიყვანოთ-მეთქი.

**ნამუსი კარგი საქონელია.**

**სინდისს კბილები არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო.**

**სინდისის ქენჯნა კომბალზე მგკივნეულიაო.**

*ქართული ანდაზები.*

— მოგცლია, ერთი! ჩვენ რა, ყველა ბრმის შეფები კი არა ვართ. რა დავალებაც გვაქვს, ხომ ვასრულებთ, ჰოდა, საკმარისია. ვინ შეგვხედავს, ეს ბრმა ხომ არ მოვა რაზმის შეკრებაზე და არ იტყვის — მადლობა თქვენს პიონერებს, ქუჩაზე გადამიყვანესო?

მოვშორდი ჯაბას, უსინათლოს დავეწიე, და ქუჩის მეორე მხარეს გადავიყვანე.

განა ნამდვილი თემურელი იმისთვის ირჯება, რომ მადლობა გამოუცხადონ და ისიც რაზმის შეკრებაზე? განა უმწეო ადამიანს რომ დაეხმარო, ეს აუცილებლად სადმე უნდა ჩაწერო?“.

აი, ჩემო ნინო, ჯაბაც და ამ წერილის ავტორიც თემურელები არიან, ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლობენ, ერთი რაზმის პიონერები არიან, სიკეთე და პატიოსნება კი სულ სხვადასხვაგვარად ესმით.

საქმე, რომელიც ნაცვლისგებისთვის, სამაგიეროს მიღების მოტივით კეთდება, არ არის ჭეშმარიტად კეთილი, გულის კარნახით, შინაგანი მოთხოვნით გაკეთებული და არცა აქვს მორალური ღირებულება.

თემურელი, რომელიც მოხუც ქალს ეუბნება, ბებია, აი ამ რვეულში ჩამიწერეთ, რომ მე დღეს მაღაზიიდან ორი ფუნთუშა და ერთი ლიტრი რძე მოგიტანეთ, ამისთვის მადლობას მეტყვიანო, არ არის თემურელი, ის არც პიონერია.

იცით თუ არა, როგორ იქცეოდნენ პირველი პიონერები, როცა ტრანსპორტში ხანში შესული ადამიანი ამოვიდოდა? ისინი ჩუმად დგებოდნენ და ჩასასვლელისკენ მიიწევდნენ, თითქოსდა ჩასვლას აპირებდნენ, რათა ამ ელემენტარულ კულტურულ საქციელზე მადლობა არ მოესმინათ.

ნინოს აინტერესებს, რატომ იქცევიან ადამიანები სხვადასხვაგვარად, რატომ სჩადის თითქოს წესიერი ბიჭი უზნეო საქციელს?

წარმოიდგინეთ რომ სინდისიც არის და სინდისიც. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აქტიური, პასიური და ფორმალური სინდისი.

აქტიური სინდისის ადამიანები ყოველგვარ პირობებში ზნეობრივ მოქმედებას სჩადიან. პასიური სინდისის მქონენი, მართალია, ამორალურად არ იქცევიან, მაგრამ მაინცდამაინც კეთილი საქმეების კეთებისათვის თავს არ იწუხებენ. ხოლო ფორმალური სინდისის ადამიანები ბრმად, განუსჯელად ასრულებენ მოვალეობას, არ უფიქრდებიან, თუ რამდენად შეესაბამება ეს მოვალეობა თავისი შინაარსით საზოგადოებრივ სიკეთეს.

სინდისის აქტიურობა, პასიურობა და ფორმალურობა კი, როგორც სხვა მო-

რალური თვისებები, ადამიანის ზნეობრივ აღზრდაზეა დამოკიდებული.

როცა ჩვენს ქვეყანას გერმანელი ფაშისტები დაესხნენ თავს, ყველა ნამუსიან კაცს, ვისაც კი ბრძოლა შეეძლო, გული ფრონტისკენ მიუწევდა, წმინდა მოვალეობა უხმობდა მათ, სამშობლოს თავისუფლებისათვის ყველაზე უძვირფასესი განძი, სიცოცხლე შეეწირათ. მაგრამ აქა-იქ გამოჩნდნენ უნამუსო ადამიანები — დეზერტირები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ტყავზე ფიქრობდნენ და მაშინ, როცა ჩვენი თავისუფლების ბედი ბრძოლაში წყდებოდა, სიმინდის ყანებსა და ტყეებს აფარებდნენ თავს, მაგრამ ისინი იშვიათად თუ ახერხებდნენ ხალხის მრისხანე, მაგრამ სამართლიანი განაჩენისაგან თავის დახსნას.

მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საბჭოთა ადამიანები მასობრივად გადიოდნენ პარტიზანებად, წვავდნენ და აფეთქებდნენ მტრის ეშელონებს, აეროდრომებს, ტყვია-წამლის საწყობებს, სპობდნენ მტერს, ისინი აქტიური სინდისის ადამიანები იყვნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, მართალია, მტერს არ ეხმარებოდნენ, მაგრამ არც არას ვნებდნენ და ამით ბოროტების უნებლიე თანამონაწილედ იქცეოდნენ.

რაც შეეხება ფორმალურ სინდისს, ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე, რომელზეც, როგორც ცნობილია, ფაშისტ მეთაურებს ასამართლებდნენ იმ ბოროტმოქმედების გამო, რაც მათ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაიდინეს, ბევრი ბრალდებული ამტკიცებდა, რომ იგი უდანაშაულოა, რადგან ასრულებდა მხოლოდ მოვალეობას, ბრძანებას, ერთგული იყო მიცემული ფიცისა.

მაგრამ განა ეს ამართლებდა ფაშისტ ბარბაროსებს?

რისი ფიცი დადეს მათ? რომ უმოწყალოდ ეჟლიტათ, გაზის ღუმელებში დაეწვათ, სახრჩობელაზე აეყვანათ ათასობით უდანაშაულო ადამიანი? განა ეს ადამიანური სინდისის საწინააღმდეგო მოქმედება არ იყო? სად ეძინა მათ სინდისს, მაშინ, როცა ამ ბრძანებას ისმენდნენ და ასეთ ფიცს დებდნენ.

მაგრამ ეს დიდი მასშტაბებია, დიდი საკაცობრიო მოვლენები.

როგორ ამოვიცნოთ უსინდისობა პატარა, ყოველდღიურ ამბებში, კლასში, პიონერთა ოთახში, ექსკურსიაზე, შრომითი სემესტრების დროს? აი, რა აინტერესებთ მოსწავლეებს, აი, რას მეკითხებიან ისინი, რომლებიც მწვავედ განიცდიან უსინდისობის ყოველ ცალკეულ შემთხვევას, პირდაპირ, უშიშრად ცდილობენ შეაგნებინონ ამხანაგს უზნეო საქციელის სიმახინჯე, სისაძაგლე.

აი, კიდევ ერთი დამაფიქრებელი ამბავი, რომელიც ჩემი ახლობლის შვილმა, მეშვიდეკლასელმა ბიჭმა მიამბო:

,,შუა სასწავლო წელს ჩვენი რუსული ენის მასწავლებელი მძიმედ ავად გახდა, სამი თვე სხვა მასწავლებელი გვიტარებდა გაკვეთილს. სასწავლო წლის დასრულებას ცოტაღა უკლდა, როცა გამხდარი და ფერგამკრთალი ჩვენი მასწავლებელი ისევ შემოვიდა გაკვეთილზე, თითქოს რაღაც საგონებელში ჩავარდნილი გვეჩვენა, მაგრამ პირველ ხანს ვერაფერს მივხვდით. მერე გავიგეთ.

თურმე ჩვენს მასწავლებელს სმენა დაჰკარგოდა.

მომავალი სასწავლო წლიდან პენსიაზე გავალ, წლეულს კი კლასს ვერ შეველევი, ჩემი ბავშვები არ მიღალატებენო, — უთქვამს.

და იმ დღიდან დაიწყო... ერთი ბიჭი სწავლობს ჩვენთან, ოკუჯავაა გვარად. რუსულზე მანამდე მწყრალად იყო. ახლა, ეს ამბავი რომ გაიგო, სიხარულით ცას ეწია, რაღას გამისწორებს მახვილებს და გამოთქმასო.

მაგრამ მახვილებს ვინ დაეძებდა!

ერთხელ, როცა მასწავლებელმა ოკუჯავა გამოიძახა და გაკვეთილი ჰკითხა, მან დაიწყო:

,,მე პატარა ბიჭი ვარ, გამოვდივარ სცენაზე, რა დროს ჩემი ლექსებია, პატარა ვარ ყველაზე''. შემდეგ განაგრძო: ,,ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია''.

მასწავლებელი ჩუმად ჩასცქეროდა ჟურნალს და ვერ გავიგეთ, ესმოდა ოკუჯავას ,,პოეზია'' თუ არა.

აი აქ ითქვა პირველი სიტყვა: ,,უსინდისო''. არა როგორც ლანძღვა, არამედ, როგორც ბრალდება.

ეს ბოლო მერხიდან ესროლა ოკუჯავას მისმა მეზობელმა გოგომ, რომელსაც თვითონაც უჭირდა რუსული, მაგრამ მონდომებითა და ჩვენი მასწავლებლის დახმარებით, რომელიც ყოველდღე თითო საათს ამეცადინებდა რაიონიდან ჩამოსულ ამ მოსწავლეს, თანდათან სძლევდა ჩამორჩენას.

ოკუჯავა გაშრა. მუქარით გადახედა გოგის: ,,მიდი, მიდი, იჯაშუშე, მეტი რა შეგიძლია, დაუწერე, თორემ ისე რას გაიგებს!'' ყოველი შემთხვევისათვის ხმადაწევით უთხრა მას. მაშინ გოგი მერხიდან წამოდგა ოკუჯავასთან მივიდა და პირდაპირ, თავხედურად მომღიმარ სახეზე სილა გააწნა.

გაკვეთილი, რა თქმა უნდა, ჩაიშალა.

მასწავლებელი კლასიდან გავიდა და შემდეგ აღარ შემოსულა.

იმავე დღეს დაუწერია განცხადება და დირექტორისათვის განთავისუფლება უთხოვია.

**ერიდე ყოველივე იმას, რაც ეწინააღმდეგება შენს სინდისს.**

*ლევ ტოლსტოი.*

ოკუჯავას საქციელზე რაზმის შეკრებაზე ვიმსჯელეთ და დავავალეთ მასწავლებელთან წასულიყო და ბოდიში მოეხადა, მაგრამ ამასობაში ჩვენი მასწავლებლის მდგომარეობა გაუარესდა და ის ისევ საავადმყოფოში წაიყვანეს.

მთელმა კლასმა წერილი მივსწერეთ, ყველა ბოდიშს ვუხდიდით. ოკუჯავას კი, რომელიც ჩვენ ჯიბრზე თავაწეული დადიოდა და ეტყობოდა სინდისის ქენჯნას დიდად არ განიცდიდა, თითქმის აღარავინ ელაპარაკებოდა. მალე ისევ თავის ძველ სკოლაში გადავიდა, რაიონში.

მას შემდეგ ჩვენს წარმოდგენაში ბევრი რამ შეიცვალა. ცელქობით მანამდეც ვცელქობდით და, რა თქმა უნდა, მერეც არ შეგვიწყვეტია, მაგრამ იმას კი ყველა ვგრძნობდით, რომ უნამუსობაა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მოტყუება, მით უმეტეს, ისეთი ადამიანისა, რომელსაც შენი იმედი აქვს და შენზე დიდი ამაგიც გაუწევია.

საერთოდ, მოტყუება უსინდისობაა.

ასეთი სწორი დასკვნა გამოიტანა კახამ თავისივე ნაამბობიდან. ამ დასკვნამ ერთი ეპიზოდი გამახსენა ჩემი ჟურნალისტური საქმიანობიდან.

წერილებს ხშირად ვღებულობ, ბევრი მათგანი უცნობებისგან არის, ასე რომ, არც იმ წერილის მიღება გამკვირვებია. ავტორი, მეცხრეკლასელი ჭაბუკი ჩიოდა, რომ მის ნიჭს არ ცნობენ და რაიონის გაზეთი არ უბეჭდავს პუბლიცისტური ხასიათის წერილებს, უბრალოდ, შურთ მისი, რადგან ატყობენ, ნიჭიერია და ეშინიათ, მალე მეტოქეობა არ გაუწიოს მათ. თვით რაიონული გაზეთის რედაქციაში ,,ზოგი აგრონომია, ზოგი ბეითალი და ისეთი წარმოდგენა აქვთ პუბლიცისტიკაზე, როგორც სპილოს — მუსიკაზეო'', — მწერდა იგი.

ახალგაზრდა კაცის ეს თვითდაჯერებული ტონი არ მომეწონა, რადგან რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაობას ვიცნობ და ვიცი, რა სიძნელეებს აწყდება და ლახავს, რა თავდადებულად მუშაობს რედაქციის პატარა კოლექტივი, რომ არ ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს, როგორ ეძებს და ზრდის დამწყებ ჟურნალისტებს და რა სათუთად

**სინდისის შერცხვენილი კაცი, პირველზე უარესიაო.**

**სირცხვილი მოგაღგა, სიკვდილი განაპრაო.**

*ქართული ანდაზები*

ექცევა ნიჭის ყოველ ჯერგაუშლელ კოკორს.

ნამდვილად კარგ წერილს რედაქციაში რა დაკარგავს. შური შეიძლება ერთს ან ორ კაცს აწუხებდეს, მაგრამ სასაცილოა საერთოდ შურიანი რედაქციის წარმოდგენა!

რაღა გავაგრძელო, ეს ჭაბუკი თავისი შემოქმედების ნიმუშს მიგზავნიდა და მთხოვდა „კომპეტენტური აზრი" გამომეთქვა.

ცოტა გამაოცა იმან, რომ ჭაბუკი არ მთხოვდა „მოწონების შემთხვევაში" ამ წერილის დაბეჭდვაზე მეზრუნა, თუმცა, ეს შესაძლოა, იგულისხმებოდა ქვეტექსტში.

წერილში ლაპარაკი იყო ნიჭის დანიშნულებაზე, საზოგადოების დამოკიდებულებაზე გენიოსისადმი, მეცნიერებაზე, როგორც ხედავთ, მაღალ მატერიაზე.

აი ის ადგილიც: „რა მსუბუქი უნდა იყოს იმ ადამიანის ბარგი, რომელიც ბედს მისდევს! რჩეული ადამიანების შეცდომა ის არის, რომ ისინი თავიანთ ახალგაზრდობის წლებს უხვად ხარჯავენ, რათა საზოგადოების კეთილგანწყობა დაიმსახურონ. იმ დროს, როცა ისინი ძალასა და ცოდნას აგროვებენ, ენაწყლიანი და უიდეო ინტრიგანები ყველგან დაძვრებიან, სულელებს ატყუებენ, გულუბრყვილოთა ნდობას იმსახურებენ. პირველნი სწავლობენ, მეორენი წინ მიაბიჯებენ, პირველნი მოკრძალებულნი არიან, მეორენი თამამნი.

გენიოსი ადამიანი ჩქმალავს თავის პატივმოყვარეობას, ინტრიგანი გაზეთს აფენს თავისას. მაგრამ მეცნიერება გულკეთილია დედასავით. შეიძლება დანაშაული იქნებოდა მისთვის, რომ სხვა საზღვარი მოგვეთხოვა, გარდა წმინდა და წყნარი სიხარულისა, რომლითაც იგი თავის ბავშვებს კვებავს.

... ადამიანი მუდამ თავის თავს ეწინააღმდეგება, იგი თავის იმედებს ატყუებს თავისი ახლანდელი უბედურებით, ხოლო თავის უბედურებას მომავლით, რომელიც მას არ ეკუთვნის, და ყველა თავის მოქმედებას მერყეობისა და სისუსტის ნიშანს აჭდობს...

ამ ქვეყანაზე არაფერია სრულყოფილი, გარდა უბედურებისა".

ეს ნაწყვეტებია წერილიდან.

წერილის თემატიკამ ცოტა გამაოცა, თითქოსდა დღევანდელი მეცხრეკლასელი ბიჭის საფიქრალის საზღვრებს შორდებოდა, მაგრამ წარმოუდგენელი არაფერი ყოფილა.

პროფესიული სიფხიზლის ერთი სიმიც აჟღერდა: თითქოს სადღაც ამისმაგვარი წამეკითხა კიდეც, მაგრამ მერე გამეცინა ასეთ სიფხიზლეზე: რა გასაკვირია, რომ 16-17 წლის ჭაბუკი ვისსამე გავლენას განიცდის.

წერილი შინ წავიღე და გადავწყვიტე შაბათს, თავისუფალ დროს, დამეწერა პასუხი, უნდა გითხრათ, შესაქები წერილის დაწერას ვაპირებდი, მინდოდა წამექეზებინა, გამემხნევებინა დამწყები კოლეგა.

შაბათს დილიდან წიგნების დალაგებას მივყავი ხელი და, როგორც ამ საქმეს სჩვევია, თითქმის დამიღამდა. ხან სტუდენტობისას შემოხაზული ესენინის სტროფს გადავიკითხავდი, ხან წიგნში ჩარჩენილ ძველ კონსპექტს, ხან ამხანაგებთან სახუმარო მიწერ-მოწერას წავაწყდებოდი, დრეზდენის გალერეის შედევრების რეპროდუქციების ცქერით ვტკბებოდი. უცებ თაროდან თხელი, თორმეტფურცლიანი რვეული გადმოვარდა, ჩემი მოწაფეობისდროინდელი. ყდაზე გადაბმული ასოებით მონდომებით იყო გამოყვანილი „რჩეული ადგილები სხვადასხვა ნაწარმოებიდან". IX კლასის მოსწავლე...

ეს ჩემი რვეული იყო, გამახსენდა, მერვე კლასი რომ დავამთავრე იმ ზაფხულს დავიწყე მასში მოწონებული ადგილების ამოწერა.

„ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის სიცოცხლეა", — იწყებოდა რვეული ოსტროვსკის სიტყვებით. ეს ციტატა დღემდე ზეპირად მახსოვს სიტყვა-სიტყვით. აი, თუნდაც ეს, გორკის მშვენიერი სიტყვები:

„ჩვენ გვინდა გმირობა ვასწავლოთ ადამიანებს. საჭიროა ადამიანმა გაიგოს, რომ იგი სამყაროს შემოქმედი და მბრძანებელია, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა დედამიწაზე არსებულ ყველა უბედურებაზე და მასვე ეკუთვნის დიდება ყოველ სიკეთეზე, რაც კი ცხოვრებაში მოიპოვება".

ან ჟან-ჟაკ რუსოს „ემილი ან აღზრდის შესახებ".

„ცუდი ადამიანი არასოდეს არ გამოდგება არავითარი კარგი საქმისათვის, რა საქმეც არ უნდა იყოს ეს".

შილერის „დონ კარლოსიდან": „გონიერ კაცსაც კი დაამდაბლებს მიბაძვა სხვისი".

რვეულს სიამოვნებით ვფურცლავდი. ზოგი ციტატა მახსოვდა, ზოგიც სულაც აღარ მახსენდებოდა, კიდევ კარგი, იქვე მქონდა მითითებული ავტორი, ნაწარმოების სათაური და გვერდი. და უცებ: „რა მსუბუქი უნდა იყოს იმ ადამიანის ბარგი, რომელიც ბედს მისდევს?! რჩეული ადამიანების შეცდომა ის არის, რომ ისინი თავიანთი ახალგაზრდობის წლებს უხვად ხარჯავენ, რათა საზოგადოების კეთილგანწყობილება დაიმსახურონ. იმ დროს, როცა ისინი ძალასა და ცოდნას აგროვებენ, ენაწყლიანი და უიდეო ინტრიგანები ყველგან დაძვრებიან, სულელებს ატყუებენ, გულუბრყვილოთა ნდობას იმსახურებენ. პირველნი სწავლობენ, მეორენი წინ მიაბიჯებენ, პირველნი მოკრძალებულნი არიან, მეორენი თამამნი"... და ა. შ. ბალზაკი, „შაგრენის ტყავი" გვ. 152—მეწერა რვეულში. მაგრამ ეს სულ ახლახან წავიკითხე, სად? ჰო, იმ ჭაბუკის წერილში, რომელიც ნაწყენი იყო რაიონულ გაზეთზე, ჩემი შურთ და წერილს არ მიბეჭდავენო.

ჯერ გავოცდი. ასეთი ზუსტი დამთხვევა, მოგეხსენებათ, არ ხდება, მერე ისეთი ბრაზი მომერია, რომ კიდევ კარგი, ის ბიჭი, აქ, ჩემს წინ არ იდგა.

პასუხი მშრალი და ცივი გავუგზავნე, თითქოს მოსწავლეს კი არა, სერიოზულ, მტრულად განწყობილ ოპონენტს ვეპაექრებოდი. გაგზავნის წინ შევყოყმანდი: ღირდა კი ასეთი პასუხი მიმეწერა? რაც არ უნდა იყოს, ზრდადასრულებული ადამიანი და მოსწავლე მაინც არ არის თანაბარი ძალა, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ: უსინდისობას დროზე უნდა შეჩერება, თორემ ის მთიდან დაგორებული ზვავივით იზრდება, ივსება, ძალას იკრებს და გზაზე ყველაფერს წალეკავს.

„თქვენ მე ბალზაკის „შაგრენის ტყავიდან" გამომიგზავნეთ ამონაწერი, (გული დამწყდა, რომ აღარ არსებობს ცივი და ოფიციალური მიმართვა „მოწყალეო ხელმწიფევ!" თორემ მის სახელსაც არ დავწერდი) ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რატომ გააკეთეთ ეს? თუ ჩემი ერუდიციის გაგება გწადიათ, გიხაროდეთ, მე აღარ მახსოვს ეს სიტყვები, რადგან ხსენებული წიგნი თქვენს ასაკში წავიკითხე და, სამწუხაროდ, ადამიანის მეხსიერება ყველაფერს ვერ იტევს. ხოლო თუ მისი დაბეჭდვა გინდათ — ვის მოტყუებას აპირებთ ამით? განა ზნეობრივი საქციელი იქნებოდა ამ საქმეში ჩემი გამოყენება?

ცნობილია თუ არა თქვენთვის, როგორ ისჯება ქურდობა, მათ შორის ლიტერატურული ქურდობა ანუ პლაგიატი?

ერთი ქვეყნის ძველი სამართლით, ქურდობაში შემჩნეულ კაცს ხელს კვეთდნენ და ამით ქურდობის სურვილთან ერთად ქურდობის იარაღსაც ართმევდნენ.

სასჯელის ფორმა, მართალია, შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება უსინდისობისადმი. არც შეიცვლება, რადგან სინდისი საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების კანონია, რადგან უსინდისოდ წარმოუდგენელია თვით ზნეობრივი ცხოვრება.

კაცს, რომელიც პუბლიცისტობისათვის ემზადება, ეს აზრი არ უნდა ეუცხოოს. ჩემი შეხედულებით, თქვენგან ჟურნალისტი არ დადგება, რადგან თუ ჟურნალისტის კალამს არ ამოძრავებს სიმართლე, თუ ჟურნალისტმა მთელი ცხოვრების გზაზე სინდისი არ ისაგზლა, სიმართლისთვის არ იბრძოლა, ვის რას არგებს მაშინ მისი კალმის ნაცოდვილარი?

შესაძლოა თქვენთვის ეს სიმართლე სასიამოვნო მოსასმენი არ იყოს, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემიძლია. რადგან ტკბილ ტყუილს მწარე სიმართლე მირჩევნია, გურამიშვილისა არ იყოს:

მე თუ გინდა თავიც მომჭრან,
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,
მას ვერ ვიტყვი კახაბერად.

აი, ასეთი ცივი და მკაცრი წერილი გავუგზავნე დამწყებ მატყუარას და, როგორც თქვენც ხვდებით, პასუხი აღარ მიმიღია.

აი, ის ყოველდღიური წვრილმანი, სასკოლო ცხოვრების ეპიზოდები და შემთხვევები, რომელშიც, როგორც სარკეში, ჩანს მოზარდის სული. მისი ზნეობრივი აღზრდის დონე: ამხანაგს საჭმელი დაუმალა და მარტომ ქურდულად შეჭამა, უსინათლოს არ დაეხმარა, რადგან ამისთვის შექებას არ მოელოდა (დავიხსომოთ: სიკეთეში ნიშნები არ იწერება!), სმენადაკარგული მასწავლებელი მოატყუა, მოხერხებულად, წინასწარი გაანგარიშებით გააცურა დედა... ბავშვებო, აქ განგაშის სიგნალი ჩართეთ! აქ დამწყებ უსინდისობასთან გაქვთ საქმე. მე მახარებს, რომ კოლექტივმა სწორად შეაფასა თითოეული ასეთი შემთხვევა.

გამოგიტყდებით, იმის იმედიც მაქვს, რომ თვითონ დამნაშავენიც ჩაუფიქრდებიან თავიანთ საქციელს და სწორ დასკვნებს გამოიტანენ, რადგან სხვანაირად საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენს საზოგადოებაში ხომ სოციალისტური თანაცხოვრების უმაღლესი ჰუმანური პრინციპი მოქმედებს: „ერთი ყველასათვის, ყველა — ერთისთვის“!

## შენი უცხოელი თანატოლები

## კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაცია — «სონენდანი»

იაპონელი იმპერიალისტების უღლისაგან კორეის განთავისუფლების შემდეგ, როცა ხალხმა ახალი ცხოვრების შენება დაიწყო, კორეაში შეიქმნა პიონერული ორგანიზაცია „სონენდანი“.

კორეელი პიონერები ატარებენ წითელ ყელსახვევს და სამკერდე ნიშანს. სამკერდე ნიშანზე გამოსახულია სახელმწიფო ალამი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და კოცონი. ეს ნიშანი თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოსადმი, მშრომელთა პარტიისადმი, მამებისა და უფროსი ძმების საქმისადმი ერთგულების სიმბოლოა.

მშვიდობიანი მშენებლობის სულ რაღაც ოთხი წლის მანძილზე (1946-1950 წ.წ.) პიონერულმა ორგანიზაციამ ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. პიონერული რაზმები უფროსებს ეხმარებოდნენ მიწის რეფორმების გატარებაში, შრომობდნენ ყველგან, სადაც ქვეყანას უჭირდა.

ყუმბარების ხმამ დაარღვია კორეელი ხალხის მშვიდობიანი შრომა. ლისინმანის მთავრობამ ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით ომი გააჩაღა მშვიდობიანი ქვეყნის წინააღმდეგ. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად მთელი ხალხი აღდგა. პიონერებმაც დაიჭირეს თავიანთი ადგილი. მორიგეობდნენ ჰოსპიტლებში, ეხმარებოდნენ სოფლად დარჩენილ ქალებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, ასუფთავებდნენ ყუმბარებით დანგრეულ სახლებსა და შარაგზებს, შეფობას უწევდნენ ფრონტელებს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიქმნა პიონერული პარტიზანული რაზმები. კორეელი პიონერების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა გმირი ბავშვების შე გენ რამისა და ცოი ენ გენის — იატაკქვეშ მომუშავე პიონერული რაზმების ხელმძღვანელთა სახელები.

ახლა კორეელი პიონერები უფროსებთან ერთად ახალ ცხოვრებას აშენებენ, ეხმარებიან უფროსებს ელექტროსადგურების აგებაში, აგროვებენ სამკურნალო მცენარეებს, ლითონის ნამსხვრევს სახალხო მეურნეობისათვის და საერთოდ, ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების მოთავენი არიან.

## ავსტრალიის საბავშვო ლიგა — «ევრიკა»

საბავშვო ლიგა „ევრიკა“ ავსტრალიაში უკვე თხუთმეტი წელიწადია არსებობს. მასში მუშათა შვილები არიან გაერთიანებული, მათი ხნოვანება 10-დან 16 წლამდეა. ატარებენ ფორმას: ღია ფერის პერანგებს, მუქ შარვლებსა და ცისფერ ყელსახვევებს. „ევრიკას“ წესდებაში წერია: „გაავლივონ სიყვარული ავსტრალიისადმი, აღიზარდონ მუშათა კლასის საქმის ერთგულებად, იბრძოლონ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ“. „ევრიკის“ წევრები პატივს უნდა სცემდნენ მშობლებს, ეხმარებოდნენ საოჯახო საქმიანობაში. გულისხმიერნი იყვნენ ამხანაგების მიმართ. ლიგის წევრებს ფიცში უწერიათ: „ვფიცავთ, რომ ვიქნებით მართალნი, ძმებივით და დებივით გვეყვარება ერთმანეთი, პირნათლად შევასრულებთ ჩვენს პიონერულ მოვალეობას. საბავშვო ლიგა მუშაობს კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდული ორგანიზაციის „ევრიკას“ ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეტია, მე და ატომები

**ვაცლავ კოვალი**

თარგმნა მ. მიშველაძემ.

მხატვარი ზ. ფორჩხიძე.

## ბუნების ანბანი

გამოიდარა. ნაწვიმარზე ტყისაკენ გავეშურეთ. ხის ფოთლებსა და ბუჩქებზე მარგალიტებად ეკიდა წვიმის წვეთები. თუ ოდნავ მიეკარებოდი, ცივი შხაპით თავით ფეხამდე ამოილუმპებოდი. პეტიას ტევრში სიარული არ მოსწონდა და ჩემსავით ბილიკს მიჰყვებოდა, სოკოების საძებრად ხანდახან თუ გადაუხვევდა გზიდან.

მოულოდნელად პეტიამ გამახარა. მომიტანა... სოკოები კი არა, დაკარგული წიგნი. ტყეში ეპოვა დაფლეთილი, ტალახში ამოსვრილი. წიგნი სხვისი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე დავდექი, გავხალისდი, მშრალი, მყუდრო ადგილი ამოვირჩიე, წამოვწვები და წავიკითხავ-მეთქი, გავიფიქრე. მაგრამ პეტიამ მახლობელ ხესთან ჭიანჭველების ბუდე აღმოაჩინა. ბუდის გარშემო პაწაწინა მწერები ბეჯითად შრომობდნენ.

— ძია, ალბათ ყოველი საგანი ისევე შედგება მოლეკულებისაგან, როგორც ეს ჭიანჭველების ბუდე ქვიშისაგან, არა?

— დაახლოებით ასეა, თუ მოლეკულას პაწაწკინტელა ქვიშად წარმოიდგენ. თუმცა სინამდვილეში ყველაზე დიდი მოლეკულა ყველაზე პატარა ქვიშის ნამცეცზე ბევრად უფრო მცირეა...

— რატომ არის ყველა მოლეკულა ერთნაირი, მათგან შემდგარი საგნები ხომ სრულებითაც არ ჰგვანან ერთმანეთს. ავიღოთ, თუნდაც, ხე და წყალი. რა არის მათში საერთო?

— საინტერესოა, ვინ გითხრა, რომ ყველა საგნის მოლეკულა ერთნაირია და ერთმანეთსა ჰგავს? პირიქით, სრულებითაც არ ჰგვანან. წყლის მოლეკულა მკვეთრად განსხვავდება ხის მოლეკულებისაგან; სხვადასხვა საგნებს სხვადასხვანაირი მოლეკულები აქვს.

— მაინც რატომ არ ჰგვანან ერთმანეთს?

— იმიტომ, რომ ყოველი მათგანი ატომების სხვადასხვა რაოდენობას შეიცავს. შეხედე ამ ქვას. ფიქალია. იგი შედგება მოლეკულებისაგან, ხოლო ყოველი მისი მოლეკულა შეიცავს სხვადასხვა ატომს. ყველაფერი მხოლოდ ასეთი მოლეკულებისაგან რომ იყოს შემდგარი, მაშინ ქვეყნად არაფერი და არავინ არ იქნებოდა, გარდა ფიქალისა. ატომები ერთმანეთს სხვადასხვაგვარად უერთდებიან, რითაც სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულებს ქმნიან.

— როგორ ხდება ეს? რაღაც ვერ გავიგე...

— არ ვიცი, როგორ აგიხსნა... იქნებ ამაში ანბანი დაგვეხმაროს? რამდენი ასოა ჩეხურ ენაში?

— ოცდაექვსი.

— აბა ლექსიკონში ჩაიხედე, რამდენი სიტყვაა? — რამდენიმე ათასი. მაშ, ოცდაექვსი ასო საკმარისია უამრავი სიტყვის შესადგენად. ასეა ატომებშიც.

ატომები იგივე ასოებია, ბუნების ასოები. მართალია, ბუნების ანბანში გაცილებით მეტი ასოა. სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ასოებისაგან მილიონობით სიტყვას ქმნიან, ასევე ბუნება ატომებიდან მილიონ მოლეკულას ქმნის. ყველაფერი ატომისაგან შედგება — მთელი ქვეყანა, მთელი დედამიწა! მათი სახელებია ელემენტები და ყოველი მათგანი შედის ელემენტთა ცხრილში.

ბუნებაში ცნობილია 92 ელემენტი.

მათ რიცხვში შედის წყალბადი, ჟანგბადი, ატომი, ოქრო, ტყვია, რკინა, ვერცხლი და სხვები. მათგან შედგება მილიონი სხვადასხვა ნივთიერება.

## ატომის ბუტერბროდი

პეტია სოკოებზე წავიდა, მე კი ახალი ადგილი შევირჩიე დასასვენებლად. იქვე ახლოს უამრავი ჭრელი კენჭი ეყარა. ქვებს თავი მოვუყარე და გროვა-გროვად დავალაგე. საოცარმა კოლექციამ პეტია ისე დააინტერესა, რომ დაავიწყდა ეთქვა, თეთრი სოკო ვიპოვეო.

— რას გამოხატავენ ქვის გროვები, ძია?

— ატომებსა და მოლეკულებს.

— საინტერესოა! სხვადასხვა ზომის გროვებია, ერთში მეტია წითელი კენჭი, მეორეში — ნაკლები!

— საგანგებოდ დავალაგე. დააკვირდი ყველაზე პატარა გროვას. აქ ორი წითელი და ერთი თეთრი კენჭია. ასე გამოვხატე წყლის მოლეკულა.

— წყლისა?!

— დიახ. ორი წითელი კენჭი ერთი ელემენტის — წყლის ორი ატომია. თეთრი კენჭი კი — მეორე ელემენტის, ჟანგბადის ატომია. ხოლო სამივე კენჭი ანუ ატომი წყლის ერთ მოლეკულას შეადგენს. აბა, თუ მეტყვი, რისგან შედგება, წყლის მოლეკულა?

— წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი ატომისაგან.

— სწორია. კენჭების ყველაზე დიდი გროვა კი კარაქის მოლეკულაა.

---

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 11.

* ჩვენს დღეებში მეცნიერებმა შეძლეს კიდევ ათი ელემენტის მიღება ხელოვნურად. მაგალითად: ნეპტუნიუმისა (Np), პლუტონიუმისა (Pu), ამერიციუმისა (Am), კიურიუმისა (Cm) და ა. შ.

1974 წელს აკადემიკოს გ. ფლეროვის ხელმძღვანელობით დუბნელ მეცნიერთა ჯგუფმა მიიღო 106-ე ელემენტი. (მთარგმნელის შენიშვნა).

— კი, მაგრამ, აქაც წითელი და თეთრი კენჭებია.

— აბა თუ მიხვდი, რატომ?

— ალბათ კარაქის მოლეკულაშიც შედიან, რა ჰქვია?.. წყალბადისა და ჟანგბადის ატომები.

— ყოჩაღ! მაგრამ რამდენია აქ წითელი და რამდენია თეთრი კენჭი? იმდენივე, რამდენიც წყლის მოლეკულაში?

პეტიამ დახედა თუ არა, მიხვდა, ამ გროვაში რომ მეტი კენჭი იყო, შემდეგ ზუსტად დათვალა და თქვა:

— 75 კენჭია წყალბადის ატომი, ოთხი ატომი კი ჟანგბადისაა.

— მაშ, აქ მეტი კენჭია, ვიდრე იმ გროვაში, ჩვენ წყლის მოლეკულა რომ გამოვხატეთ.

— მართლაც მეტია. მაგრამ შავი კენჭები რაღას ნიშნავს? — შემეკითხა პეტია.

— სხვა ელემენტის — ნახშირბადის ატომებია. კარაქის ყოველ მოლეკულაში, წყალბადისა და ჟანგბადის გარდა, ნახშირბადის ორმოცი ატომია. მაშ, რისგან შედგება კარაქი?

— წყალბადის, ჟანგბადისა და ნახშირბადისაგან.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნა! წყალბადი, ჟანგბადი და ნახშირბადი — 92 ელემენტის რიცხვში შედის, ყველა ერთად კი ბუნების ანბანს შეადგენს. თუ მიხვდი, რით განსხვავდება წყლის მოლეკულა კარაქის მოლეკულისაგან? წყალში წყალბადი და ჟანგბადია, კარაქში კი ამათ გარდა ნახშირბადიც არის. წყლის მოლეკულაში მხოლოდ სამი ატომია, კარაქში კი ასცხრამეტი. აი სწორედ ამის გამო არა ჰგავს წყალი კარაქს, არც გარეგნულად და არც თვისებებით. გამოდის, რომ ატომთა სხვადასხვა რაოდენობის გამო მოლეკულაში იცვლება ნივთიერების გარეგნული სახეც და მისი თვისებებიც. ამგვარად, ბუნების ანბანის სამი ერთნაირი ასოსაგან — წყალბადის, ჟანგბადისა და ნახშირბადის ელემენტებისაგან — შედგა ორი სრულიად განსხვავებული ნივთიერება: წყალი და კარაქი.

— სხვა ნივთიერებებშიც თუ არის წყალბადი, ჟანგბადი და ნახშირბადი?

— ძალიან ბევრში. ესენი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. წყალბადი სხვა ელემენტებს მაინცდამაინც ვერ ეთვისება, იგი ჰაერზე უფრო მსუბუქი გაზია. ძველად აეროსტატებსა და საჰაერო ბუშტებს ამ გაზით ბერავდნენ. მაგრამ წყალბადი ძალზე საშიშია. იგი ადვილად აალებადია. ამიტომაც ამჟამად აეროსტატებში სხვა, უფრო საიმედო გაზს იყენებენ.

ჟანგბადიც გაზია — ჰაერის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ჰაერში ჟანგბადი რომ არ იყოს, დედამიწაზე სიცოცხლე შეწყდებოდა. ადამიანები და ცხოველები აბა რას ჩაისუნთქავდნენ? ამიტომაც ალპინისტებს, მაღალი მწვერვალის დაპყრობისას, მფრინავებს მაღლა ფრენისას, თან მიაქვთ ჟანგბადის ნიღბები. დიდ სიმაღლეზე ჟანგბადი ნაკლებია, ჟანგბადიანი ნიღბებით კი ადამიანები ცაში უშიშრად დაფრინავენ.

ახლა გიამბობ ნახშირბადზე. სუფთა ნახშირბადი ნახშირის მსგავსი მყარი ნივთიერებაა. იგი მართლაც ნახშირის შემადგენელი ნაწილია. ამიტომაც დაარქვეს ნახშირბადი.

უკვე იცნობ სამ ელემენტს: წყალბადს, ჟანგბადსა და ნახშირბადს. მათ ერთმანეთთან დაკავშირების უნარი აქვთ, მაგალითად, ორი ელემენტის — წყალბადისა და ჟანგბადის შეერთება გვაძლევს წყალს. წყალი ნაერთია. ორი გაზის შეერთებამ მოგვცა სითხე. საოცარია, არა?

— რა მოხდება, წყალში ნახშირის პატარა ნატეხი რომ ჩავაგდოთ? — დაფიქრებულად წარმოთქვა პეტიამ, — ალბათ კარაქს მივიღებთ. ეს ხომ სულ ადვილია?

— არა, არც ისე ადვილია, როგორც გგონია. საერთოდ კი სამი ელემენტის — ორი გაზისა და ერთი მყარის შეერთება გვაძლევს ახალ ნივთიერებას — თუნდაც კარაქს.

— მაშ, დღეს საუზმეზე ჩვენ შევჭამეთ ფუნთუშა, რომელსაც წავაცხეთ წყალბადის, ჟანგბადისა და ნახშირბადის ატომები?




— სწორედ ასეა. თუ არ ვცდები, რამდენიმე ატომის ბუტერბროდი კიდევ დაგვრჩა, არა? ხომ არ გვეჭამა?

პეტიას უარი არ უთქვამს.

## ვსწავლობთ მოლეკულებს

პეტიას ვუთხარი, დანარჩენი კენჭების გროვა სხვა ნივთიერებების მოლეკულებია-მეთქი.

— შენ უკვე იცი, რა მოლეკულები გვაძლევს წყლის ნაერთს. წყლის მოლეკულების დანახვა რომ შეგეძლოს, დარწმუნდებოდი, ყოველი მათგანი სამი ატომისაგან რომ შედგება: წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი ატომისაგან. წყლის გარდა, ქვეყნად უამრავი ნივთიერებაა შეერთების გზით მიღებული. ამ შეერთებაში ისევ და ისევ ოთხმოცდათორმეტი ელემენტისაგან რომელიმე ერთ-ერთი მონაწილეობს. ამ ელემენტებს ჩვენ „ბუნების ანბანი“ დავარქვით. სხვათა შორის, ადამიანის სხეულშიც — სისხლში, ქსოვილში, ძვალში — ცოტა ელემენტი როდი შედის ამ „ანბანიდან“.




— ნუთუ მეც სხვადასხვა ელემენტებისაგან შევდგები?

— რასაკვირველია, შენც.

— წყალბადსა და ჟანგბადზე თანახმა ვარ, თუ მართლა არის ჩემში. რკინა კი, ნამდვილად ვიცი, არ იქნება.

— ცდები, შენს სხეულში ერთი და ორი კი არა, ათობით ელემენტია, მათ შორის რკინაც. რკინა რომ არ იყოს ჩვენს სხეულში, ვერც ვიცოცხლებდით. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ყოველთვის მივაწოდოთ ამ ელემენტების მარაგი ორგანიზმს, ჯანმრთელობისთვის ეს აუცილებელია. კარაქში ბევრი ელემენტია. სხვა ელემენტებს, მაგალითად, რკინას ვიღებთ ბოსტნეულისაგან, ხილისაგან. ასე რომ, არ გირჩევ საჭმლის გამორჩევას, არ შეიძლება დააკლო ორგანიზმს ან კარაქი, ან ბოსტნეული ან სხვა რამ. შენი ჭირვეულობით შეიძლება ორგანიზმს დააკლდეს ფრიად საჭირო ელემენტი და დაავადდე.

— ამიერიდან ყველაფერს შევჭამ, ვაშლსაც, მსხალსაც, შოკოლადს, მარმალადს და კანფეტებსაც. რატომღაც მგონია, რომ ყოველ მათგანში ის ოთხმოცდათორმეტი ელემენტია, — სიცილით თქვა პეტიამ, — იქნებ ოთხმოცდაცამეტიც ან ასიც... შეუძლია ადამიანს ხელოვნურად შექმნას რომელიმე ელემენტი?

— ელემენტის ხელოვნურად შექმნა ალბათ ძალიან ძნელია... მაგრამ მათი შეერთება შესაძლებელია. შენ თვითონ ყოველ წუთში ქმნი ახალ ელემენტს.

— როგორ?

— სუნთქვისას ჩაისუნთქავ ჟანგბადს, იგი გაივლის ფილტვებში, ხოლო როცა ამოისუნთქავ, ჟანგბადი კი არ ამოდის ფილტვებიდან, არამედ ახალი ნივთიერება. ჟანგბადი შეუერთდა ნახშირბადს და წარმოიშვა ნახშირორჟანგი, ის შენმა ორგანიზმმა შექმნა. ამ ახალ გაზს სრულიად განსხვავებული თვისებები აქვს. ამასთანვე საშიშიც არის.

— რატომ არის საშიში?

— მხუთავი გაზია. მისი ჩასუნთქვა არ შეიძლება. ვინმემ სკივრში რომ ჩაგკეტოს, სადაც სუფთა ჰაერი ვერ შეაღწევს, ძალიან მალე იგრძნობ ამ გაზის მავნებლობას. მართალია, ჯერ თავისუფლად ისუნთქებ, მაგრამ თანდათან ჟანგბადი გამოგელევა და სუნთქვაც გაგიძნელდება. როდესაც სკივრში სულ გამოილევა ჟანგბადი და დარჩება მხოლოდ ნახშირორჟანგი, დაიხრჩობი. ავიღოთ სხვა შემთხვევა. მაგალითად, წყალი, მისი მიღება ხელოვნურადაც შეიძლება.

საუბარი მოულოდნელმა ჭექა-ქუხილმა შეგვაწყვეტინა, თუმცა ჩვენს თავზე ღრუბლის პატარა ნაფლეთიც არ ჩანდა. გადავწყვიტეთ, სანამ დროა, გავუდგეთ გზას შინისაკენ, მით უმეტეს, რომ ქილა სავსე გვქონდა მოცვით, ხოლო პეტიას მამისეული ჩანთა — სოკოებით.

შინისკენ გზას გავუდექით. ვხედავ, ახლად მოჭრილი ნაძვის ტოტები მიწაზე ყრია, ავკრიფე და თან წამოვიღე, ვიფიქრე, შინ მივალ თუ არა, წყალში ჩავდებ-მეთქი.

ორი ნაბიჯი არ გადაგვედგა, რომ საშინელი ყვირილი შემოგვესმა. მივიხედეთ: ხელების ქნევით გაბრაზებული მეტყევე მოგვდევდა. ჩვენს გარდა ბილიკს უამრავი ხალხი მიჰყვებოდა. შეჩერდნენ, დაინტერესდნენ, თუ რამ გააბრაზა მეტყევე... ჩვენც შევჩერდით, რას ვიფიქრებდით, თუ ჩვენ გვიყვიროდა.

— ეს ტოტები სად დაამტვრიეთ? — დაიბღავლა მეტყევემ.

— აი, ასე ანადგურებენ ბუნებას! — ნიშნის მოგებით გააქნია თავი ერთმა მოსეირნემ.

— ტოტები არ დაგვიმტვრევია. მოჭრილი ეყარა მიწაზე და ავკრიფე-მეთქი, — ავუხსენი მეტყევეს. მან გულდასმით შეათვალიერა ტოტები, დარწმუნდა ჩვენს სიმართლეში და ბოდიში მოგვიხადა. მაგრამ ბოდიში ჩუმად მოგვიხადა, ხოლო შეურაცხყოფა ყველას გასაგონად მოგვაყენა. იფიქრებდნენ, რომ ტოტები ჩვენ დავამტვრიეთ. არც შევმცდარვარ. გზად ვინც კი შეგვხვდებოდა, საყვედურით სავსე თვალებით გვეუბნებოდა — ბუნების მტრები ხართო. ეს კი ძალიან გვაღიზიანებდა, ჩვენ ხომ სრულიად უდანაშაულონი ვიყავით!

— რაც უნდათ, ის იფიქრონ, — ვბრაზობდი ჩემთვის, — ტოტებს კი არ დავაგდებ. ჯიბრზე წავიღებ სახლში, დავხედავ და გამახსენდება, რა გმირულად გადავიტანე ხალხის გამანადგურებელი მზერა.

ტოტები უხერხული სატარებელი აღმოჩნდა. სურნელოვანი საკმეველი ხელზე მეწებებოდა, ნაძვის წიწვები კისერსა და ყურში მჩხვლეტდა, თვალებსა და ცხვირში მიძვრებოდა.

საბედნიეროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ვლტავას გემსადგომს მივადექით.

## ფრთხილად, ყველგან ელექტროობაა!

სანაპიროსთან სკამზე ჩამოვსხედით. გემს დაველოდეთ. პეტია დროს არ კარგავდა, სოკოების ფესვების წმენდას შეუდგა. ნაპოვნი წიგნი დავათვალიერე და უცებ გამახსენდა... ატომებსა და მოლეკულებზე კი მოვუყევი ჩემს დისწულს, მაგრამ დამავიწყდა ყველაზე მთავარი...

მთავარი კი წიგნმა გამახსენა. გადავათვალიერე თუ არა წიგნი, მივხვდი, რომ წიგნი რთული იყო და პეტია ვერაფერს გაიგებდა. არ მასვენებდა ფიქრი, როგორ გადმომეცა წიგნის დედააზრი ბავშვისთვის მარტივად.

— ფრთხილად, პეტია, — ვთქვი უცებ, — შენი სოკოები და დანა დაელექტრონებულია!

— მეხუმრები?

— არ კეხუმრები, სიმართლეს გეუბნები. ყველა ნივთი ქვეყანაზე, რომელიც გნებავს, დაელექტრონებულია!

— ალბათ ხეც, — ირონიულად ჩაიცინა პეტიამ.

— წარმოიდგინე, ხეც.

— რას ამბობ, ხე ხომ დენს არ ატარებს?..

— მართალი ხარ, მაგრამ რაც გითხარი, ისიც სწორია. მოდი, კარგად გავერკვეთ... ელემენტები შედგება მოლეკულებისაგან, ხოლო მოლეკულები — ატომებისაგან. დამავიწყდა მეთქვა, რომ ატომი ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი როდია. არის მასზე პატარა ნაწილაკიც. ატომი მფრინავი ელექტრული ნაწილაკების გუნდისაგან შედგება. მოლეკულა ხომ პატარაა, მას თვალით ვერ დაინახავ, ატომი კი მასზე უფრო პატარაა, ხოლო ნამცეცა ატომის შიგნით მცირეზე მცირე ელექტრული ნაწილაკებია.

დახედე ამ ბალახს. ხედავ ჯერაც შეუშრობ წვიმის წვეთებს? იცი თუ არა, რომ წვიმის ერთ წვეთში გაცილებით მეტი ელექტრული ნაწილაკია, ვიდრე ზღვებში, ოკეანეებში, მდინარეებსა და ტბებში წყლის წვეთია.

— ვერაფერი გავიგე... ამ ნაწილაკებს ელექტრულს რომ უწოდებ, მათში დენი გადის?

— არაფერიც არ გადის. ისინი თვითონ არიან დამუხტულნი დადებითი და უარყოფითი ელექტრობით. იცი, როგორ იქცევიან უარყოფითი და დადებითი მუხტები შეხვედრისას?

— როგორ არა. სკოლაში ვისწავლე. მიიზიდებიან, თითქოს რაღაც უბიძგებთ, რომ ერთმანეთს ჩაეკრან. ხოლო დადებითი მუხტი თუ შეხვდა დადებითს, ან უარყოფითი უარყოფითს, ერთმანეთს განიზიდავენ.

— ეს მასწავლებელმა გიამბოთ ალბათ მაშინ, როდესაც გიხსნიდათ ელექტროდენს, რომელიც ელექტრონათურას ანთებს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ელექტრულ ნაწილაკებზეც, რისგანაც ატომი შედგება. ვინმეს მანქანის ან დანადგარის მოწყობილობა რომ აუხსნა, აუცილებლად ნახაზს მოიშველიებ. შენთვის გასაგები რომ გახდეს ატომის აგებულება, როგორ არის იგი შედგენილი ელექტრული ნაწილაკებისაგან, უკეთესია დაგიხატო.

12733




უბის წიგნაკი ამოიღე.

— აი აქ, ატომის შუაგულში მოთავსებულია ატომის ბირთვი. იგი შედგება დადებითად დამუხტული ელექტრული ნაწილაკებისაგან. ამ ნაწილაკებს [illegible]ტონები. მოდი, პროტონები წრეებით [illegible] შუაში ჯვარი ანუ პლუსი ნიშანი ჩავწეროთ, რაც იმას ნიშნავს, რომ პროტონები დადებითად არის დამუხტული. პროტონები ერთმანეთთან ძალიან ახლოს, თითქმის მიჯრით არიან განლაგებული.

— ძია, ყველა წრეში რად არ ჩაწერე პლუსი, რატომ დატოვე ზოგიერთი ცარიელი?

— იმიტომ, რომ პროტონების გარდა ატომის გულში სხვა ნაწილაკებიც არის. ისინი დამუხტული არ არიან. ამ ნაწილაკებს ნეიტრონები ჰქვია.

— ახლა ალბათ დახატავ ნაწილაკებს უარყოფითი ელექტრობით, ხომ?

— სწორედ ასე მოვიქცევი. ამ ნაწილაკების სახელია ელექტრონები. მათ(—) მინუს ნიშნით აღვნიშნავთ. თუ შეამჩნიე, ბურთულები — ელექტრონები ატომის გულში კი არ ჩავხატე, არამედ ბირთვის გარეთ. იმიტომ, რომ ელექტრონები მართლაც ბირთვის გარეთ არიან და უდიდესი სიჩქარით მოძრაობენ ატომის ბირთვის ირგვლივ.

— თუ ასეა, რატომ არ ამოფრინდება ელექტრონი ატომიდან?

— სამართლიანი შეკითხვაა... დამაცადე, შევეცდები გასაგებად აგიხსნა.

## რატომ არ იშლება ატომი

— უკვე იცი, რომ ატომში ბირთვია. იგი შედგება დადებითად დამუხტული პროტონებისაგან და დაუმუხტავი ნეიტრონებისაგან. ბირთვის გარშემო დაფრინავენ უარყოფითად დამუხტული ელექტრონები. ახლა შეგიძლია შემეკითხო: რატომ არ გაიფანტებიან სხვადასხვა მხარეს ბირთვის პროტონები, ისინი ხომ ერთნაირად არიან დამუხტულნი, ხოლო ასეთ შემთხვევაში უნდა განიზიდონ ერთმანეთისაგან, პროტონები კი შეადგენენ ერთ ძლიერ ერთეულს, რატომ? — ყველაფერი დამოკიდებულია მიზიდულობის განსაკუთრებულ ძალებზე, რომლებიც პროტონებსა და ნეიტრონებს ერთმანეთთან აკავშირებს.

— გეგონა, ვერ მივხვდებოდი. მე კი მივხვდი, რატომ არ გაიფანტებიან ბირთვის გარშემო მოძრავი ელექტრონები.

— აბა, თუ მეტყვი?

— იმიტომ, რომ ელექტრონებს ბირთვი მიიზიდავს.

— ყოჩაღ, რომ შენით მიხვდი. არსებითად ასეა. ახლა მგონი გასაგებია შენთვის ნეიტრონების მნიშვნელობა. ისინი რომ არა, ბირთვი დაიშლება, ელექტრონებსაც ვინ დააკავებდა. ატომი მთლიანად დაიშლებოდა. დაიშლებოდა მოლეკულაც და მასთან ერთად ყველა ნივთიერება.

— რამდენია ყოველ ატომში ნეიტრონი, პროტონი და ელექტრონი?

— როგორ გითხრა, სხვადასხვა ატომში სხვადასხვა რაოდენობით არის. ზოგიერთი ატომის აგებულება ძალზე მარტივია, ზოგისა კი — მეტად რთული. ყველაზე მარტივი აგებულება აქვს წყალბადის ატომს. მის



ქ. მარქსის სახ. სა...
სახელმწიფო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირთვში ერთადერთი პროტონია, რომლის ირგვლივ ერთი ელექტრონი მოძრაობს.

— ნეიტრონები სრულებით არა აქვს?

— არა. წყალბადის ატომში იგი ზედმეტია. წყალბადის ატომის ბირთვი ერთი პროტონისაგან შედგება, ერთი პროტონი კი სხვადასხვა მხარეს ვერ გაფრინდება. ელექტრონიც ვერსად წავა. ელექტრონი და პროტონი თითქოს ორი ტყვეა, ერთი ჯაჭვით გადაბმული, ერთმანეთს ვერ მოშორდებიან. ამ მიჯაჭვის წყალობით ატომი არ იშლება და მთლიანობას ინარჩუნებს.

ყველაფერს ნახატებით ვუხსნიდი პეტიას, უკეთ რომ გაეგო. უბის წიგნაკი მთლიანად ავაჭრელე.

— მიამბე რამე უფრო მდიდარ ატომზე, ვიდრე წყალბადის ატომია, რომელშიც ერთი პროტონი და ერთი... რა ჰქვია..

— ელექტრონია, პეტია, ელექტრონი! დროა დაიხსომო. ახლა კი ყველაზე მდიდარ ატომზე — ლითონ ურანის ატომებზე გიამბობ. ურანის ატომის ბირთვში ოთხმოცდათორმეტი პროტონია, ასორმოცდაექვსი ნეიტრონი, ხოლო ბირთვის გარშემო ოთხმოცდათორმეტი ელექტრონი მოძრაობს.

— ელექტრონების ასეთ დიდ ესკადრილიას რა ადგილი ჰყოფნის საფრენად?

— ვერც კი წარმოიდგენ, იმდენი აქვთ. ჩვენთვის ატომი სიდიდით უმნიშვნელოა, ძალზე პატარაა, მაგრამ მილიონჯერ უფრო პატარა ელექტრონებს და ბირთვს ატომი დიდად ეჩვენებათ. მათთვის ატომის გულში იმდენი სივრცეა, რამდენიც თვითმფრინავისთვის ცაში. ზოგჯერ ატომს მზის სისტემას ადარებენ, სწორი შედარებაა. წარმოიდგინე ჩვენი მზის სისტემა ატომის სიდიდემდე დაპატარავებული, მაშინ მზე ატომის ბირთვი იქნებოდა, ხოლო ცთომილები — ელექტრონები, ბირთვის — მზის გარშემო რომ დაფრინავენ.

## რა მოხდა გემზე

გემზე ცოტა ხალხი იყო. დამსვენებლებს შინ დაბრუნება საღამოჟამს ერჩიათ. პეტია ტვირთისა და დასაჯდომი ადგილების დარაჯად დავტოვე, მე კი ბილეთების შესაძენად სალაროსკენ გავემართე. როცა დავბრუნდი, პეტია ადგილზე აღარ დამხვდა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ვერსად ვიპოვე. გემი სრული სვლით პრაღისკენ მიდიოდა.

შემოვიარე მთელი გემბანი — პეტია არსად ჩანდა. ჩავედი ქვევით, კაიუტაში. პირველად ვერც იქ ვიპოვე. შემდეგ გულდაგულ დავათვალიერე ყოველი კუნჭული და ერთ ბნელ კუთხეში სკამზე მოკუნტული დავინახე. შემეშინდა.

— რა მოგივიდა, პეტია? რატომ იმალები?

— არაფერი, ისე.

პეტია ცდილობდა გულგრილად ეპასუხა, მაგრამ აღელვება ეტყობოდა.

— ავად ხომ არა ხარ? — ხელი შუბლზე დავადე. სიცხე არა ჰქონდა. „იქნებ დაისიცხა... ან მუცელი სტკივა", — გავიფიქრე. პეტია მარწმუნებდა, ჯანსაღადა ვარო. კარგად ვიცნობდი პეტიას, არაფერი რომ არ აწუხებდეს, ასე მორჩილად დაგიჯდებათ სკამზე? თავს ფანჯარაში არ გაყოფს?

პეტიას გვერდით მივუჯექი. ჩავფიქრდი, რა უნდა მომხდარიყო? მგონი გამოვიცანი.

— პეტია, — ძალიან ჩუმად შევეკითხე, — სოკოები და მოცვი რა უყავი?

პეტია მოუსვენრად ატოკდა.

— მიპასუხე!

— ზევით დავტოვე.

— სად ზევით? — ვერ გავიგე.

— იქ დავტოვე.

— როგორ თუ დატოვე!

— პეპიკ ვოკოუნუ დარაჯობს.

— პეპიკ ვოკოუნუ ვიღაა?

— ჩემი ამხანაგია.

— ჩამოვიტანოთ!

— სულ ერთია, არ არის, სად იქნება?

— რატომ არის სულ ერთი?.. სრულებითაც არა. შენს პეპიკს რომ დაავიწყდეს? ავიდეთ ზევით!

— არ წავალ, აქ ვიქნები.

— არ მომწონს შენი საქციელი. გამოტყდი, წაიჩხუბეთ?

უცებ კაიუტაში ბიჭუნა შემოვარდა და პირდაპირ პეტიასაკენ გაემართა.

— პეტია, წამო ზევით! იცი, რა ამბავია! თუმცა... აქედანაც კარგად ჩანს.

ბიჭუნა სკამზე შეხტა და ფანჯარაში გაიხედა.

პეტიამ წარბები შეკრა, თითქოს კბილი ასტკივდაო, თავს აქეთ-იქით აქნევდა. საგონებელში ჩავვარდი: სადღაც რაღაც ხდება და ჩემი დისწულისთვის სულ ერთია? ვერ ამეხსნა, რა მოუვიდა.

— პეპიკ ვოკოუნუ ხარ? — შევეკითხე ბიჭუნას. —





ჩვენს ნივთებს ყური კარგად უგდე. ქილაში მოცვი, ჩანთაში კი ნამდვილი თეთრი სოკოებია.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — მიპასუხა ბიჭუნამ, — თქვენს ნივთებს დედაჩემი სდარაჯობს.

ჩანს, პეტიამ მართალი მითხრა.

— ვერაფერი დაინახე? — არ ასვენებდა პეპიკი პეტიას.

— ვერაფერი, — პირქუშად უპასუხა პეტიამ. — თავი დამანებე, ისა სჯობს, მითხრა, რა სახელმძღვანელოები წავიღო პირველ სექტემბერს სკოლაში.

დაუჯერებელია: ქალაქგარეთ სეირნობისას პეტია სკოლით დაინტერესდა.

— რა დროს სკოლაა, — არ ცხრებოდა პეპიკი. — გემბანზე თეთრ შარვალსა და ღია ფერის ხალათში გამოწყობილი პატარა ბიჭუნა დასეირნობდა. ცოტა ხანში შავად დაწინწკლული არ გამოგვეცხადა? რა სეირი იყო!

პეტიამ ცივად აიჩეჩა მხრები, ღიმილიც კი არ მოერია.

— როგორ ბღაოდა, — უხაროდა პეპიკს. — როგორც იქნა, დაწყნარდა.

— რა მოუვიდა იმ ბიჭუნას? — დავინტერესდი.

პეპიკმა სიამოვნებით ამიხსნა:

— ხედავთ, ფანჯარასთან კიდევ დარჩა შავი კვალი, მოცვისაა. ვიღაცამ მოცვი გადმოყარა გემბანიდან, მოცვი თვლებს მოხვდა, თვალმა გასრესილი მოცვი ფანჯარას მიანარცხა, ფანჯარა მოისვარა, შავმა წვიმამ ბიჭუნაც შეღება, ერთნაირად მოითხუპნა. რა სანახავი იყო! სიცილით დავიხოცეთ. წამო, პეტია, შევხედოთ!

პეტიამ უარი სტკიცა.

— სულელი ხარ, — ეწყინა პეპიკს. — რას ზიხარ ამ ჯურღმულში, გემბანზე ყოფნა უფრო საინტერესოა. წავედი...

თქვა თუ არა, პეპიკმა საფეხურები აირბინა.

ცნობისმოყვარეობით დავაკვირდი პეტიას. იგი თავჩაქინდრული ჩუმად იჯდა.

— მაშ, მოცვს შინ ვეღარ მივიტანთ? — შევეცადე საუბარი გამება.

სიჩუმე ერთ წუთს გაგრძელდა, მას მოჰყვა პეტიას უსიცოცხლო ხმა:

— მივიტანთ, მხოლოდ ნახევარს... — შემდეგ კი უფრო ცოცხლად თქვა: — დამნაშავე არა ვარ. მართალს გეუბნები, ძია, არა ვარ დამნაშავე! ახლავე აგიხსნი, როგორ მოხდა ყველაფერი. ჩვენ გემბანზე ადგილი დავიკავეთ ზუსტად გემის მამოძრავებელი თვლის თავზე. ჩანთა სკამის ქვეშ შევტენე. ქილა არ გამიტყდესმეთქი და კალთაში ჩავიდე. როდესაც გემი დაიძრა, მოაჯირს გადავაწექი, წყალში ვიყურებოდი. უცებ ვიღაცამ ხელი გამკრა, კინაღამ ქილა წყალში ჩამივარდა, ძლივს დავიჭირე. მოცვი კი გადამიკვივდა. ძალიან ბევრი, თითქმის ნახევარი.

— ზუსტად თვალზე, არა?

— მაშ! მთელი ეს შავი ფაფა ფანჯარას მიენარცხა, როგორც საფანტი — აფეთქებას ჰგავდა. მართალს გეუბნები. საუბედუროდ, ბიჭუნაც თავით ფეხებამდე ამოისვარა.

— როგორ ფიქრობ? ხომ არ აჯობებს ბიჭუნას დედას ბოდიში მოვუხადოთ?

— ძალიან გთხოვ. არ მიხვიდე, — შემევედრა პეტია. — არავის დაუნახავს. მოცვი რომ მე გადამიცვივდა. ქილა სკამის ქვეშ არის, პეპიკთან. მოდი, ნუ მოვიხდით ბოდიშს.

— როგორ თუ ნუ მოვიხდით? აუცილებლად მოვიხდით. ოღონდ მოგვიანებით, დედა ბიჭუნას რომ დაბანს.

საიდუმლოება გამომჟღავნდა თუ არა, პეტია გამოცოცხლდა. ალაპარაკდა. გემბანზე ასვლას კი ვერ ბედავდა.

ჯვერდით მივუჯექი. ზევით ასვლაზე დავიყოლიებმეთქი, მან კი მკითხა:

— ძია, ასე ნელა რად მივცურავთ?

— მდინარეში წყალი ცოტაა. კაპიტანს ეშინია, სიჩქარეში მეჩეჩს არ დააჯახოს გემი. კაშხალს რომ ააშენებენ, ვლტავაში წყალი დაგუბდება, დიდი წყალსაცავი გაჩნდება, მაშინ ცურვაც გაადვილდება.

— ალბათ ძნელია მდინარის კაშხალით გადაღობვა?.. — ჭკვიანურად იკითხა პეტიამ.

— ახლა ძნელია, მართალია, მაგრამ ოდესმე გაიადვილებენ ადამიანები შრომას.

— როგორ, რა გზით?

— ატომი დაეხმარება. ოღონდ ჯერ ატომის გახლეჩა უნდა ისწავლონ, შემდეგ კი მისი გამოყენება.

— ვერ გავიგე, რა საჭიროა გახლეჩა? ან რომელი ატომი უნდა ვაიხლიჩოს, ან რა მოუვა საცოდავ გახლეჩილ ატომს?

— რამდენი შეკითხვა მომაყარე, ჩემო კარგო, თანაც ყველა ძალიან სერიოზული. სხვათა შორის, ამ შეკითხვებს მცირე კავშირი როდი აქვთ შენთან.

— ჩემთან?

— დიახ, ყველა დანარჩენ გოგონებთან და ბიჭუნებთანაც.

# გახლეჩილი ატომი

— ჯერ აგიხსნი, როგორ უნდა გაიხლიჩოს ატომი, შემდეგ კი გიამბობ, რისთვის არის ეს საჭირო. დავიწყებ ერთი ძალიან იშვიათი ელემენტიდან. მისი სახელია რადიუმი. ერთი გრამი რადიუმი რომ მოიპოვონ, რამდენიმე ტონა მადანი უნდა დაიხარჯოს. დღემდე სულ მოპოვებულია მხოლოდ ერთადერთ კილოგრამამდე რადიუმი. მას გასაოცარი თვისება აქვს — თავისთავად იშლება.

— როგორც ქვიშის მთა, რომელიც იფშვნება ცალკეულ პაწაწკინტელა ქვიშებად?

— არა, სხვაგვარად. რადიუმის ატომები თავისთავად იშლებიან. თითქოს ატომის ბირთვის პროტონები და ნეიტრონები შეთანხმდნენ და სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტესო, უცებ სხვადასხვა მხარეს გაფრინდებიან. ასე ხდება ძალიან ხშირად. ატომი, რომლის ბირთვიდანაც გაიქცნენ ეს პატარა ნაწილაკები, გაქრება, თითქოს დადნაო. იყო ატომი — და აღარ არის ატომი. ასე იხლიჩება რადიუმში ერთი ატომი. მას მეორე მიჰყვება, მესამე და ასე შემდეგ. ეს დაშლა ნელა ხდება. რადიუმის ნატეხი ათას ხუთასი წელიწადი რომ იდოს, ამ ხნის განმავლობაში მისი ატომების მხოლოდ ნახევარი გაქრება. ჩვენ ვერც კი შევამჩნევთ მათ გაქრობას. რას ნიშნავს რადიუმის ატომის გაქრობა? — შევეკითხე პეტიას და თვითონვე ვუპასუხე: — იმას, რომ ატომი არ არის რაღაც მონოლითური, გაუხლეჩავი. ამ მაგალითით ბუნება თითქოს გვეუბნება, ატომის გახლეჩა შეიძლებაო. ადამიანებმა ატომის აგებულება რომ გამოიკვლიეს, დაინტერესდნენ, რა მოხდება, ჩვენ თვითონ რომ გავხლიჩოთ ატომი, ან შევცვალოთ მისი აგებულება. საინტერესოა, რა ახალ ნივთიერებას მივიღებთ, თუ შევქმნით ატომს, რომელიც ბუნებაში საერთოდ არ არსებობსო.

ვიდრე ამ კითხვებს უპასუხებდნენ, საჭირო იყო ატომის გახლეჩა და გახლიჩეს კიდეც.

— როგორ გახლიჩეს?

— ოჰ, ეს ძალიან რთული პროცესია. ამისთვის ადამიანებმა გამოიგონეს ძლიერი, მოხერხებული მანქანა — ციკლოტრონი. ამ მანქანის მეშვეობით ზოგიერთი ელემენტის ატომიდან ატომური ნაწილაკები ამოაგდეს — პირველ რიგში პროტონები და ნეიტრონები. მე უკვე გითხარი, რა სისწრაფით მოძრაობენ ეს ნაწილაკები ატომური ბირთვის შიგნით. ციკლოტრონში კი უფრო სწრაფად მოძრაობენ, მათი სიჩქარე წამში ოცი ათას კილომეტრს აღწევს.

— აი მესმის სიჩქარე!

— მართლაც დიდი სიჩქარეა.

— ოღონდ ვერ გავიგე, ამ ნაწილაკებს ასე სწრაფად რატომ ამოძრავებენ?

— იმიტომ, რომ ეს ნაწილაკები ესროლონ იმ ნივთიერებას, რომლის ატომებიც არის გასახლეჩი. ციკლოტრონი ჰგავს ქვემეხს, ყუმბარების ატომებს რომ ისვრის. არტილერისტები ამბობენ, რაც მეტია ჭურვი, მით უფრო ადვილად დააზიანებ სამიზნესო. აქ კი, სადაც სამიზნეც პაწაწკინტელაა და ჭურვიც, აურაცხელი ყუმბარაა საჭირო. გამოსროლილი ნაწილაკების — ყუმბარების მეტი წილი ხომ სივრცეში გაიფანტება, გზად არაფერი შეხვდება. მხოლოდ ზოგიერთს გაუღიმებს ბედი და მოხვდება მიზანში — ატომის ბირთვში.

— ვთქვათ, გავისროლეთ ჭურვი და მოხვდა ბირთვში, მერე რა? — შემეკითხა პეტია.

— მერე საინტერესო ამბები ხდება. ზოგიერთი ნაწილაკი ბირთვზე მოხვედრისას ასხლტება ისე, როგორც ზოგჯერ გასროლილი ტყვია ქვიდან რომ ასხლტება. მაშინ არაფერი მნიშვნელოვანი არ მოხდება. ზოგიერთი ნაწილაკი კი ისეთი სიძლიერით დაეჯახება ბირთვს, რომ გახლეჩს. ზოგი კი ოდნავ დაშლის; გამოვარდება ბირთვიდან რამდენიმე პროტონი და ნეიტრონი — მეტი არაფერი. ზოგი ყველაფერს მილეწ-მოლეწავს, ყველა პროტონი და ნეიტრონი გაიფანტება სხვადასხვა მხარეს.

— შემდეგ რა ხდება?

— ამ საკითხზე ფიქრობენ მთელი მსოფლიოს მეცნიერები. თუ ატომს გავხლეჩთ, ამან ხომ ხალხს სარგებლობა უნდა მოუტანოს. დავუშვათ, ატომის გახლეჩილი ნაწილები ისევ შეაერთეს და შექმნეს ელემენტი, რომელიც ბუნებაში ცოტაა. ანდა ამ ნატეხებიდან წარმოიშვა სრულიად ახალი, ბუნებაში ჯერ უცნობი ელემენტი. ერთი სიტყვით, უნდა ისწავლონ ატომების გახლეჩის რთული პროცესის მართვა და ამით მიაღწიონ წინასწარდასახულ მიზანს. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ. ატომის გახლეჩისას თავისუფლდება მასში დამალული უამრავი ენერგია.

— მე არ ვიცი, რა არის ენერგია.

— ენერგია მუშაობის შესრულების უნარია. აი წყალი... მას შეუძლია შეასრულოს დიდი სამუშაო: ატრიალოს წისქვილის ბორბლები, აამოძრაოს ელექტროსადგურების ტურბინები და სხვა მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთოს. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ წყლის ენერგიაზე. ელექტროდენიც ცოტა სამუშაოს როდი ასრულებს. ამიტომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ელექტროდენის ენერგიაზეც.

— რა ენერგიაა დამალული ატომში? ალბათ, ატომური. ამიხსენი, როგორ წარმოიშობა ეს ენერგია.

— როცა ატომი მთელია და ხელუხლებელი, შიგ ნაწილაკები მშვიდად იმყოფებიან, არავითარი ატომური ენერგია არ გამომუშავდება. მაგრამ საკმარისია, ესროლო ატომური ქვემეხიდან გასახლეჩი ჭურვი — ნაწილაკი დასაშლელ ატომს, რომ ბირთვში ალიაქოთი იწყება. ნაწილაკი — ჭურვები გამოაგდებენ ბირთვიდან ნეიტრონებს, რომლებიც ადრე აკავებდნენ ბირთვის პროტონებს და არ აძლევდნენ სხვადასხვა მხარეს გაქცევის საშუალებას. მას შემდეგ, რაც ნეიტრონებმა დატოვეს ბირთვი, პროტონები აქეთ-იქით ეხლებიან, გასახლეჩი ატომიდან ამოხტომისას ეჯახებიან ჯერ კიდევ მთელ მეზობელ ატომებს. ლტოლვილების სიჩქარე კი დიდზე დიდია. თვითონ იქცევიან ჭურვებად და აყუმ-



ბარებენ თავიანთ მეზობლებს. ახლა ეს ატომებიც გაიფანტებიან აქეთ-იქით ნაწილაკებად, ერთი ატომი მეორეს ანგრევს, მეორე მესამეს და ასე შემდეგ ჯაჭვურად გრძელდება დამანგრეველი მოქმედება. რაღაც მემილიონედ წამში იხლიჩება მილიარდი ატომი. სწორედ ასეთი გახლეჩის დროს ატომებიდან გამოიყოფა იმდენად დიდი ენერგია, რომ წარმოიშობა არნახული სიძლიერის აფეთქება. ატომური საფანტი რამდენიმე გრამია, ნგრევის ძალა კი ისეთი აქვს, თითქოს ათასი ტონა დინამიტი ააფეთქესო.

## მომავლის ტექნიკა

— ატომური ენერგია აქა-იქ უკვე ჩააბეს ხალხის სამსახურში, მაგრამ ყველგან ერთნაირად როდი იყენებენ მას. კაპიტალისტური ქვეყნების ბანაკი, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ცდილობს აიძულოს ატომური ენერგია, ომს ემსახუროს. ამ სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს დაამზადეს ატომური ბომბები და ჩამოყარეს იაპონიის ქალაქებზე.

ომის მომხრე ქვეყნებს მშვიდობის ბანაკი ეწინააღმდეგება. მის სათავეშია საბჭოთა კავშირი. ატომური ბომბები საბჭოთა კავშირსაც აქვს ყოველი შემთხვევისათვის, მაგრამ საბჭოთა ადამიანები არ ფიქრობენ ომზე, მათ სურთ იცხოვრონ მშვიდობიანად მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ერთად. ატომურ ენერგიას საბჭოთა ადამიანები, ჩვეულებრივი ფეთქებადი ნივთიერებების ნაცვლად, იყენებენ მშენებლობებზე, სახეს უცვლიან თავიანთ ქვეყანას. საბჭოთა ადამიანები ატომურ ენერგიას დასანგრევად კი არა, ასაშენებლად, ადამიანთა სიცოცხლის დასაღუპავად კი არა, გასალამაზებლად და გასაბედნიერებლად იყენებენ.

— ნუთუ ისეთი ძლიერია ატომური ენერგია, რომ მასზეა დამოკიდებული ადამიანთა ბედნიერებაც და უბედურებაც? — მკითხა პეტიამ.

— დიახ, ჩემო ძვირფასო, ძალიან ძლიერია! აი ამ პატარა ბურთულაში დამალულია იმდენი ძალა, რომ გრძელ სატვირთო მატარებელს დედამიწის ირგვლივ შემოატარებდა, ხოლო ფანჯრის ჩარჩოს დასაკიდებელ პაწაწინა ხრახნში ჩამალული ძალა დედამიწის გარშემო თვითმფრინავს რამდენჯერმე შემოაფრენდა; ჭიქა წყალში მიძინებული ენერგია ჩვენს გემს უსაწვავოდ რამდენსამე ათას კილომეტრზე გააცურებდა. რიყის პატარა ქვაში, მდინარის პირას რომ გდია, იმდენი ენერგიაა, თუ მას ელექტროენერგიად ვაქცევთ, მთელ პრაღას ერთი წლის მანძილზე გაანათებს. შენთვის, ალბათ, გაუგებარია, როგორ უნდა აიძულო მოგემსახუროს ეს მძლავრი, მაგრამ ჯერ მიძინებული ენერგია.

— დიახ, გაუგებარია, — დამეთანხმა პეტია.

— ყური კარგად დამიგდე და ყველაფერს გაიგებ. თავდაპირველად ადამიანებმა ისწავლეს სითბოს გამოყენება, რომელიც წარმოიშობა ატომის დაშლისა და ნგრევის დროს. ნახშირის, ნავთობისა და სხვა ჩვეულებრივი სათბობის ნაცვლად ადამიანებმა არაჩვეულებრივი საწვავი — ატომური სათბობი გამოიყენეს. საბჭოთა კავშირში, მსოფლიოში პირველად, ატომური სათბობით ამუშავდა ელექტროსადგური. ატომური ენერგიის გამოყენება სხვაგვარადაც შეიძლება. მოვა დრო, როდესაც ადამიანები მისი დახმარებით ახალ ნივთიერებებს შექმნიან. ასეთი ხელოვნური ნივთიერებებისაგან ადამიანები ააგებენ სახლებს, შეკერავენ ტანსაცმელს,ააწყობენ სხვადასხვანაირ მანქანას, მათ შორის — ავტომანქანასაც. ყველაფერი ეს კი ბევრად შეამსუბუქებს და გააადვილებს ადამიანის შრომას. ატომური ენერგია დაგვეხმარება გავთხაროთ ახალი არხები, ხოლო უწყლო უდაბნოები გადავაქციოთ ედემის ბაღებად. ატომური აფეთქებები მიწის პირიდან აღგვიან იმ გორაკებსა და მთებსაც კი, ხელს რომ გვიშლიან; ადამიანები გაადნობენ ყინულს ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე. შესანიშნავი ატომური ხომალდებით დედამიწიდან პლანეტებისაკენ გაემგზავრებიან.

— ყველაფერი ეს შენს წიგნშია მოთხრობილი?

— ეს და ბევრი სხვაც.

— ერთი წამაკითხა!

— ვერაფერს გაიგებ. წიგნი მოზრდილებისათვის არის.

პეტია წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი გამანდო თავისი ყველაზე სანუკვარი ოცნება: თურმე მას უნდა გამომგონებელი გახდეს, გამოიგონოს რაიმე ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო.

— რატომაც არ უნდა გახდე? — ვუპასუხე, — მაგრამ ამისთვის ბევრი უნდა იშრომო. ვინც ოცნებობს გამომგონებლობაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი ვერ დაელოდება, როდის გახდება ჭკვიანი და განათლებული. ბეჯითად უნდა იმეცადინოს — შეისწავლოს მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, კარგად უნდა ფლობდეს უცხო ენებს, სხვა ქვეყნებში გამოსული სამეცნიერო წიგნების წაკითხვა რომ შეძლოს.

— მე კარგად ვსწავლობ, ცოტაც და პირველი მოსწავლე ვიქნები კლასში. — შემდეგ კი დაუმატა: — ძალიან გთხოვ, რაიმე ახალს თუ გაიგებ ატომებზე, მიამბე!

სიამოვნებით დავეთანხმე. გადავწყვიტეთ, მომავალში უფრო ხშირად გვესაუბრა მეცნიერებაზე. ასე წარმოიშვა ტექნიკური წრე, რომელიც ორი წევრისაგან შედგებოდა: მე და პეტია. პეტიამ მითხრა, რომ ამ წრის გარდა იგი შეეცდება შექმნას სკოლაში კიდევ ერთი, უფრო მრავალრიცხოვანი ტექნიკური წრე, სადაც იმსჯელებენ იმაზე, რასაც პეტიას ვუამბობ.

— კარგად მოგიფიქრებია, — მოვუწონე განზრახვა. — ყველაფერი, რაზეც დღეს ვსაუბრობდით, მხოლოდ მე და შენ როდი გვეხება. ყველას ეხება, მოზრდილსაც და პატარასაც. შენ და შენი ტოლები რომ გაიზრდებით, თქვენს წინაშე დადგება ამოცანა, გახადოთ ცხოვრება უფრო კარგი და ლამაზი. ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა მოემზადოთ: სპორტში უნდა ჩაებათ, ჯანმრთელი რომ იყოთ, კარგად უნდა ისწავლოთ, მეტი რომ იცოდეთ. მხოლოდ ძლიერი და ჭკვიანი ადამიანები შეძლებენ ხალხის საკეთილდღეოდ ატომური ენერგიის სწორად გამოყენებას.

საუბარში დრომ სწრაფად გაირბინა. პრაღაში ჩავედით.

პეტიას გადაავიწყდა, მოცვით ბიჭი რომ მოისვარა, და გემბანზე თამამად ამოვიდა. აღარსად ჩანდა ქალი და ის მოთხუპნული ბიჭუნა, ალბათ ნაპირზე ჩავიდნენ.

სოკოებით სავსე ჩანთა და მოცვის ქილა ადგილზე დაგვხვდა. ქილა, სამწუხაროდ, გატეხილიყო. იქნებ პეტიას გაუტყდა, მოაჯირს რომ გადააწვა, ან იქნებ მგზავრებმა უნებლიეთ ფეხი გაჰკრეს. ასე იყო თუ ისე, ბედუკუღმართი მოცვიანი ქილა გემბანზე დავტოვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ძვირფასო რედაქციავ!

ინტერესით ველი ჟურნალ „პიონერის“ ყველა ნომერს. განსაკუთრებით მიტაცებს ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალ „აისის“ ფურცლებზე ჩემი თანატოლების მიერ სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე გამართული მსჯელობები. მათგან ბევრი საყურადღებო რამ შევიტყვე. ახლა კი მე თვითონ ვარ გასაჭირში. ძალიან მატკინა გული მეგობარმა, რომელიც საბავშვო ბაღიდან მოყოლებული დღემდე, აგერ უკვე შვიდი წელია, ჩემი უახლოესი ადამიანი იყო. აბა სხვამ ვინ, თუ არა ასეთმა მეგობარმა, უნდა გიშველოს გაჭირვებისას? აი რა მოხდა. ნანა (ასე ჰქვია ჩემ მეგობარს) ძალიან ძლიერია მათემატიკურ საგნებში, მე კი არც ისე. ხშირად ვსარგებლობდი მეგობრის უფლებით და მისგან მზა მაგალითებსა და ამოცანებს ვიწერდი. მან რამდენჯერმე მითხრა, იცოდე მეტს აღარ გადაგაწერინებო. მე ეს, ცხადია, ხუმრობად მივიღე. მეგობარი აბა რისი მეგობარია, თუ შენთვის ასეთ რამეს დაიზარებს. მან კი, წარმოიდგინეთ, მაშინ მიღალატა, როცა მეოთხედის ბოლოს ნიშნის ბედი წყდებოდა, და ახლა მე ჩემი „მეგობრის“ წყალობით ალგებრაში ნიშანი „ორი“ გამომყვა. ნანას, ცხადია, ხმას აღარა ვცემ, თუმცა ის ძალიან ცდილობს შემირიგდეს. თავს იმით იმართლებს, ვითომც მას უნდოდა მე თვითონ მემეცადინა და დამსახურებული ნიშანი მიმეღო.

თანაკლასელების ნაწილი მე მამართლებს, ნაწილი კი ნანას. ძვირფასო რედაქციავ, ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი.

თბილისი. გ. თ.

●

ლია და ქეთინო სკოლაში ადრე მოსულიყვნენ. ეტყობოდათ, ვიღაცას ელოდებოდნენ. აი გამოჩნდა მათკენ მომავალი თამრიკოც. გოგონები მივარდნენ ამხანაგს, ალგებრის რვეული სთხოვეს. მანაც უყოყმანოდ ამოიღო ჩანთიდან და გაუწოდა. გახარებულმა მეგობრებმა რვეული მერხზე წინ დაიდეს და გამალებით დაიწყეს გადაწერა.

ლია და ქეთინო ერთხელაც არ დაფიქრებულან, რომ ასე ცოდნის შეძენა არ შეიძლება.

თამრიკო, მართალია, თვითონ კარგად სწავლობს, მაგრამ არ ფიქრობს დაეხმაროს ამხანაგებს, გახადოს ისინიც სწავლაში მოწინავენი. — კი არ გადააწერინოს შესრულებული საშინაო დავალება, არამედ გაარკვიოს ისინი გაუგებარ საკითხებში.

მე ასე მწამს მეგობრობა.

ნანა გაგოშიძე,

ნიკორწმინდის საშუალო სკოლის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერული რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

რედაქციისაგან: გავშვებთ, თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს ორი წერილი, რომლებშიც ერთი და იგივე ფაქტი ორი სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვაგვარად არის დანახული და შეფასებული. ამ საკითხში სწორი პოზიციის დადგენა დიდად შეგიწყობთ ხელს თქვენს სასკოლო და შემდგომ ცხოვრებაშიც, ადამიანებთან ურთიერთგაგებაში.

მაშ ასე, ვიწყებთ დისკუსიას „ვინ არის ნამდვილი მეგობარი, ნანა თუ თამრიკო“? ველით თქვენს წერილებს.

# არდადეგებზე და შემდეგაც

ზაფხულის არდადეგებზე მე და ჩემმა თანაკლასელებმა აქტიური მონაწილეობა მივიღეთ საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობას ჯერ სიმინდის თოხნაში, შემდეგ კი —

## ჩემი შემოქმედება

### უცხოური იუმორი

მასწავლებელს მოსწავლეთა მშობლების პროფესიის გაგება აინტერესებდა.

— აბა, ჯონ, — ჰკითხა მან ერთ-ერთ მოსწავლეს, — რა ხელობის კაცია მამაშენი?

— ავადმყოფი.

— მე გეკითხები, რას აკეთებს?

— ახველებს.

— რას აკეთებს, როდესაც ჯანსაღად არის?

— მაშინ არ ახველებს.

— კი მაგრამ, ჯონ, მინდა გავიგო, ვინ არის მამაშენი, როცა იგი არც ავად არის, არც ახველებს და არც ლოგინში წევს.

— მაშინ ჯანსაღად არის, ბატონო მასწავლებელო.

— ჰო, ლონდონში იყავი, არა? — ჰკითხა ჰანსმა ამხანაგს, — მერე, არ გაგიჭირდა შენი ინგლისურით?

— მე არა, ინგლისელებს გაუჭირდათ.

თარგმნა როზა ნაჭყებიამ,

ზღვაიას 8-წლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ჩაის კრეფაში, სარეველა მცენარეებისაგან ახალი ჩაის გასუფთავებაში დავეხმარეთ.

მუშაობა არც არდადეგების შემდეგ შეგვიწყვეტია. თითოეულმა ჩვენგანმა ორი ცენტნერი თივის მოგროვება ივალდებულა, რაც პირნათლად შევასრულეთ.

სუსანა შულაია,

გეგეჭკორის რაიონის კიწიის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

# დაუვიწყარი დღე

წლევანდელმა პირველმა სექტემბერმა ორღულელ მოსწავლეებს დიდი სიხარული გვარგუნა. ამ დღეს სწავლა დავიწყეთ სკოლის ახალ, ქათქათა შენობაში. მის მშენებლებს უფროსკლასელებთან ერთად ჩვენც, პატარებმაც წავახმარეთ ხელი.

საზეიმო შეკრებაზე მოწვეული სტუმრების, აღმზრდელ-პედაგოგებისა და მშობლების წინაშე პირობა დავდეთ, რომ უფრო მეტი მონდომებით ვისწავლით და ვიმუშავებთ, სანიმუშოდ მოვუვლით ახალ სკოლას, გავამწვანებთ და გავალამაზებთ მის შემოგარენს, სამამულო ომში დაცემულ თანასოფლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად გავაშენებთ ხეივანს, მოვაწყობთ სტენდს.

როცა საზეიმო შეკრება დამთავრდა და პირველი ზარი აწკრიალდა, პარტიის საჩხერის რაიკომის მდივანმა მ. მაჭარაშვილმა ლენტი გაჭრა და სახეგაბრწყინებულმა მოსწავლეებმა ფართო, ნათელ საკლასო ოთახებს მივაშურეთ.

მალხაზ ბიჭაშვილი,

საჩხერის რაიონის ორღულის 8-წლიანი სკოლის IV კლასის მოსწავლე.

## ნეტავ როგორ არის?

დღეს პირველად მოდის
თეთრი თოვლი ციდან,
ჩემთან შემოფრინდა
ფიფქი ერთი ციდა.

ვთამაშობდით დიდხანს,
დავხტუნავდით ერთად,
ფანჯრიდან კი ჩანდა
ვარსკვლავთოვა თეთრად.

ნეტავ როგორ არის
ფიფქი პაწაწინა,
ჩემთან ერთად მაშინ
რომ ხტუნავდა შინა?

ლელა კაციაშვილი,

თბილისის მე-60 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.



გოჩა მაისურაძე,
განათლების სამინისტროს სამხატვრო სკოლა, V კლასი.




პოლიკარპე კლიბაძე.
განათლების სამინისტროს სამხატვრო სკოლა, V კლასი.



მამუკა ჯაფარიძე,
7 წლის.



# ძილისგუდა

**როსტომ ელანიძე** მოთხრობა მხატვარი გ. ფოცხიშვილი.

ერთ ზამთარს, დიდი თოვლის დროს, ხანთო პაპამ ტყიდან კამეჩებით ვეებერთელა ხმელი წიფელი მოათრია; დაპობას რომ შეუდგა, მის ფუღუროდან თხილის, კაკლისა და წიფლის ნაჭუჭებმა დაიწყო ცვენა; ორგან ძველი ბუდეები აღმოჩნდა, რამაც ლელას და მამუკას ყურადღება მიიპყრო. მათში ამოგებული იყო ფოთლები, ბალახი და ბეწვი.

— ესენი ციყვის ან თრითინას ბუდეები უნდა იყოს, რომლებიც მათ ადრე მიუტოვებიათ, — ჩაილაპარაკა მოხუცმა და განაგრძო ხის დაპობა. შუა წელს რომ მიაღწია, იქ ერთგან ხოჭოები იყო ჩაბუდებული, მეორეგან — ღამურები; მათ შემდეგ — ფუღუროდან გადმოვარდა პატარა, ნაცრისფერი ცხოველი, ის ზღარბივით იყო მობღუნძული, ცხვირი და ფეხები მუცლის მხარეზე კუდის ქვეშ ბეწვებში ჰქონდა შემალული და ღრმა ძილს მისცემოდა.

— აი, ესეც თქვენი მოულოდნელი სტუმარი! ტყის ბინადარი ძილისგუდა, — მიმართა შვილიშვილებს ხანთო პაპამ, ცხოველი ხელში აიყვანა, მერე ისევ თოვლზე წამოაწვინა და განაგრძო: — ხედავთ, ჩვენი მოტანილი ხმელი წიფელი თურმე ტყის ცხოველების სასახლე ყოფილა, მასში უცხოვრიათ: ციყვებს, თრითინებს, ღამურებს, ხოჭოებს, ამ ჩვენს ძილისგუდას და, ვინ იცის, კიდევ რამდენ სხვა ტყის ბინადარს.

— ძილისგუდა რატომ ჰქვია ამ ცხოველს? სულ რომ სძინავს იმიტომ? — იკითხა ლელამ.

— ეგ სახელი ხალხს შეურქმევია მაგისი ზნე-ჩვეულების მიხედვით, — განაგრძო მოხუცმა. — დაზამთრებისას, როცა ძლიერ აცივდება, თანაც საკვები ძნელი საშოვარია, იბუდებს თავის სასახლეში და ეძლევა ზამთრის ძილს. დეკემბრიდან მარტამდე სძინავს, ამ ხნის განმავლობაში არც მოძრაობს და არც იკვებება; როცა გაზაფხულის სითბოს იგრძნობს, იღვიძებს, გარეთ გამოდის და ცხოვრობს ჩვეულებრივად, ტყეში, ხეებზე, უმეტესად მეზობლობს ციყვებთან.

— მართლაც პატარა, მობღუნძულ გუდასა ჰგავს! — თქვა მამუკამ და ფრთხილად გადაუსვა ხელი.

— ახლავე სახლში შეიყვანეთ, ბუხარში ცეცხლი გააჩაღეთ, რომ სითბო იგრძნოს და გამოიღვიძოს, — ურჩია პაპამ. იმათაც მაშინვე შეიყვანეს, ბუხრის პირას ტახტზე დასვეს. წინ თავიანთი სათამაშოები გაუმწკრივეს: დათუნია, მელაკუდა, ციყვი, კურდღელი. ბუხარში რომ ცეცხლი აგუზგუზდა და კარგად დათბა, ძილისგუდა თანდათან ამოძრავდა, გამოწია ბანჯგვლიანი კუდი, გამოაჩინა ცხვირი, გაშალა მოკლე ფეხები, ბასრი ბრჭყალებიანი თათები.

ბავშვები მის მოძრაობას დიდი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ. რომ იზმორებოდა, იშლებოდა, სხეულის ყველა ორგანო თავისებურ ფორმას ღებულობდა — მისი გაშლილი, ბანჯგვლიანი კუდი თითქმის იმ სიგრძე იყო, რაც ტანი. თავი დიდი ჰქონდა, თვალები — ფართო, ყურები — ტიტველი.

იმ ძილ-ღვიძილში ტყის ბინადარმა უცებ გამოიხედა და თავის გარშემო იმდენი ცხოველი რომ შენიშნა, დაფეთებული წამოხტა, სახლის ყოველი კუთხე შემოირბინა...

— კარი ჩაკეტეთ, კარი! — შესძახა მამუკამ, მაგრამ გვიანღა იყო — ძილისგუდამ მიაგნო კარს და გარეთ გავარდა!..

— პაპა, გვიშველე! ნადირი გამოგვექცა, ნადირი! — დაიხმიანეს ბავშვებმა და უკან გაჰყვნენ...

— ნუ გეშინიათ! ჩვენი ხიზანი ამოდენა თოვლში ვერსად წავა, აქ სადმე თბილ ადგილს მოძებნის და დაიბუდებს, — ანუგეშა ბავშვები ხანთო პაპამ.

ლელამ და მამუკამ მაინც ვერ მოისვენეს — შემოიარეს მთელი ეზო-ყური, საბძელი, გომური, საძნე-კალო, ორგან თოვლზე კვალს წააწყდნენ, ისიც დაეკარგათ და დაღონებულები დაბრუნდნენ... პაპასთან რომ მივიდნენ, თოვლში ამოგანგლულმა ძილისგუდამ წინ გადაურბინა და საბძელში შევიდა.

— ეგეც ეგრე! მაგან უკვე მიაგნო თავის ბინას, — მიმართა ხანთო პაპამ პატარებს, —მანდ გაიკეთებს ბუნაგს და მთელ ზამთარს ძილში გაატარებს.

— ჩვენ კი გვინდოდა ჩვენთან ყოფილიყო, სითბოს არ მოვაკლებდით, ვასმევდით, ვაჭმევდით, — ჩაილაპარაკა მამუკამ და ისევ მის საძებნელად გასწია — საბძელი ხელმეორედ თავიდან ბოლომდე გადაჩხრიკა და მაინც ვერ იპოვა.

●

ხანთოაანთ საბძელში ძილისგუდას დაბინავების შემდეგ ზამთარი უფრო





ეროვნული ბიბლიოთეკა

გაავდა — რამდენჯერმე იმდეხი ს[illegible]ლი მოვიდა, რომ გარეულ ცხოველებს მოძრაობა და საკვების შოვნა გაუჭირდათ. ძილისგუდა ახლა უფრო ღრმა ძილს მიეცა და გვიანამდე აღარ გამოჩენილა; მხოლოდ მარტის შუა რიცხვებში, როცა თბილი ამინდები დაიჭირა და თოვლმა დნობა იწყო, მერედა მიაგნეს მის კვალს; ეს მოხდა შემდეგნაირად: ერთ დღეს სათულა ბებო საბძელში შევიდა საქონლის საკვებისთვის, ბებოს ლელაც თან შეჰყვა. კედლის ნაპირიდან თივას რომ იღებდნენ, კაკლისა და თხილის ნაჭუჭის გროვა შენიშნეს, იქვე ბოძის გამოღრუებულ კუჟრს ბეწვები ჰქონდა შერჩენილი...

— შეხედე! თქვენი ძილისგუდა სად ჩაბუდებულა! — მიუთითა მოხუცმა შვილიშვილს, — ეტყობა, ძილისთვის თავი ადრე დაუღწევია და თანაც ხილისთვის მიუგნია! აქ რამდენი ნარჩენი ყრია და, სხვენში რაღა ამბავი იქნება!

— კაკლის დამტვრევა ჩვენ გვიჭირს და მაგას როგორ დაუხრავს! — გაიკვირვა ლელამ.

— ისეთი მაგარი — ბასრი კბილები აქვს, მჭრელი დანა ვერ შეედრება, ტყიდან ხშირად შემოდის სოფელში და ანადგურებს ხილს, ბოსტნეულს, — თქვა მოხუცმა.

საღამოთი ხანთო პაპა სამუშაოდან რომ დაბრუნდა და ძილისგუდას ამბავი გაიგო, თქვა: ,,ახლა უკვე გაზაფხულია, ცოტაც რომ მოთბება და თოვლს აიღებს, ჩვენი ხიზანი ტყეში გაიქცევა, იქ თავის უბანს იპოვის და ახალ ბინას გაიჩენს, ამიტომ მისთვის ხვალვე დიდი გალიასახლი ავაშენოთ, შევასახლოთ, მოვამარაგოთ საკვებით, წყლით და იყოს ჩვენთან''.

ლელასა და მამუკას ძლიერ მოეწონათ პაპის რჩევა, ახლა სულ იმაზე საუბრობდნენ, როგორი სახლი გაემართათ, ან რა საკვებით მოემარაგებინათ თავიანთი ხიზანი...

მეორე დილით ორივემ ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა. ხანთო პაპასთან ერთად ჯერ ძილისგუდა ინახულეს და შემდეგ შეუდგნენ მისთვის სახლის მშენებლობას, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხანთო პაპა კარგი ხელოსანი იყო, იქვე სახლის გვერდზე ედგა ფიცრული სახელოსნო; სახლისათვის მუხის მასალა შეარჩიეს, რომ უფრო მეტი სიმტკიცე ჰქონოდა. ამუშავდა დაზგა, ხერხი, ხელეჩო, ცული, შალაშინი. ჯერ შეკრეს იატაკი, შემდეგ რიკულებისაგან გააწყეს კედლები და ჭერი, რომელთა შორის დარჩენილი იყო მცირე შუალედები; შიგნით უკანა კედელთან დადგეს დაბალკედლებიანი, ღია ქუბულო, შიგ ჩაუგეს ჩალა, მატყლი, იქვე კუთხეში გაუკეთეს წყლის ჭურჭლის ჩასადგმელი; შეაბეს საკეტებიანი კარი და აი ხიზანის სახლი უკვე მზად იყო; შუადღისას შეიტანეს საბძელში. ხანთო პაპამ ფრთხილად გამოამტვრია მისი სადგომი ბოძის ფუღურო და მთლიანად გამოჩნდა ჩაძინებული ძილისგუდა. იმავე მდგომარეობაში გამოიყვანეს, ყელზე გაუკეთეს ყვითელი ლენტი და შეასახლეს ახალ სადგომში, შეიტანეს სახლში და მოათავსეს ბუხართან ტახტზე, ისევ იქ, საიდანაც ზამთარში გაექცათ. ამის შემდეგ მოამარაგეს საკვებით — შეუყარეს დამტვრეული კაკალი, სიმინდი, პანტის და მაჟალოს ჩირი, დაუდგეს წყლიანი ჭურჭელი. როცა სიწყნარე ჩამოვარდა და იგრძნო, რომ მის ირგვლივ აღარავინ იმყოფებოდა, ამოძრავდა, წამოდგა, შემოირბინა ყოველი კუთხე, გარეთ გასვლა სცადა, რომ ვერაფერს გახდა, კაკალს დაუწყო ჭამა. მცირე ხნის შემდეგ წყალი მოსვა, წყალს პანტა და მაჟალო დააყოლა. ბოლოს ისევ სადგომში შევიდა. მატყლში გაეხვია და თბილად ჩაიძინა... იმ დღიდან მოყოლებული უმეტესად ეძინა. იღვიძებდა ღამე, როცა ყველაფერი მიწყნარდებოდა...

აპრილის ბოლოს, როცა კარგად დათბა, თოვლი აიღო და მცენარეულობა გაიფოთლა, ძილისგუდას სახლი აივნის წინ ბაღში ცაცხვის ტოტებზე დაამაგრეს. ამ საცხოვრებელი ადგილის შეცვლით ძილისგუდას ბედი ეწია იმით, რომ ბაღი იქვე ტყეს უერთდებოდა და ტყის ცხოველები ხშირად მოდიოდნენ. მას პირველად ჩხიკვი ესტუმრა, შემდეგ შაშვი, მათ მთელ ტყეს მოსდეს ძილისგუდას ტყვეობის ამბავი და ამის შემდეგ ვიღას მოიკითხავდით, რომ აქ არ მოსულიყო, განსაკუთრებით ციყვები და თრითინები გახდნენ ხშირი სტუმრები — დახტოდნენ იმ ცაცხვზე, სახლის გარშემო, ათასგვარ ილეთებს აკეთებდნენ, ხან კარებს დაეჭიდებოდნენ, ხან კუდს შეუყოფდნენ შიგნით. თავისებურად რაღაცას ესაუბრებოდნენ... ლელა და მამუკა შორიდან თვალყურს ადევნებდნენ მათ მოქმედებას და ხვდებოდნენ, რომ იმათ უნდოდათ ძილისგუდას განთავისუფლება... თანაც დაიმედებით ამბობდნენ: ,,ციყვები მაგას როგორ გაათავისუფლებენო'', მაგრამ ერთ დღეს, სანამ ბავშვები თავიანთ ხიზანს საჭმელს მიუტანდნენ, ჩხიკვმა და კაჭკაჭმა ცაცხვზე რაღაც უჩვეულო ხმაური ატეხეს... მივიდნენ და ძილისგუდა იქ აღარ დახვდათ! — სადგომის კარებთან კედლის ერთი რიკული ორივე მხრიდან გაღრღნილი და გატეხილი იყო — ეტყობოდა, შიგნიდან თვითონ და გარედან ციყვებმა გაღრღნეს და გაათავისუფლეს თავიანთი ტყის ბინადარი.

ლელა და მამუკა ნაწყენი დარჩნენ, სათულა ბებო კი კმაყოფილი იყო, რომ ზედმეტი ბარგისაგან განთავისუფლდა, მაგრამ მაინც არ ამჟღავნებდა, ციყვების მოქმედებით კი გაკვირვებული იყო და მათ საქციელზე კიდეც ჯავრობდა ბავშვების გასაგონად... ხანთო პაპამ რომ გაიგო, ჩუმად ჩაეცინა, სადგომის გატეხილი კედელი რომ ნახა, შვილიშვილები დაამშვიდა: ,,დიდად ნუ იდარდებთო, ჩვენი ძილისგუდა იქვე მივიდოდა, საიდანაც მისი ხმელი წიფელი წამოვიღეთ, ახლა რომელიმე სხვა ხის ფუღუროში დაბინავდება და მაინც ვიპოვითო''.

— იმ ლენტს ხომ ველარ მოიშორებს, ყელზე რომ შევაბით! — დაქადნებით თქვა ლელამ და თან მამუკას შეხედა...

— სწორედ მაგ ნიშნით უნდა ვიპოვოთ, როცა იქნება, — შეუბრუნა სიტყვა მამუკამ დას.

ძილისგუდას გაპარვა იმ უბნის ბავშვებმა მალევე გაიგეს, იმის შემდეგ, ვინც კი ტყეში წავიდოდა, ყველა ყურადღებით იყო; იქნება იმ ლენტიან ცხოველს სადმე წავაწყდეთო. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლის მენახირე ხიტალამ ამბავი მოუტანა ლელასა და მამუკას: ,,თქვენი ხიზანი ტყეში კუდალაანთ ხევთანა ვნახე. მუხის ტოტზე იჯდა და რკოს შეექცეოდა. ლენტი კისერზე ისევ ეკეთა, რომ დამინახა სხვა ხეზე გადახტა და ფუღუროში შეიმალაო''.

ბავშვები ამ ამბავმა ძალიან გაახა-

რა, მაშინვე იმის თადარიგს შეუდგნენ, თუ ტყეში როდის უნდა წასულიყვნენ და მოეძებნათ თავიანთი ძილისგუდა...

მენახირე დაჰპირდა: ტყეში მე წაგიყვანთ, როცა მოისურვებთ, ოღონდ პირობას ვერ მოგცემთ, თქვენს ხიზანს შევხვდებით თუ არაო.

მათი გადაწყვეტილება მშობლებმა რომ გაიგეს, ცივი უარი გამოუცხადეს: იმ ავზნიანი ცხოველისთვის თქვენი ტყეში წასვლა არ შეიძლებაო. სამაგიეროდ, ხანთო პაპამ დაამშვიდა შვილიშვილები: ამ მოკლე ხანში ვაპირებ იქით შეშისთვის წასვლას და თქვენც წაგიყვანთო.

იმის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და ძილისგუდა უფროსებს აღარ გახსენებიათ, ბავშვები კი ხშირად იგონებდნენ... ერთ საღამოს მამუკამ ლელას თავისი გადაწყვეტილება გაუმჟღავნა:

— ხვალ ხიტალა ძია ნახირს კუდალაანთ ხევისკენ მიერეკება და ჩვენც წავყვეთ, იქნებ ჩვენი ხიზანი სადმე ვნახოთ.

ძმის აზრი ლელასაც მოეწონა, მაგრამ თანვე გააფრთხილა:

— ჩვენები გაგვიწყრებიან, არ გაგვიშვებენ!

— მაგის ნუ გეშინია. — ანუგეშა ძმამ, — დილით სამუშაოზე რომ წავლენ და მარტო სათულა ბებო დარჩება, ისე გავიდეთ, ვითომ სათამაშოდ მივდივართ, შუადღისას ისევ მოვალთ და ვერავინ ვერაფერს გაიგებს.

დაძინებამდე გაამზადეს ხვალის წასაღები ტანსაცმელი, საგზალი. დილით რომ წამოდგნენ, მზე მაღლა იყო წამოსული. ტანთ ჩაიცვეს და, დანაყრდნენ თუ არა, ბაღიდან ტყეში გავიდნენ, იქიდანვე აღმოსავლეთისკენ მიმავალ საურმე გზას გაჰყვნენ, სადაც სოფლის ნახირი ეგულებოდათ.

ტყეში კარგა შორს რომ შეიჭრნენ, ერთგან შვლის ნუკრმა გადაურბინათ წინ. ნუკრმა ერთი-ორი კამარა შეკრა, მოტრიალდა, ბუჩქს ამოეფარა და დაუწყო პატარა მგზავრებს ყურება...

— მარტო ამისთვის ღირდა აქ წამოსვლა! — თქვა ლელამ მოფერებით და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ. ნუკრმა ბრძამი დაყნოსა, შეიკუნტრუშა და გაქანდა ხტუნვა-ხტუნვით.

ერთგან წარაფებიან ველს მიადგნენ, იქ საკმაოდ ცხელოდა; ლელამ წყალი მოითხოვა, ჩანთაში დაუწყო ძებნა — ეგონა, იქ წყლიანი ბოთლი დახვდებოდა; მამუკამ ამაზე თითქოს მოიბოდიშა:

— წყალი მე განგებ არ წამოვიღე იმ იმედით, ტყეში სადმე წყაროს წავაწყდები-მეთქი.

ამ საუბარში რომ იყვნენ, ტყიდან კაკუნი შემოესმათ.

რამდენიმე ნაბიჯიც და გამოჩნდა მათთვის უცხო სანახაობა — ერთგან ფათალოიანი კლდის ნაპირას უზარმაზარ ძველ ხეზე დიდი ჭრელი კოდალა აღმა მიცოცავდა და ნისკარტს მაგრად ურტყამდა. ბავშვები იქვე ხეს ამოეფარნენ და გატაცებით აკვირდებოდნენ — პირველად ნახეს ის უცნაური ფრინველი, მისი მოქმედება...

— რატომ უკაკუნებს მაგ ხმელ ხეს?! — გაიკვირვა ლელამ.

— მართლაც! ან ნისკარტი არ სტკივა? — დაუდასტურა მამუკამ.

კოდალამ ხის კენწეროს რომ მიაღწია, ერთგან ისე მაგრად ჩაარტყა, რომ ფუღურო ჩაინგრა, შიგნიდან ვეებერთელა ღამურა ამოათრია... ღამურამ ბრჭყალებიანი ფეხები თავის მტერს ყელში ისე მაგრა ჩაავლო, რომ კოდალამ ერთი საცოდავად დაიჭყავლა, მსხვერპლი იმავე წუთში გაუშვა და გაფრინდა. გასისხლიანებული ღამურა ბავშვების წინ მწვანე ბორცვზე დაეცა და გაიშხლართა; იმათ წკირები აიღეს და დაუწყეს ღამურას სინჯვა; იმ ჩხიკინით ის უფრო გაღიზიანდა, აკანკალდა, რამდენჯერმე გადაბრუნდა, შემდეგ, როგორც იქნა გაიმართა და გაფრინდა.

ბავშვებს იქ მიღებული შთაბეჭდილებები განელებული არ ჰქონდათ და ახლა სხვა სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ: საიდანღაც მხრებდაკეცილი ქორი შხუილით დაეცა ქერონა ჩიტს, ის იყო მხრები გაშალა იმის მოლოდინით, რომ მსხვერპლი უკვე დატყვევებული ჰყავდა, მაგრამ ის მოხერხებულად გაუსხლტა ჭანგებიდან და იქვე ბუჩქში შეიმალა. პატარა მგზავრები მივიდნენ ბუჩქთან და ნახეს მის შუაგულში ჩადგმული ქერონას ბუდე, ხავსით, ბეწვებით და ბუმბულით მოხდენილად მოწნული; შიგ ხუთი ბარტყი იყო ოდნავ შეღინღლული. ქორისაგან დაფეთებული დედა ბუდის გვერდზე იჯდა და რაღაცას ჟღურტულებდა... ბარტყებს თა-





ვები ბუდის კიდეებზე ამოეყოთ, აღებდნენ პირს, წრიპინებდნენ...

ლელამ ბუჩქში ხელი შეყო, უნდოდა ბუდეს შეხებოდა და თითში ეკალი ეჩხვლიტა, გამწარებულმა მიანება თავი.

— ხედავ, ეგ ბუჩქი თავისი ეკლებით როგორ იცავს ქერონასა და მის ბარტყებს, — ჩაიცინა მამუკამ.

— მე მათი მოფერება მინდოდა, ცუდი რამე კი არა, — იმართლა თავი ლელამ, თან ნაჩხვლეტი თითიდან სისხლი მოიწმინდა...

ქერონას ბუდეს რომ გაშორდნენ, მერელა გაახსენდათ, რომ კოდალას კაკუნმა საურმე გზიდან შორს გაიტყუა ორთავენი და საჩქაროდ იქითკენ გადაუხვიეს, ამ უდაბურ ტყეში სადმე არ დავიკარგოთო. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთგან უშველებელ ღრმა ხევს წააწყდნენ; იქ გადასვლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, უმეტესად კლდე-ქარაფიანი ნაპირები მიუყვებოდა. იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. იმედი ჰქონდათ, ეს ხევი სადმე დამთავრდება და თავისუფალი გასასვლელი გვექნებაო. მიდიოდნენ უგზო-უკვლოდ და ის უფსკრული მაინც არ თავდებოდა. ერთგან ორი ვეებერთელა, ტოტებიანი ხე დახვდათ ზედ გადაქცეული, რითაც შეიძლებოდა მეორე ნაპირზე გადასვლა, ოღონდ დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. მამუკა ტოტებზე ხელის კიდებით შედგა ერთ ხეზე, რომელიც უფრო საიმედოდ ეჩვენა. ლელამ ერთი ხელი ძმას ჩაავლო, მეორე ხელი ტოტებს ჩასჭიდა და ასე დაშატულები მიდიოდნენ; შუა ადგილს რომ მიაღწიეს, მამუკას სანოვაგიანი ჩანთა გაუვარდა და ძირს ხევში მოიღო ტყაპანი.

— ეგეც შენი საგზალი! დავრჩით თუ არა მშივრები! — წყენით წამოიძახა ლელამ.

— ნუ გეშინია, ჯერ სამშვიდობოს გავიდეთ და იმასაც ამოვიტანთ, — დაამედა მამუკამ. ერთ ხეს კენწეროსთან ტოტი ქვეითკენ ისე ჰქონდა დახრილი, ხევის ფსკერამდე სწვდებოდა, „ხიდზე" გადასვლისთანავე ბიჭი იმ ტოტს მოხერხებულად ჩაჰყვა და ამოიტანა საგზალი.

იმ დაბრკოლების შემდეგ ერთი კლდე-ღორღიანი სერი გადაიარეს და საურმე გზაც გამოჩნდა; მათი სოფლის ნახირიც იქვე იყო ტყე-ველიანებში გაფანტული...

— ახლა აღარა გვიშავს, რაკი ხიტალა ძიას მივაგენით, ტყეში აღარ დავიკარგებით! — სიხარულით წამოიძახა მამუკამ.

— მალულად მაინც არ უნდა წამოვსულიყავით! — წყენით თქვა ლელამ. — ვთქვათ, იმ ხევზე ვერ გადმოვსულიყავით, ან იმ დაბურულ ტყეში სადმე მშიერი დათვი შეგვხვედროდა, ან აფთარი, ან ცხრათავიანი დევი, მერე საფრთხისაგან ვინ დაგვიხსნიდა?!

— დევი ხომ მოგონილია, მხოლოდ ზღაპრებში გვხვდება, — ჩაიცინა მამუკამ.

— ეგ კარგი, მაგრამ დათვი, აფთარი ხომ აღარ არის მოგონილი, — შეუბრუნა სიტყვა დამ.

— რაც იყო, იყო... მაგას თავი დავანებოთ, ახლა ხიტალა ძიას შევატყობინოთ, რომ ჩვენ აქა ვართ, — თქვა მამუკამ და რამდენჯერმე ხმამაღლა გაჰკივლა. მას ნახირის ძაღლი ალმასა გამოეხმაურა და იმავე წუთში მათთან მიირბინა; მალე მენახირეც იქვე გაჩნდა.

— ამ უკაცურ ტყეში მარტო წამოსვლა როგორ გაბედეთ! — გაუწყრა ბავშვებს მეზობელი. — ახლა თქვენები ალბათ უკვე გეძებენ და შეშინდებიან.

ამის შემდეგ მამუკამ მაინც იკითხა ის ადგილი, სადაც მათი ლენტიანი ძილისგუდა ნახეს...

— ჰო, მისი საბინადრო კუდალაანთ ხევია, თქვენ რომ გადმოიარეთ, ალბათ ახლაც იქ ცხოვრობს, ოღონდ, ერთხელ, რომ ვნახე, იმის შემდეგ აღარ შემხვედრია, — გაუცრუვა ბავშვებს იმედი ხიტალამ. მერე სტუმრები წყაროზე მიიყვანა, სუფრა გაუშალა და თვითონ საქონლის მოგროვებას შეუდგა. სანამ კარგად მოსაღამოვდებოდა, სოფლისკენ მიაბრუნეს ნახირი და ნელი ძოვებით გაირეკეს... შუაგზაზე მათი სათულა ბებო ჯოხის ბჯენით შემოხვდათ. მოხუცს შვილიშვილების დანახვით გულს მოეშვა, მუქარა კი მაინც ვერ დააოკა. ჯერ მათ დაუტია და მერე მენახირეს მოუღირა ჯოხი.

●

ძილისგუდას ამბავი ამით არ დამთავრებულა — შემოდგომას თბილისიდან იმ სოფელში ჩავიდა და ხანთო პაპას სახლში დაბინავდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც აწარმოებდა გარეულ ცხოველთა შესწავლას. მკვლევარები შეიარაღებული იყვნენ ფოტოაპარატებით, სურათს უღებდნენ სხვადასხვა ცხოველებს. ერთ-ერთი ამგვარი „ნადირობისას" კუდალაანთ ხევთან წააწყდნენ ლელას და მამუკას ლენტიან ძილისგუდას; დიდი სიფრთხილით გადაუღეს სურათები... ბოლოს, მან მაინც შენიშნა უცნაური „მონადირეები" და შეიმალა ფუღუროში. მკვლევარებმა მისი თავშესაფარი დაყანთრებული ნეკერჩხალიც გადაიღეს. „ნადირობიდან" დაბრუნებისთანავე გაამზადეს სურათები. სახლის პატრონებმა შეხედვისთანავე იცნეს მათ ჭერქვეშ გამოზამთრებული ძილისგუდა...



# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი

**შოთა ინწკირველი**

## გამბიტი

გამბიტი ეწოდება დებიუტს, რომელშიც სწირავენ პაიკს ან პაიკებს, იშვიათად ფიგურას განვითარებისა და ცენტრში უპირატესობის მოსაპოვებლად.

გამბიტი იტალიური სიტყვაა და „ფეხის დადებას" ნიშნავს. გამბიტური დასაწყისები წარმოიშვა იტალიაში, დაახლოებით 400 წლის წინათ, იტალიური კომბინაციური სკოლის ჩასახვისას, რაც და აგრეთვე ზოგიერთი რეფორმა ჭადრაკში დაკავშირებულია აღორძინების (რენესანსი) ეპოქასთან. ამ სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ გენიალური იტალიელი ჯოაკინო გრეკო (1600-1634) და გერმანელი ადოლფ ანდერსენი (1818-1879).

ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ანდრია დადიანი (1850-1910) ხშირად მიმართავდა გამბიტებს. ერთ-ერთ მის პარტიას უნგრელ ოსტატ იგნატი კოლიშთან (1837-1889) გავეცნობით ქვემოთ.

## სტრატეგიული და ტექნიკურ იდეების მემკვიდრეობითობა

ქვემოთ მოყვანილ სამივე პარტიაში სტრატეგიული სიტუაციისა და კომბინაციის მსგავსება ეჭვს არ იწვევს. ეს ნაკლი არ არის, რადგან „წინამორბედების" არსებობა, მსგავსი (მსგავსი და არა ასლი) გამეორებანი ხელს უწყობს ყველაზე ნაკლებად შესწავლილი შუა თამაშის თეორიის ფორმულირებას. მცოდნე მოჭადრაკის გონებაში ფიქსირებული იდეები ეხმარება მას იპოვოს ბრწყინვალე, ხშირად ორიგინალური გადაწყვეტანი.

პარტია № 11

**მეფის გამბიტი**

(მაკ-დონელის გამბიტი 5. მc3)
ჰამბურგი, 1867 წ.
თეთრები: ა. დადიანი.
შავები: ი. კოლიში.

1. e4 e5 2. f4.

მეფის გამბიტი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და უძველესი დასაწყისია, რითაც ნათამაშევია ბევრი ბრწყინვალე პარტია, მათ შორის „უკვდავი" (იხ. „პიონერი" № 4 1975 წ.). გამბიტური 2. f4 სვლის მიზანია e5 უჯრიდან პაიკის მოცილება, მოძრავი (ფალანგის: e4, d4) ცენტრის შესაქ-

მნელად. შემდეგში თეთრები ცდილობენ (არ დაერიდონ მსხვერპლსაც) გახსნან f ხაზი შეტევისათვის. შავების მიერ პაიკის შენარჩუნება დაკავშირებულია მეფის ფრთის დასუსტებასა და დროის დაკარგვასთან.

... ef. 3. მf3 g5 4. კc4 g4.

მეტად რთული და სარისკო გაგრძელებაა.

5. მc3.

ირლანდიელი მაკ-დონელის (1798-1885) გამბიტი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პრესაში ამ გაგრძელებას არასწორად „მუციოს გამბიტს“ უწოდებენ. მხედარი ეწირება განვითარებაში უპირატესობის მკვეთრად გაზრდისათვის. გარდუვალია აგრეთვე ხაზის გახსნაც. შავების სუსტი პოზიცია შეტევის კარგ შესაძლებლობას აძლევს თეთრებს. დიდოსტატი არონ ნიმცოვიჩი განუვითარებელ პოზიციას ბავშვის ორგანიზმს ადარებდა.

5. ... gf 6. ლ:f3 კh6.

აშკარა, მაგრამ მცდარი სვლაა. სწორი გეგმაა — 6. ... d6 7. 0—0 (ან 7. d4) კe6.

7. d4 მc6 8. 0—0 მ:d4.

საჭირო იყო განვითარებისათვის ზრუნვა.



9. კ:f7+! მფ:f7 10. ლh5+ მფg7 11. კ:f4 კ:f4.

თუ 11. ... d6, მაშინ იგებს 12. კe5+! 12. ე:f4.



ზუსტად ასეთი პოზიცია შეიქმნა ჯერ კიდევ 1834 წელს ლონდონში მაკ-დონელისა და გენიალური ფრანგი მოჭადრაკის ლუი დე ლაბურდონეს (1797-1840) ერთ-ერთ სამატჩო პარტიაში, რომელიც ასე გაგრძელდა: 12. ... მf6 13. ლg5+ მფf7 14. ეa—f1 მფe8 15. ე:f6 ლe7 16. მd5 ლc5+ 17. მფh1 მe6 18. ე:e6+ de 19. მf6+ შავები დანებდნენ. კოლიში სხვა გზას ირჩევს: 12. ... მh6 13. ლe5+ მფg8 14. ეf6 მe6 15. მd5 c6 16. ლg3+ მg7 17. ეa—f1 cd 18. ლd6 მe6 19. ე:e6 მf7.

შავები ხარბობენ, მათ სურთ ორივე ზედმეტი ფიგურის შენარჩუნება, რისთვისაც სასტიკად ისჯებიან. დაცვის ტექნიკის დაბალი დონე დამახასიათებელი იყო რომანტიკული ეპოქისათვის. 19. ... ლb6+ ლაზიერის გაცვლით შავები თავს აღწევდნენ ყოველგვარ საშიშროებას.

20. ეg6+! hg 21. ლ:g6+ მფf8 22. ლ:f7×.

ეს პარტია რომანტიკული ეპოქის პირმშოა.

ნორჩმა მოჭადრაკემ და საერთოდ ჭადრაკის შემსწავლელმა უნდა განიცადოს ის ევოლუცია, გაიაროს ის გზა, რაც გაიარა საუკუნეების მანძილზე ჭადრაკმა. დოსტატებისათვის აუცილებელია საჭადრაკო მემკვიდრეობის შესწავლა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოგვყავს 12 წლის V თანრიგოსანი მოჭადრაკის თეიმურაზ ჯალაღანიას პარტია, ნათამაშევი თემატურ ტურნირში.

### პარტია № 12

### მეფის გამბიტი

თბილისი, 1951 წ.

თეთრები: თ. ჯალაღანია.
შავები: ლ. კარაპეტიანი.

1. e4 e5 2. f 4.

ჩეხი დიდოსტატი რიხარდ რეტი (1889-1929) ამბობს: „ჯერ საჭიროა ვისწავლოთ კომბინირება, ვიდრე პოზიციურ თამაშს მოვსინჯავდეთ“.

2. ... ef 3. მf3 g5 4. კc4 g4 5. 0—0!

ე. წ. „მუციოს გამბიტი“. ეს სვლა ჯერ კიდევ XVI საუკუნის ოთხმოციან წლებში დიდ იტალიელ მოჭადრაკესა და თეორეტიკოს ჯულიო ჩეზარე პოლერიოს თავის ხელნაწერში აქვს მოხსენიებული, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისელი ოსტატის სარატის არასწორი ინფორმაციის გამო ამ გამბიტს ვინმე მუციოს სახელი შეერქვა.

5. ... მf 6. ლ:f3 კh6.

საუკეთესო დაცვად ითვლება 6. ... ლf6.

7. ... d4 მc6 8. c3.

თუ ახლა 8. მc3, მაშინ სვლების გადაადგილებით მივიღებდით წინა პარტიაში შექმნილ პოზიციას.

8. ... მa5.

# ბუნება და ადამიანი

## მზის ყვავილი

გადააბიჯებთ თუ არა საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების პავილიონის ზღურბლს, მოხვდებით მზესუმზირის სამყაროში, სადაც ჰაერიც კი მისი სურნელებით არის გაჟღენთილი. აქ მზესუმზირას მეზობლობენ მისი თანამოძმე კულტურები: სოია და არახისი, აბუსალათინი და ალისარჩოლი, სელიდა, მდოგვი, ყაყაჩო და წიწმატა სელი, შირბახატი და პერილა...

მზესუმზირა ინტენსიურ განათებას მოითხოვს მზის სხივებისაგან, ამიტომაც ეწოდა მას მზის ყვავილი. მართლაც მცენარეს თავისი ყვავილოვანი კალთა ყოველთვის მზისკენ აქვს მიმართული.

მისი სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთი ნაწილია. ევროპაში პირველად ესპანეთში შემოიტანეს მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში, უკრაინაში — მეთვრამეტე საუკუნეში ნიდერლანდებიდან. საქართველოში — (აღმოსავლეთ საქართველოში) მხოლოდ 40-50 წლის წინათ შემოვიდა, პირველად მას ერთეულ მცენარეებად თესავდნენ საკარმიდამო ნაკვეთებში. სსრ კავშირში ზეთოვანი კულტურებისათვის გამოყოფილი მთელი სათესი ფართობის დაახლოებით 75 პროცენტი მზესუმზირას უჭირავს. უკანასკნელ წლებში ეს ფართობი შეადგენს 5 მილიონამდე ჰექტარს. სსრ კავშირი მსოფლიოში მზესუმზირას თესლის დამზადების მხრივ პირველ ადგილზეა. საბჭოთა სელექციონერების მიერ გამოყვანილია და დარაიონებულია 25-მდე ავადმყოფობათა მიმართ გამძლე და ამასთან ზეთის გამოსავლის მხრივ შესანიშნავი ჯიშები, როგორიც არის „ვნიიმკ“, „არმავირული“, „მოწინავე“ და სხვები.

რა გამოყენება აქვს მზის ყვავილს, რატომ მიიღო ასე სწრაფად საყოველთაო გავრცელების საგზური? ამაზე მოგვითხრობს პავილიონის ლიტერატურა: მისი ზეთისაგან მზადდება 500-ზე მეტი გემრიელი კერძი, მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება მისი სამეურნეო სარგებ-

საჭირო იყო განვითარებისათვის თიუფვა. (იხ. № 11 პარტიაში შავების მე-8 სვლა). შავებს სურთ განდევნონ კუ სახიფათო დიაგონალიდან...



კ:f7+!!

ბრწყინვალეა! პოზიციის გაგება, განვითარებული „კომბინაციური ხედვა“ და არა თეორიული ვარიანტების მექანიკური დამახსოვრება, რაც, სამწუხაროდ, დამწყებ მოჭადრაკეებში არც თუ იშვიათად გვხვდება.

9. ...მფ:f7 10. კ:f4!!

მართალია, როგორც იტყვიან, „ყველა გზას რომში მივყევართ“, მაგრამ ამდენი შეწირვების შემდეგ ასეთი წყნარი სვლა — მით უმეტეს დამწყებისაგან — ყოველთვის ბევრის მეტყველია და შთამბეჭდავი.

10. ... მფe8 11. კ:h6 მ:h6 12. ლh5+ მფe7 13. ლe5×.

მშვენიერი მინიატურაა — რომანტიკული ეპოქის ოსტატთა სტილში!




კარ-ფანჯარაში დარჩენილი არეებისა და ჭუჭრუტანების ამოვსებას რითი არ ცდილობენ, მაგრამ ყველაზე კარგი საშუალება პარაფინია. პარაფინი გაათბე 70°-მდე, ჩაასხი ნემსმოხსნილ შპრიცში და ღრეჩოსა და ჭუჭრუტანაში შეასხი.



კედელს რომ ღებავ, ჭერქვეშ სწორი ხაზის გატარება ძალზე ძნელია, ამ საქმეს მარტოც იოლად შეასრულებ თუ ასეთი მარტივი მოწყობილობის გასაკეთებლად რამდენსამე წუთს დაკარგავ. გამოჭერი მუყაოსაგან სწორპირიანი, ფართო სახაზავი, ზედ სახელური დაამაგრე. ღებვისას ეს სახაზავი ცალი ხელით კედელს მიადე, მეორით კი მის ქვემოთ საღებავი წაუსვი და სწორზე სწორ ზოლს მიიღებ.



ზუმფარის ქაღალდი რომ იხმარო, აუცილებლად რაიმე მკვრივ საგანს უნდა დაახვიო. მცირე ზომის დეტალების გასახეხად ზუმფარა შეგიძლია ასანთის კოლოფსაც მიამაგრო.



ყვავილებისათვის განკუთვნილ თიხის ქოთანსაც კი შეიძლება მისცე ლამაზი იე-





რი, თუ ირგვლივ რეზინზე მიმაგრებულ ხის ჩხირებიან „ქამარს შემოარტყამ“.

ლობა: მისგან მზადდება მეტად სასარგებლო პროდუქტები — როგორიც არის კონსერვები, მარგარინი, ჰალვა, საშაქარლამო ნაწარმი, შოკოლადი. თაფლიც კი... იგი ფუტკრებს დაუმზადებიათ მზესუმზირას ყვავილის ნექტარისაგან. არც ამით ამოიწურება მზესუმზირას ყვავილის სიკეთე: მას იყენებენ პურის ცხობაში, საპნის ხარშვაში, ლაქის წარმოებაში, ქაღალდისა და აბრეშუმის ტილოს დამზადებაში. მზის ყვავილს არა აქვს ნარჩენები: ყველაფერს თავისებური სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის: ჩენჩოსა და გამოცეხვილი გვირგვინისაგან ღებულობენ ფურფუროლს, რომლისაგანაც მზადდება ვიტრინის შუშები და ჩვენთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო სარკეები. ნახორი შეიძლება გადაიქცეს ელასტიკურ მასალად, რომელიც საიზოლაციო მასაში კაუჩუკსა ცვლის.

მზის ყვავილი ესაჭიროებათ მშენებლებსა და ქიმიკოსებს, მეტყავეებსა და ფარმაცევტებს, რომელნიც მისგან ამზადებენ საცხს, ტყავის დამარბილებელ ნივთიერებებსა და სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს. ზეთის გამოხდის შემდეგ მიიღება პირუტყვის საკვები — კოპტონი, რომელიც საუკეთესო საკვებია, იგი შეიცავს 30 პროცენტამდე ცილასა და 8 პროცენტამდე ცხიმს...

პირუტყვი მადიანად იკვებება მზის ყვავილის კალათების ფქვილითა და აგრეთვე მისი ღერო-ფოთლებისაგან დამზადებული სილოსით.

კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა კარგად იციან, რომ მზის ყვავილის ღერო მოიხმარება შეშადაც, ხოლო ნაცრისაგან ამზადებენ პოტასიუმსა და სასუქს.

მის ღეროებს მინდვრად „დარაჯებადაც“ აყენებენ თოვლის საფარის შესაჩერებლად, ნიადაგში საჭირო ტენის დასაგროვებლად.

მზის ყვავილი მგრძნობიარეა ნიადაგის განოყიერებისა და მორწყვის მხრივ. განსაკუთრებით დიდძალ წყალს საჭიროებს ყვავილობისა და თესლის წარმოქმნის პერიოდში. იგი თავისი ფესვებიანად, რომლებიც სამ მეტრ სიღრმეზე არიან განლაგებული, ერთი ცენტნერი თესლის შესაქმნელად ხარჯავს 5,4 კილოგრამ აზოტს, 2 კილოგრამ ფოსფორს, 12 კილოგრამ კალიუმსა და 172 ტონა წყალს.

მზის ყვავილი მნიშვნელოვანია აგროტექნიკური თვალსაზრისითაც, როგორც სათოხნი კულტურა ნაკვეთს საკმაოდ გაფხვიერებულსა და სარეველა მცენარეებისაგან გაწმენდილსა სტოვებს, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერებასა და სხვა კულტურათა მოსავლიანობას.

ამგვარად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ სახით არ სარგებლობდეს მზის ყვავილის სიკეთით...

**გიორგი დათუაშვილი,**

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი.

### ტელევიზორი ყრუთათვის

შვეციაში სმენადაქვეითებულთა რაოდენობა 650 ათასს აღწევს. მეცნიერებმა სპეციალურად მათთვის შექმნეს ელექტრონული სისტემა, რომელიც ტელევიზორთან ჩართვისას სიტყვებს ავტომატურად აქცევს სუბტიტრად (სუბტრიტი კინოფილმის კადრის ქვედა ნაწილში გაკეთებული წარწერაა). ამ სისტემამ გაიარა ლაბორატორიული შემოწმება და სპეციალისტთა საუკეთესო შეფასება მიიღო.

### სისხლი სეზონის მიხედვით

ყველამ იცის, რომ ცხოველთა სამყარო ზამთარს მომზადებული ხვდება. ფრინველთა უმეტესობა წინასწარ გადსახლდება ხოლმე სამხრეთში — თბილ ქვეყნებში; კურდღლები და ყარყუმები ფერს იცვლიან, რათა თოვლში შეუმჩნეველნი იყვნენ; დათვი ზამთრის ღრმა ძილს ეძლევა. ზამთრისათვის ემზადებიან აგრეთვე ზოგიერთი სახეობის თევზები, რომლებიც ატლანტის ოკეანის ჩრდილო ნაწილში და არქტიკულ წყლებში ბინადრობენ. მათი სისხლის შემადგენლობა შესამჩნევად იცვლება. ამ დროს, მარილების კონცენტრაციის შედეგად, მათი სისხლი არ გამოირჩევა ზღვის წყლისაგან, მეცნიერები ფიქრობენ, რომ „საზაფხულო" სისხლის „საზამთრო" სისხლით შეცვლა თევზებს გაცივებულ წყალთან შეგუებას უადვილებს.



### მამაკაცებმაც იტირონ

ამერიკელი ფსიქოლოგის ვიქტორ მარტინის აზრით, მამაკაცები მეტისმეტად ვაჟკაცურად იქცევიან. მეცნიერმა თავის ერთ-ერთ სტატიაში დასვა კითხვა: „კაცმა რომ თქვას, ვინ აუკრძალა მამაკაცებს ტირილი?" მარტინს მიაჩნია, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ მამაკაცები უფრო თამამად გამოამჟღავნებდნენ თავიანთ მწუხარებას. ეს კეთილ გავლენას მოახდენდა მათს სისხლის მიმოქცევაზე, თავიდან ააცდენდა კუჭის წყლულს და სხვა ნერვულ დაავადებებს.

### პროთეზები ძროხებისათვის

ესპანელმა ვეტერინარებმა იპოვეს წველადობის 70 პროცენტით გაზრდის ხერხი. მათ შექმნეს უჟანგავი ფოლადის ხელოვნური ყბები ძროხებისათვის. ცნობილია, რომ ბევრ ძროხას კბილები ადრე უცვდება და კარგად ვერ ღეჭავს საკვებს. პროთეზის მეოხებით ძროხები ღეჭავენ და, რასაკვირველია, მეტსაც იწველიან. გარდა ამისა, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც მატულობს.

### ცხენი — რობოტი

ერთმა იაპონურმა ფირმამ ცხენით სეირნობის მოყვარულთათვის გააკეთა ელექტრონული ცხენი. იგი გარეგნულად არაფრით განსხვავდება ნამდვილი ბედაურისაგან, სისწრაფე კი თითქმის ავტომობილისა აქვს 50 კმ საათში.

ცხენი — რობოტი მოძრაობაში მოჰყავს ელექტროძრავას. მის ზურგზე მოთავსებულია ღილაკები, რომელთა საშუალებითაც ხდება რეგულირება მოძრაობის სიჩქარისა, მოხვევებისა და ა. შ.

### ელექტრონული პოლიგლოტი

ბულგარეთის ქალაქ სტარა-ზაგორას პიონერთა სასახლის რადიოელექტრონიკის წრეში შეიქმნა ელექტრონული პოლიგლოტის კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება უცხოური სიტყვებისა და წინადადებების სწორად გამოთქმისათვის. ყოველი სიტყვა ან ფრაზა ერთდროულად კიდეც ჟღერს და კიდეც ნათდება ეკრანზე. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მათი რამდენჯერმე გამეორება.



### წეროები
(მოლდავეთი)

მოლდავეთში ერთ-ერთი საყვარელი ფრინველი—თეთრი წეროა, ალბათ ყველას შეგიმჩნევიათ, წეროს ცალ ფეხზე უყვარს დგომა. უთუოდ წეროსთან არის დაკავშირებული ეს საინტერესო თამაშიც. ერთ წეროს ბუდე არა აქვს, სხვები— 5-10 მოთამაშე — ერთი მეტრის დიამეტრის წრეში, „ბუდეში" ცალი ფეხზე დგანან. ნიშანზე ყოველმა მათგანმა უნდა შეიცვალოს „ბუდე" ოღონდ ეს ასკინკილით უნდა გაკეთდეს. ვინც „უბუდოდ" დარჩა, ახლა იმან უნდა სცადოს სხვისთვის „ბუდის" წართმევა და ა. შ.

### კვინტა
(ლატვია)

გუნდის შემადგენლობაში 5 ბავშვია, მოედანი 10×10 მეტრია. მოედნის ოთხსავე კუთხეში 1,5 მეტრი დიამეტრის წრე უნდა ჩაიხაზოს, ერთი ასეთივე წრე ცენტრში იხაზება. თამაშობენ კალათბურთის ბურთით. ცენტრში დგება გუნდის ერთ-ერთი წევრი დანარჩენი ოთხი მოთამაშე გარე წრეში იჭერს ადგილს. მოთამაშენი ბურთს კალათბურთის წესით აწვდიან ერთმანეთს და ცდილობენ წრეში ჩამდგარ მოწინააღმდეგეს მოარტყან, ის კი, ცხადია, ცდილობს აიცდინოს დარტყმა. გამარჯვებული ის არის, ვინც მეტ ხანს გაძლებს ცენტრში (ბურთის მორტყმის შემდეგ, მოთამაშე ცენტრს ტოვებს და მის ადგილს სხვა იჭერს).

### არკალ-ტარტაში
(ყირგიზეთი)

არკალ-ტარტაში ვაჟების თამაშია. გუნდი შედგება 6 ბავშვისაგან. მოედანი 10×10 მეტრია. ინვენტარი: ერთმანეთზე გადაკერებული ან გადანასკვული სამი პირსახოცი. გამოძახებული წყვილი ერთმანეთის მიმართ ზურგით დგება. ორივე მონაწილე პირსახოცს უღელივით გადაიცვამს და მკერდზე ირგვლივ მოირგებს. ნიშანზე მთელი ძალით გასწევს ერთი — ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს. გამარჯვებული ის იქნება, ვინც წინასწარ მონიშნულ ზღუდეზე გადაიყვანს მოწინააღმდეგეს, დამარცხებული „უღლიდან გამოეხსნება" და მის ადგილს თანაგუნდელი დაიჭერს. გამარჯვებული ის გუნდი იქნება, ვისაც მეტი მონაწილე შერჩება „უღელში შეუბმელი".










# 1975 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

## პროზა

ხეთაგური მ. — ზურიკოს წყარო, № 1.
გორშკოვი ი. — დიდი, ახლობელი, უბრალო ადამიანი. № 1.
კლდიაშვილი გ. — ჭაბუკას შეცდომა (პიესა). № 1.
ბაწელაშვილი ზ. — მთვარის დაბადება. № 2, 3, 4.
ალექსინი ა. — მე არაფერი მითქვამს. № 2.
საჯნი ბ. — არაჩვეულებრივი ძვალი. № 3.
კალანდაძე ა. — დღეები ბრესტის სიმაგრეში. № 3.
ჟდანოვი ნ. — ჯარისკაცთა მიტინგი. № 4.
აფხაზავა ნ. — ისტორიკოს ასარიტას შეგონება. № 4.
ლორთქიფანიძე კ. — ამხანაგი. ბაქსანზე. № 5.
კუხიანიძე ზ. — ჯარისკაცის ნაამბობი. № 5.
იაკოვლევი ი. — ვასილისკუნძულელი გოგონები. № 5. კაპიტან გასტელოს მეგობარი. № 8.
ჩხაიძე თ. — ქარიშხლიანი ბილიკებით. № 6.
იოსელიანი ო. — ოთხი დის ზღაპარი. № 6.
ვადაჭკორია დ. — ვოროშილევისებური მსროლელი. № 7.
მენსფილდი ქ. — პატარა გოგონა. № 7.
კეცხოველი ნ. — მოცარტის სიმფონია. № 6. ხიზანი. № 8.
ისბახი ა. — პარტიზანის ქალიშვილი. № 6.
პატურაშვილი თ. — მიწისძვრამ ჭკუაზე მოიყვანა. № 8.
ჯერალდი დ. — ჩემი ოჯახი და ცხოველები. № 9, 10.
ვარაზანაშვილი გ. — სიმართლის გზა. № 10.
მერაბიშვილი ე. — დაკარგული ანდრომაქე. № 8, 9.
ჯინჯოლია გ. — ბაბილონის გოდოლი. № 10.
ჩიტაიშვილი გ. — მოხუცი ბრძენი. № 10.
ტიხონოვი ნ. — აპრილის საღამო. № 11.
ხეჩუაშვილი გ. — მაინც გავარდა თოფი. № 11.
გურასპაული ა. — ჭკარ და ნაჭე. № 11.
კოვალი ვ. — პეტია, მე და ატომები. № 11, 12.
შავლიაშვილი მ. — პაპა თეოფილე. № 12.
ელანიძე რ. — ძილისგუდა № 12.

## პოეზია

გრიშაშვილი ი. — ახალი წელი. № 1. გამარჯვების გაზაფხული № 5.
იანაკოპულო ფ. — პარტიზანი ქალიშვილი. № 1.
ტაბიძე გ. — ჰე, მამულო № 2. დილა გამარჯვებისა. № 5.
ლეონიძე გ. — დგას საქართველო ვარდის თალებით. № 2.
ჯანგულაშვილი თ. — ჩემი ოცეული. № 2.
ივარდავა დ. — გაზაფხული მოდის. № 3. შორეული ზამთრის ციმბირში, ნია გრუზინსკაია, ჩრდილოეთის ციალი. № 12.
შამანაძე ნ. — მე და ჩემი უმცროსი ძმა. № 4.
გურგენიძე ა. — მარადიული ცეცხლი, ანუ სიმღერა უკვდავებისა. № 5.
მეგურიშვილი ტ. — ომი დამთავრდა. № 4.
ჩიქოვანი ს. — უსათაურო. № 5.
აბაშიძე გ. — მას დიდება. № 5.
შამფრიანი ს. — ენგური. გზაწვრილები. № 7.
შამისო ა. — ნიდეკის კოშკის ბალადა. № 7.
გელოვანი ა. — დედის ბაღი. № 8.
კაჭახიძე გ. — უკვდავება დაერქვა: № 8.
ჩხაიძე თ. — მჭადის ნატეხი. მასწავლებელი. № 8.
კუპრავა ო. — აბა, ჩქარა, მალხაზებო! № 9.
აბულაშვილი ა. — პირველი სექტემბრის ზარი. № 9.
მარიჯანი — პიონერის სურვილები. № 10.
მიდელაური მ. — ომში დაკარგული ბიძის ხსოვნას. გაზაფხული. ტყისადმი. № 10.
გიგაური გ. — რა ლამაზი ფერებია. № 11.
ძნელაძე გ. — მაისის წვიმა. ქებათა-ქება ნაჯაფარ ხელებს. უსათაურო. № 11.
ძნელაძე ვ. — ნია № 12.


















## პიონერული ცხოვრება


მგელაძე ნ. — ყოველი მოქალაქე ვალდებულია. № 1. სკოლაში ლ. ბრეჟნევის წერილი მოვიდა № 3.
ფაილოძე ნ. — რატომ დადის ჭუმბურიძე „მეგობრობის გამზირზე“. № 2. გაიცანით მომავალი აგრონომები, მხატვრები, მფრინავები, მშენებლები... № 6. მანავი ახლოს არის ლესელიძის ქუჩასთან. № 8.
მესხიშვილი გ. — აქაც იალებს მარადუჭრობი შუქურა. № 3. შარმიაანთ მთის ფერდობზე. № 12.
სახვაძე ე. — ჩვენც ვაშენებთ. № 4.
სწავლა ფრიადზე — შრომა ფრიადზე. № 7.
ნორაკიძე ნ. — ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ. № 7.
ხერგიანი მ. — გამოცდა მთავარ საგანში. № 8. შრომა და ცოდნა განუყრელია. № 9.
ჩეკურიშვილი ვ. — „ტყე შეუნახე შვილებსა“. № 8.
არტეკი — პიონერთა რესპუბლიკა. № 8.


## წერილები, მოგონებები, ნარკვევები, საუბრები, სხვადასხვა მასალა


„პიონერის“ ანკეტა. № 1.
ხერგიანი მ. — მეათე გადასასვლელი. № 2. როცა გეძახის ცისფერი გზა. № 11.
ჯანდიერი ი. — გრემის ტაძარი. № 2. ზარზმის მონასტერი. № 8. საფარა. № 11.
გარათაშვილი მ. — ქალთა საერთაშორისო წელი. № 3.
კეცხოველი ნ. — ცოდნა და შრომა განუყრელია. № 3.
გეწაძე ა. — ომისდროინდელი პური. № 4.
ჯანჯღავა ვ. — მშვიდობა ბრძოლით მოიპოვება. № 5.
ლორთქიფანიძე ო. — კომკავშირული პრესის ფლაგმანი. № 6.
ვაისერმანი ქ. — მსოფლიოში პირველი. № 7.
ტყეშელაშვილი ო. — ლეგენდა და ისტორია. № 9.
ფურცხვანიძე ა. — კოსმოსი და ადამიანი. № 10, 11.
ლეშკაშელი ზ. — ავტომანქანები გვირაბში. № 10.
კაპიტალის სამყაროში — № 10.
კარბელაშვილი ა. — ესტაფეტა ინდოეთისაკენ. № 10.
მესხიშვილი გ. — ქართლის ზვრებში. № 10.
მგელაძე ნ. — საუბარი ეთიკაზე № 8, 12.
დათუაშვილი გ. — მზის ყვავილი № 12.
ვიქტორინა-კონკურსი „სალუტი, გამარჯვება“. № 1, 2, 3, 4.
ვიქტორინა-კონკურსის შედეგები. № 6.
ჩვენი სტუმარია ლიტვის სსრ საბავშვო ჟურნალი „ჟვაიგჟდუტე“ № 1.
ჩვენი სტუმარია ყირგიზეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „ჟაშ ლენინჩი“. № 7.
თოფურიძე გ. ებანოიძე თ. — მეჯლისი პრინცესასთან. № 11.
ნიშნიანიძე გ. — იუმორი. № 11.


## ჩვენი განყოფილებები


მხედრიონი — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12.
აისი — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
საზრიანის ხელში — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
ცხრაკლიტული — № 1 . . . 12.
გამოგადგება — № 2, 7, 8, 11, 12.
შენი უცხოელი თანატოლები — № 2, 4, 5, 9, 10, 12
ეს უნდა იცოდე — № 2, 3, 4, 5.
ყურადღება, სტარტზე! — № 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 12.
ჯადოსნური სარკე — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12.
ბუნების კარი — № 4, 5. 6.
პიონერული ცხოვრების მატიანე — № 3.
ახალი წიგნები — № 8, 10.
საინტერესო თემაზე — № 7.



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა გიორგი ენაგელისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.



ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/X-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XII-75 წ. ქაღალდის ფორმატი $60\times90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19. შეკვ. № 3791 ტირ. 140.875. უე 02097.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



© „პიონერი“, 1975 წ.

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. სახელმწიფოში შესვლის, იქიდან გამგზავრების ან მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა; 2. მტაცებელი ფრინველი; 3. ლითონის ცეცხლგამძლე კარადა; 4. ირანული ფულის ერთეული; 5. აშშ-ს პარლამენტის ზედა პალატა; 6. მოძრაობათა, ბგერათა თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა; 7. კანფეტი; 8. თეატრში მაყურებლისათვის განკუთვნილი სართული; 11. რკინიგზის პატარა ვაგონი, რომელიც მოძრაობს შიგაწვის ძრავით ან ხელით. 14. ცხენოსანი ჯარი; 15. ნიანგის სახეობა; 16. შესრულებული საქმე, მოვალეობა; 18. სამყარო როგორც მთლიანობა; 19. რომელიმე ორგანოს დასუსტება ხანგრძლივი უმოქმედობის გამო; 29. უაზრობა, შეუსაბამობა; 33. ქალის სახელი; 34. სიგრძის საზომი ერთეული; 36. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის; 37. აზოტმჟავა ვერცხლი, უფერო კრისტალური ფხვნილი; 38. ლიტერატურასა და ხელოვნებაში: სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი ხერხი; 39. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 42. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი გერმანულში; 43. პირი რაიმე საბუთისა, სურათისა.

**თარაზულად:** 5. ალკოჰოლით მდიდარი, ადვილად აალებადი სითხე; 6. წყარო, საიდანაც იძენენ ახალ-ახალ ძალებს, საშუალებებს; 9. მოედანი კრივისათვის; 10. ქეჩის კარავი კონუსის ან ნახევარსფეროს მოყვანილობისა; 12. დაშლა, დაყოფა, დაქუცმაცება, გაბნევა, ანუ? 13. მწვანილის სახეობა; 16. სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი; 17. შენობაში ამოყვანილი ღია აივანი; 20. ოფიცრის პირველი ჩინი რევოლუციამდელ რუსეთში; 21. ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო ლითონი; 22. უკრაინაში: სახალხო მომღერალი; 23. აქროლადი ნივთიერებების კონცენტრირებული ხსნარი; 25. სისხლძარღვი; 26. ფეხბურთელის სათამაშო ფეხსაცმელი; 27. გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მოქმედი პირის სახელი; 28. რიცხვი; 30. მუსულმანთა ღმერთი; 31. გზა, რომელსაც გადის გემი, თვითმფრინავი ავტობუსი და სხვა; 32. წონის საზომი ერთეული; 35. თვე; 36. გამის პირველი, ძირითადი ბგერა; 40. მაჰმადიანთა რელიგია, მუსულმანობა; 41. შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე, უძრაობა, ჩამორჩენილობა; 44. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, რომელიც არ ატარებს სითბოსა და ელექტრობას;

**მარინე ამბოკაძე,**
თბილისი, გახანგრძლივებული დღის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.




## შარადა

ძველ პურს და ნივთებს თუ მეტყვი,
ხშირად რა მოეკიდება,
მაშინ მდინარის სახელის
ძებნა არ გაგიჭირდება —
ამ სიტყვის ომონიმია
ციმბირში მიედინება.

**ი. ტალიაშვილი.**

## გამოცანები

დარია თუ ავდარია,
თავზე ქოლგა აფარია.

●

ვკოტრიალობ ალმა-დალმა,
წვიმაა თუ თაკარება.
რომ გავგორდე, კმარა ჩემთვის
ფეხის ერთი გაკარება.

**ამბროსი დოხნაძე.**

## პასუხი 1975 წლის № 11-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### გამოცანები

ზღარბი; ტივი; ფოცხი; წიგნი; თოვლი; ყურძენი; სახნისი;

### გასართობი

გორი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბ | ე | მ | ი |
| ქ | ო | რ | ი |
| ფ | ა | რ | ი |
| ჯ | ა | რ | ი |

### რა წერია?



განათლების სამინისტროს სამხატვრო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნელი იაკობიძე. IV კლასი.

თამარ მალაზონია. III კლასი.

